„ა(ა)იპ“ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ინდირა სურმანიძე

# მოგზაურ-მკვლევარნი ზემოაჭარის შესახებ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: არქეოლოგია

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი

თემის ხელმძღვანელი: ტ. ებრალიძე
პროფესორი

ხიჭაური
2019

**ანოტაცია**

ჩვენთვის საინტერესო რეგიონის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ ზემო აჭარის მეცნიერული ფუნდამენტური კვლევა არცთუ დიდი ხნის წინათ დაიწყო.

სიძველეებით დაინტერესება კი ჯერ კიდევ მხარის ოსმალთა ბატონობის ხანაში დაიწყო. მიუხედავად მკაცრი რეჟიმისა და წინააღმდეგობისა იმდროინდელმა ქართული საზოგადოების ნაწილმა მოახერხა მოგზაურობა რეგიონში და აქ არსებული რეალური ვითარების აღწერა. ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწია ადგილობრივი წარჩინებული გვარის წარმომადგენლებმა, რიგითმა ძირძველმა ქართველებმა. მხარის ძველი ისტორიისა და კულტურის შესწავლისათვის შეიქმნა ძვირფასი წყაროთმცოდნეობითი ბაზა.

Resume

The scientific fundamental research of the interesting region for us South-West Georgia, particularly the Upper Adjara region has started recently. The indication of interest in antiquities started at the time of the Ottoman Empire. Regardless of the strict regime and the resistance of that period the part of the Georgian society managed to travel to the region and describe the real situation here. In this case the great assistance was given by the reprezentatives of the local noble surname and estate, ordinary indigenous Georgians. The valuable source of research was created for the study of ancient history and culture.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

**შესავალი** ..... .. 5-7

**თავი I. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ზემო აჭარის) მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლის ისტორიისათვის**..... 8-14

**თავი II. გ.ყაზბეგი,** სამი თვე თურქეთის საქართველოში..... 15-25

**თავი III.** თედო სახოკია „მოგზაურობანი“. აჭარა..... 26-67

**თავი IV.** დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში..... 68-78

**დასკვნები** ---------- 79-80

**გამოყენებული ლიტერატურა** ---------- 80-81

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, კერძოდ ზემო აჭარა მდიდარ მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა მემკვიდრეა. თანმიმდევრული საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად დასტურდება, რომ აქ, უძველეს ადამიანთა დასახლება ჯერ კიდევ ქვის ხანაში დაიწყო. მომდევნო ეპოქებში საქართველოს ეს კუთხე იქცა დასავლურ-ქართული კულტურის (კოლხური) ერთ-ერთ წამყვან კერადაც. ამასთანავე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლისა და შიგა რაიონების დამაკავშირებელი გზების საშუალებით ჩართული იყო მსოფლიო ისტორიულ პროცესებში (ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ). სტრატეგიული მდებარეობა და სამიმოსვლო გზები იწვევდა რეგიონისადმი დაინტერესებას და გარე ძალებს მისი დაუფლების სურვილს უღვივებდა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ზემო-აჭარის) სიძველეებით დაინტერესება ჯერ კიდევ მხარის ოსმალთა ბატონობის ხანაში დაიწყო. მკაცრი რეჟიმისა და წინააღმდეგობის მიუხედავად იმდროინდელმა ქართული საზოგადოების ნაწილმა მაინც მოახერხა მოგზაურობა რეგიონში და აქ არსებული რეალური ვითარების აღწერა. ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწია ადგილობრივი წარჩინებული გვარის წარმომადგენლებმა, რიგითმა ძირძველმა ქართველებმა. რასაც ავტორები სათანადოდ აღნიშნავენ კიდეც. მხარის ძველი ისტორიისა და კულტურის შესწავლისათვის შეიქმნა ძვირფასი წყაროთმცოდნეობითი ბაზა.

**თემის მიზანი.** სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ქართველ მოგზაურთა (დ. ბაქრაძე, თ. სახოკია, გ. ყაზბეგი), მემკვიდრეობის შესწავლა, ძვირფასი მასალების ერთად შეკრება და კიდევ ერთხელ იმის ჩვენება, რომ მიუხედავად სამსაუკუნოვანი ბატონობისა და ძალადობისა ადგილობრივ ძირძველ მოსახლეობას არასდროს არ დაუკარგავს სურვილი დედასამშობლოსთან დაბრუნების, არ დაუკარგავს სამი ღვთაებრივი საუნჯე მამული, ენა და სარწმუნოებაც კი.

**სიახლე და მნიშვნელობა.** სამაგისტრო ნაშრომში პირველადაა თავმოყრილი ზემო აჭარის შესახებ ქართველ მოგზაურთა ცნობები. მდიდარი ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, და სხვა მიმობნეული მარგალიტები. ისინი

მრავალმხრივ საინტერესო ცნობებს შეიცავენ საკვლევი რეგიონის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ.

**ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა.** სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურას განსაზღვრავს თემის მიზნები და ამოცანები. შესდგება შესავლის, სამი თავისა და ძირითადი დასკვნებისაგან.

**შესავალში** დასაბუთებულია თემის აქტუალობა, განსაზღვრულია მიზანი, მოცემულია სიახლე და მნიშვნელობა.

**თავი**I. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ზემო აჭარის) მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლის ისტორიისათვის. საუბარია აჭარისწყლის ხეობის სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ისტორიაზე. წლების განმავლობაში გეგმაზომიერი თუ შემთხვევითი აღმოჩენებით დაგროვდა მეტად საინტერესო მასალები. რამაც გაამდიდრა ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ისტორია.

**თავი** II. გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში. აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ მეტად საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ცნობილმა მეცნიერმა და მოგზაურმა გ.ყაზბეგმა. იგი მოკლედ ეხება აგარისა და ხულოს ეკლესიებს. შედარებით ფართოდ აღწერს სხალთის ეკლესიას, ხიხანის ციხეს და ვარდციხეს. მიმოხილულია ხეობის გზები და საგზაო ნაგებობანი.

**თავი** III. თედო სახოკია „მოგზაურობანი“. აჭარა. აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული XIX საუკუნის მიწურულის და XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი ქართველი ეთნოგრაფ-მოგზაურის თ. სახოკიას მემკვიდრეობაშიც. მოგზაური საკმაოდ ფართოდ განიხილავს მიწისზედა ძეგლებს, მათთან დაკავშირებულ ხალხურ გადმოცემებს. ეხება ფურტიოს, დანდალოს, ხულოს, უჩხოს და სხვა თაღიან ხიდებს ხიხაძირის ეკლესიას, ვარდციხეს,ციხისყელს, ვერნების ეკლესიას, სხალთის ტაძარს, მის მარანს და ხიხანის ციხის ნანგრევებს და ა.შ.

**თავი** IV. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. პირველი სპეციალისტი, ვინც აჭარისწყლის ხეობის მიწისზედა მატერიალური კულტურის ძეგლებს

შეეხო, იყო ცნობილი ქართველი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე. შეიძლება ითქვას, რომ მისი მეცნიერული მემკვიდრეობიდან ყველაზე უფრო ძვირფასია სწორედ ის ნაწილი, რაც გურია-აჭარისა და მთლიანად სამხრეთ საქართველოს ეხება. წიგნში ყურადღება გამახვილებულია როგორც ქვემო, ისე ზემო აჭარისწყლისხეობის მატერიალური კულტურის ძეგლებზე. მათ მდგომარეობაზე, გზებსა და საგზაო ნაგებობებზე. დ. ბაქრაძე ზემო აჭარისწყლის ხეობის ძეგლების აღწერისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სოფ. სხალთის და იქ მყოფი განთქმული მონასტრის მეცნიერულ შესწავლას.

**დასკვნით** ნაწილში მოკლედაა შეჯერებული ცალკეულ პარაგრაფებში განხილული საკითხები და მოცემულია ჩვენეული ინტერპრეტაციები.

## თავი I. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ზემო აჭარის) მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლის ისტორიისათვის

აჭარისწყლის ხეობის ისტორიის შესწავლა სხვადასხვა მონაცემს ემყარება. ქართული წერილობითი წყაროები სამხრეთ-დასავლეთსაქართველოს, კერძოდ აჭარის შესახებ ძალზე მცირეა, თუმცა, ისინი მრავალმხრივ ცნობებს შეიცავენ საკვლევი რეგიონის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ.

ქართული წერილობითი წყაროების მიმოხილვას „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკებიდან დავიწყებთ. მართალია, ეს ცნობებიც ფრაგმენტული და მწირია, მაგრამ ისინი რამდენადმე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის, თუ რა როლს თამაშობდა აჭარა მოციქულთა ხანიდან ქრისტიანობის ქადაგება-გავრცელებაში, იმდროინდელი ქართულ სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ჯერ კიდევ ლეონტი მროველის თხზულების („ამბავი მეფეთა, პირველთა მამათა და ნათესავთა“) მიხედვით ირკვევა, რომ ქართლის მეფის, ფარნავაზის დროს სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული დაყოფით აჭარა შედიოდა ოძრხის საერისთავოში [ქც, 1955:253].

აჭარა მოიხსენიება დავითის ისტორიკოსის ცნობაშიც და იგი უკავშირდება გიორგი II დროს თურქ-სელჩუკთა ამაოხრებელ შემოსევებს. მემატიანის ცნობით, ეს ის პერიოდი იყო, როდესაც აჭარა და სხვა მეზობელი კუთხები „აღივსო თურქითა, მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქვეყანათა მკვიდრი ყოველი“. „წაიბილწა წმინდა ადგილები“ და დაიხოცნენ ეკლესიის მსახურნი“ [ქც, 1955:319].

შემდეგი ცნობა აჭარაზე „ქართლის ცხოვრებიდან“ გვხვდება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მონღოლთა უფლისწულის-თეგუდარის შემოსევის დახასიათებისას. მემატიანე წერდა: თეგუდარმა „მომართა მთათა ღადოსათა, კარჩხალთა და კარისათა, რომელ არს შავშეთსა და აჭარას და დადგა მთასა შავშეთისასა ფიჭვთას“ [ქც, 1959:257-258].

იმავე ჟამთააღმწერლის ცნობით, XIII საუკუნეში აჭარა მონღოლთა ყაენს დაქვემდებარებულ სამცხის ხასინჯუში შედიოდა სარგის ჯაყელის დროს. სამთავროს

საზღვრები მაშინაც და მისი მემკვიდრის- ბექას დროსაც ტაშისკარიდან შავ ზღვამდე ვრცელდებოდა. საინტერესოა კიდევ ერთი ცნობა „ქართლის ცხოვრებიდან“, რომელიც გიორგი III მეფობის პერიოდს უკავშირდება და ხიხანის ციხეს შეეხება. კერძოდ, აქ მოხსენიებულია „პატრონი ხიხათა“, რაც ხიხანის მმართველზე უნდა მიუთითებდეს [ქც, 1959:270, 273, 363; კახიძე, სიხარულძე, 2009:17-18].

,,ქართლის ცხოვრების“ გვიანდელი თხზულებებიდან განსაკუთრებულ ინტერესს ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი იწვევს. XVIII ს-ის პირველი ნახევრის ქართველ მეცნიერთაგან ვახუშტი პირველი იყო, რომელმაც მაშინდელი საქართველოს ცალკეული ხევებისა თუ ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხეების პარალელურად, აჭარის აღწერილობაც მოგვცა. მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში მას არ უმოგზაურია ამ კუთხეში ოსმალთა ბატონობის გამო, და მხოლოდ მანამდე არსებული მონაცემები შეკრიბა და გაანალიზა მისი ნაშრომი მაინც ფასეულია იმდროინდელი აჭარის ისტორიის შესასწავლად [ქც 1973].

სხვა ადრეული ქართული წერილობითი წყაროებიდან ჩვენამდე მოღწეულია XIII ს-ის ცნობილი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის ზემო აჭარის მკვიდრის აბუსერისძე ტბელის ნაწარმოებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე“, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა 1941 წ. მატიანეში ვრცლადაა აღწერილი აბუსერისძეთა მოღვაწეობა და, ასევე საინტერესო ცნობებია დაცული ხიხანის ციხის შესახებ [აბუსერისძე, 1941].

მნიშვნელოვანი წყაროს წარმოადგენს XVI საუკუნის დოკუმენტი - სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა და სამწყსოთა აღწერილობა, რომელიც აჭარის საეკლესიო დაყოფა-დაქვემდებარებაზე მიუთითებს. ძეგლის მიხედვით, ზემო აჭარა, ანუ „აჭარა დანდალოს ზეითი“ შავშეთთან და მასში შემავალ მიჭიხიანთან (მაჭახელთან) ერთად მტბევარის სამწყსოში შედიოდა, ხოლო ქვემო ანუ „დანდალოს ქვეითი“ ქუთათლის სამწყსოს ეკუთვნოდა [ბაქრაძე, 1987:77; კახიძე, სიხარულძე, 2009:21].

ქართული წერილობითი წყაროების გარდა ყურადღებას იქცევს უცხოურიც. უკანასკნელ წლებში სტამბოლისა და ანკარის არქივებში დაუნჯებული დღემდე უცნობი დოკუმენტებიდან ისეთებიც გამოვლინდა, რომლებიც აჭარას შეეხება. ესენია XVI-XVIII

საუკუნეებით დათარიღებული შემდეგი დავთრები: „ზემო და ქვემო აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“ შედგენილი სულთან სელიმ I დროს (1566-1574 წწ.), ,,ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთარი“.. დავთრები პირველხარისხოვანი წყაროა XVI-XVIII საუკუნეების აჭარის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად. მათში დაცულია ცნობები იმდროინდელი აჭარის მოსახლეობაზე, სოფლების რაოდენობაზე, გამუსლიმანების პროცესებზე, ქრისტიანი და გამუსლიმანებული მოსახლეობის საგადასახადო ვალდებულებებზე და ასე შემდეგ [კახიძე, სიხარულძე, 2009:24].

აჭარის შესახებ ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს „ჩილდირის ვილაეთის ჯაბა დავთარი“, რომელიც შედგენილია 1694-1732 წლებში. დავთრის ცნობები შეეხება ქვემო და ზემო აჭარის ლივების ცალკეული სოფლების შემოსავალს, რომელიც ახჩებში იანგარიშებოდა. აქვე დასახელებულნი არიან ოჯაქლიკის, ზეამეთის, საერთო სარგებლობისა თუ სხვა წესით გაცემული მამულების მფლობელები სახელისა და გვარის ჩვენებით; ჩამოთვლილია ქვემო და ზემო აჭარაში შემავალი სოფლები: კვაშტა, აქუცა, მერისი, წონიარისი, ზვარე, მელიქწმინდა, რაბათი, უჩამბა, სამულეთი, ჭვანა, ღურტა, ნიგოზეული, კვატია, ჯვარისახევი, ახალდაბა, ხულო. დავთარი მნიშვნელოვანი წყაროა XVIII საუკუნის პირველი ნახევრის, აგრეთვე მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიული გეოგრაფიის საკითხების კვლევაში [კახიძე, სიხარულიძე, 2009:25].

ბოლო პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის მთელ რიგ საკითხებს, ოსმალურ გადასახადებსა და საგადასახადო სისტემას, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ოსმალური წესების გავრცელებას და .შ. წარმატებით იკვლევს თურქოლოგი ზ. შაშიკაძე. მისი სამეცნიერო სტატიები გამოირჩევა გამოყენებული საარქივო მასალის სიუხვით, რომელიც მანამდე ქართველი მეცნიერებისთვის უცნობი იყო. ყურადღებას იქცევს ოსმალურიდან მისმიერ თარგმნილი XVI ს-ის 70-იანი წლებით დათარიღებული დოკუმენტი - ,,ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთარი“, რომელიც სხვა ინფორმაციასთან ერთად გვაწვდის საინტერესო ცნობას განვითარებული შუა საუკუნეების აჭარისწყლის ხეობაში ციხის რაბათების არსებობის შესახებ. წყაროში მოცემულია აჭარისწყლის ხეობის მოსახლეობისა და ქონების აღწერა,

სოფლების, მათში მცხოვრები კომლების, შემოსავლებისა და გადასახადების სახეებისა და ოდონობის ჩვენებით. აღწერის მასალებში შეტანილია მოსახლეობისაგან დაცლილი პუნქტებიც კი. დოკუმენტის მიხედვით ზემო აჭარის ლივა (სანჯაყი, სადროშო) ორ ნაჰიედ (რაიონად) იყოფოდა და მოიცავდა მთელ აჭარისწყლის ხეობას ჭოროხთან შესართავამდე. ზემო აჭარის ნაჰიეში გაერთიანებული იყო თანამედროვე ხულოსა და შუახევის რაიონების დასახლებული პუნქტები, ხოლო ქვემო აჭარის ნაჰიეში თანამედროვე ქედის რაიონის დასახლებული პუნქტები მდ. აჭარისწყლის ჭოროხის შესართავამდე [შაშიკაძე, 2011].

საკვლევი პერიოდის აჭარის ისტორიის შესწავლის წყაროებს შორის გამოირჩევა არქეოლოგიური გათხრების გზით მოძიებული ნივთიერი წყაროები. სწორედ არქეოლოგიურმა მასალამ გახადა შესაძლებელი შესწავლილიყო აჭარის ტერიტორიაზე არსებული ფეოდალური ხანის მიწისზედა თუ მიწისქვეშა კულტურის ძეგლები. არქეოლოგიური გათხრები კვლავ გრძელდება და ჩნდება მნიშვნელოვანი ნივთიერი მასალები, რომლებიც ყოველწლიურად ამდიდრებენ აჭარის ისტორიას.

აჭარისწყლის ხეობის მიწისზედა მატერიალური კულტურის ძეგლებით არაერთი მკვლევარი და მოგზაური დაინტერესებულა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი, პ. უვაროვა, თ. სახოკია, ზ.ჭიჭინაძე, ლ. მუსხელიშვილი, რ. მეფისაშვილი, ი. სიხარულიძე, ხ.ახვლედიანი და სხვა.

პირველი სპეციალისტი, ვინც აჭარისწყლის ხეობის მიწისზედა მატერიალური კულტურის ძეგლებს შეეხო, იყო ცნობილი ქართველი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე. შეიძლება ითქვას, რომ მისი მეცნიერული მემკვიდრეობიდან ყველაზე უფრო ძვირფასია სწორედ ის ნაწილი, რაც გურია-აჭარისა და მთლიანად სამხრეთ საქართველოს ეხება. წიგნში ყურადღება გამახვილებულია როგორც ქვემო, ისე ზემო აჭარისწყლისხეობის მატერიალური კულტურის ძეგლებზე. მათ მდგომარეობაზე, გზებსა და საგზაო ნაგებობებზე [ბაქრაძე, 1987]. დ. ბაქრაძე ზემო აჭარისწყლის ხეობის ძეგლების აღწერისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სოფ. სხალთის და იქ მყოფი განთქმული მონასტრის მეცნიერულ შესწავლას.

აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ მეტად

საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ცნობილმა მეცნიერმა და მოგზაურმა გ.ყაზბეგმა იგი მოკლედ ეხება აგარისა და ხულოს ეკლესიებს. ისიც შედარებით ფართოდ აღწერს სხალთის ეკლესიას, ხიხანის ციხეს და ვარდციხეს. მიმოხილულია ხეობის გზები და საგზაო ნაგებობანი [ყაზბეგი, 1995].

აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული XIX საუკუნის მიწურულის და XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი ქართველი ეთნოგრაფ- მოგზაურის თ. სახოკიას მემკვიდრეობაშიც. მოგზაური საკმაოდ ფართოდ განიხილავს მიწისზედა ძეგლებს, მათთან დაკავშირებულ ხალხურ გადმოცემებს. ეხება ფურტიოს, დანდალოს, ხულოს, უჩხოს და სხვა თაღიან ხიდებს ხიხაძირის ეკლესიას, ვარდციხეს,ციხისყელს, ვერნების ეკლესიას, სხალთის ტაძარს, მის მარანს და ხიხანის ციხის ნანგრევებს და ა.შ. [სახოკია,1985: 199-200]. მოაქვს ასევე სოფელთა ჩამონათვალი და იგი ასახელებს ჩვენთვის საინტერესო სოფლებს: აგარა, ალმათე, ახალდაბაბაკო, ბარათაული, ბეღლეთი, ბუთურაული; გოგაძე, გუდასხევი, გორხანაული; **დიდ-აჭარა,** დიაკონილი, დიაკონიძე, დარჩიძე, დოვანი; ვაკე, ვერნები, ვარდციხე, ვარჯანაული; ზემოხევი თხილვანა; იაკობაძე; კალოთა, კვატია, კარაპეტა, კვახიძე, კვიწინაძე: ლომანაური, ლაკლაკიძე; მანიაკეთი მახალაკიძე, მოპინეთი, მაწყვალთა; ნიგოზაული, ნადაბური, ნინოშვილები, ნამონასტრევი; ოქროპილაური, ოთანახევი, ოლადაური, ორთამელე; პაქსიძე, პაპოშვილები; რიყეთი; სხალთა; ტაბაძველი, ტაკიძე, ტბეთი; ფაჩხა **ფურტიო,** ღორჯომი, ღორჯომელაძე; ყადიოღლი; ჩაო, ცინტარიძე, **წინარიძე**, წყლის-საყარი, წაბლანა, ჭედლური, ჭვანა, ხულო, **ხიხიაძირი,** ხაბელაშვილები; **ჯაბნიძე.**

შუა საუკუნეების აჭარისწყლის ხეობის შესახებ მნიშვნელოვან მასალას იძლევა არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალები.

პირველი მკვლევარი ვისი ბარიც შეეხო აჭარისწყლის ხეობის ძეგლებს, იყო რუსი არქეოლოგი პ. უვაროვა. მან რუსეთის საიმპერიო არქეოლოგიური საზოგაოების დავალებით 1888 წელს იმოგზაურა აჭარა-შავშეთში. მკვლევარმა დაგვიტოვა საყურადღებო ცნობები აჭარისწყლის ხეობის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებისა და მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ. განახორციელა მცირე მასშტაბის

არქეოლოგიური სამუშაოებიც. შემდგომ, გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლომდე, ზემო აჭარაში რაიმე საველე სამუშაოები არ განხორციელებულა.

აჭარის სიძველეებით ეპიზოდური დაინტერესება მხარის ოსმალთაგან განთავისუფლებისთანავე დაიწყო. საკმაოდ ხშირი იყო შემთხვევითი აღმოჩენები: 1950 წ. სოფ. ღორჯომში (ნაომარი) მოპოვებული იქნა ადრებრინჯაოს ხანის ცული, 1968 წ. სოფ. ფუშრუკაულში ადრერკინის ხანის სამარხეული მასალა; 1955 და 1984 წწ ჭვანისწყლის ხეობაში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხური ცულები. სხვადსხვა წლებში კოლხური ცულების საინტერესო განძები აღმოჩენა დიდაჭარაში, მახუნცეთში, საღორეთში. 1970 წ სოფ. კოლოტაურში მოპოვებულ იქნა ადრებრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლები. ყურადღებას იქცევს ხიხაძირის ახლოს (ძაღლიმერე) აღმოჩენული ყურმილიანი დოქი.განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხიხაძირ-კალოთას შორის გამოვლენილი ბრინჯოს განძი, რომელშიაც გრავირებული კოლხური ცულებიც ალპური საძოვრებიდან, წაბლანის, ჭვანისა და დიდაჭარის ყიშლებიდან [მამულაძე, 1993:12-13].განხორციელდა მცირე მასშტაბის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებანიც. მაგრამ მაინც მხარის არქეოლოგიურ შესწავლაში ახალი ეტაპი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დაარსებას უკავშირდება (1958).

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ნ.ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა დაიწყო აჭარისწყლის ხეობის გეგმაზომიერი არქეოლოგიური შესწავლა. 1972 წ ამ ინსტიტუტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ განახორციელა დაზვერვითი სამუშაოები აჭარისწყლის ხეობის სათავეებში, გოდერძის უღელტეხილის მიდამოებში, ბეშუმის ე.წ. ნაქალაქარის ტერიტორიაზე. 1973 წ სხალთის წყლის ხეობაში შესწავლილი იქნა სოფლები: ხიხაძირი, ვერნები, თხილვანა, კალოთა ბაკო და ჩირუხის საზაფხულო იალაღები [მამულაძე, 1993:14-15].

70-80-იან წლებში შეიწავლებოდა უძველესი ნამოსახლარები, შუა საუკუნეების საეკლესიო ნაგებობები და მასთან დაკავშირებულ სამაროვნები, საფორთეფიკაციო ნაგებობები, ხიდები (კოლოტაურისა და კალოთის წინაქრისტიანული ხანის ძეგლები,

შუა საუკუნეების ხიხანის, საციხურის გოგოლაურის, ოქროპილაურის. ციხეები; ვერნების, თხილვანის სხალთის ეკლესიები და სხვა).

ნახევარი საუკუნის განმავლობაში თანამიმდევრული, გეგმაზომიერი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად დაგროვდა მდიდარი და მრავალფეროვანი ნივთიერი მასალა; შეიქმნა ძვირფასი წყაროთმცოდნეობითი ბაზა, მხარის ძველი ისტორიისა და კულტურის შესწავლისათვის. გამოქვეყნდა მრავალი მონოგრაფია თუ სხვა სახის ნაშრომი.

არქეოლოგიური კვლევა-ძიების ისტორიაში ახალი ეტაპი  დაკავშირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივასა და ახლად დაარსებული აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან, რომლის დაფინანსებით გაგრძელდა ფართო მასშტაბის არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი;  გათხრებს დღემდე ატარებს ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმისა და გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ-თანამშრომლები; სწორედ მათ სახელს უკავშირდება 2007-2015 წლებში ზემო აჭარაში განხორციელებული არქეოლოგიური სამუშაოები. დიდაჭარის, წაბლანის, ფურტიოს, ჯაბნიძეების  ნაეკლესიარების შესწავლა, რომლებიც სხალთის მთავარეპისკოპოსის მეუფე სპირიდონის  ლოცვა-კურთხევით მიმდინარეობდა; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხიხანის ციხის კვლევასაც.

## თავი II. სამი თვე თურქეთის საქართველოში

XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა შორის გიორგი ყაზბეგს მნიშვნელოვანი ადგილიუკავია. პროფესიით სამხედრო სპეციალისტმა თავისი შრომებით მნიშვნელოვნად შეავსო მანამდე არსებული ხარვეზები და დიდი კვალი დატოვა ქართულ გეოგრაფიულ მეცნიერებაში. ამ ნაშრომებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ''სამი თვე თურქეთის საქართველოში''.

სამეცნიერო ლიტერატურაში სამხრეთ საქართველოს ისტორიულ პროვინციებში გიორგი ყაზბეგის მოგზაურობა დაკავშირებულია სამხედრო-სტრატეგიულ და სადაზვერვო მიზნებთან. თუმცა როგორი მიზანიც არ უნდა ჰქონოდა ამ მოგზაურობას, გ. ყაზბეგი ყველგან ინარჩუნებდა ქართველი მამულიშვილის და პატრიოტის იმ თვისებებს, რომელსაც აინტერესებს დაკარგული მამულის ბედი.

გიორგი ყაზბეგი დაიბადა 1839 წელს, სოფელ სტეფანწმინდაში, ხევის განთქმული ფეოდალების ოჯახში. 1851 წელს სტეფანწმინდაში სტუმრად მყოფ კავკასიის მეფისნაცვალს ვორონცოვს უნახავს მცირეწლოვანი გიორგი, მოწონებია და ნიკოლოზისათვის შეუთავაზებია კადეტთა კორპუსში ბავშვის მოწყობა. დამთავრების შემდეგ გიორგი ყაზბეგმა მიიღო პორუჩიკის ჩინი და ქართველ გრენადერთა პოლკში დანიშნეს. აქედანვე ჩარიცხეს გენერალური შტაბის აკადემიაში,რომლის დამთავრების

შემდეგ 1870 წელს კავკასიის გრენადერთა დივიზიის შტაბში გადაიყვანეს და უფროს ადიუტანტად დანიშნეს. ამ დროისათვის  რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა ძალზე გამწვავდა. თურქეთის  ტერიტორიაზე ყოველგვარი მოგზაურობა ძალზე სახიფათო გახდა. თურქეთის საქართველოსადმი ინტერესი რუსეთის მხრიდან ძალზე დიდი იყო.რუსეთის სარდლობა ემზადებოდა ამ მხარეების შემოსაერთებლად,რისთვისაც აუცილებელად თვლიდა სამხედრო სტრატეგიულ დაზვერვას. არჩევანი კი გრიგოლ გურიელზე შეაჩერეს,რომელიც ენათესავებოდა აჭარელ და შავშელ ხიმშიაშვილებს, მაგრამ გრიგოლს სადაზვერვო გამოცდილება არ ჰქონდა, ამიტომ ამის ამალაში შეიყვანეს გიორგი ყაზბეგი, როგორც გურიელის მსახური. ასეთი მკაცრი კონსპირაციის მიუხედავად შერიფ ხიმშიაშვილმა ეჭვი მიიტანა გიორგიზე ,რომელიც ღამით ფარულად რაღაცას იწერდა. მას მძიმე პირობებში უწევს მოგზაურობა. გიორგი ყაზბეგის ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი ისიცაა, რომ მან ტბეთის ტაძარში მოიძია და ჩამოიტანა „ტბეთის სულთა მატიანე“  მე-12-17 საუკუნის შესანიშნავი ხელნაწერი ძეგლი, რომელიც ამჟამად სანკტ-პეტერბურგის აზიის ხალხთა ინსტიტუტში ინახება ( იგი ქართულად 1978 წელს გამოქვეყნდა თინათინ ენუქიძის გამოკვლევებით და კომენტარებით).

ილიას გარდაცვალების შემდეგ გიორგი ყაზბეგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავჯდომარედ აირჩიეს, აქ მეტად გამოვლინდა მხცოვანი მოღვაწის მამულიშვილობა და სამშობლოს სიყვარული. 1921 წელს საქართველოს მთავრობის ემიგრაციაში წასვლისას ყაზბეგმაც დატოვა საქართველო.

ზუსტად სამისაუკუნე 1578 წლიდან 1878 წლამდე,სამხრეთი საქართველო-აჭარა, შავშეთ-იმერხევი, არტანუჯი, ნიგალი, ლაზეთი დამპყრობელთა ხელში იყო. ეს არის საქართველოს წარსულის ის შავბნელი პერიოდი, რომლის შესახებ ჩვენმა ისტორიამ ძალზე ცოტა რამ შემოგვინახა. ეპიზოდურ ცნობებს ვხვდებით უცხო ისტორიკოსების ნაწერებში,მაგრამ ისინი იმდენად ფრაგმენტული და ტენდენციურია,რომ სრულ წარმოდგენას არ გვაძლევს საქართველოს ამ ისტორიული პროვინციების ყოფა-ცხოვრებასა და კულტურაზე, მის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე.

**„ზემო აჭარა“**

მკვლევარი სოფელ დერცელიდან გამოვიდა 22 მაისს, დილით. სტუმართმოყვარე მასპინძელმა გზა დაულოცა და საგზალიც ბლომად გამოატანა. სულ იყვნენ შვიდი ცხენოსანი და ათი ქვეითი, სამი ცხენით ტვირთი მიჰქონდათ. მათი ქარავანი გადავიდა მდინარე ქვაბლიან-ჩაიზე და შეუდგა ქვაბისჯვრის ეკლესიის ნანგრევების პირდაპირ მდებარე ტყით დაფარული მთის ციცაბო ფერდობებს.

დერცელიდან თურქეთისაკენ ორი გზა მიდიოდა: ერთი პურიეთის საგუშაგოზე, ხოლო მეორე ქვაბისჯვარზე გავლით. ამათგან პირველი უფრო მოხერხებული იყო, რადგან ნაკლები დაქანება ჰქონდა.

ჩრდილოეთისკენ იშლებოდა კედლად აღმართული აჭარის მთების შესანიშნავი ხედი, მწვერვალები თოვლით იყო დაფარული. ქედი წააგავდა ოდნავ დაკბილულ კედელს, სიმაღლით არცერთი მწვერვალი არ გამოირჩეოდა. მთები: შავნაბადა, გომისციხე, ნასაყდრალი და სხვები. თითქმის მეზობელი მთების სიმაღლისა ჩანდნენ. გზა სამხრეთისაკენ მიემართებოდა იმ ქედზე, რომელიც აღმოსავლეთიდან ეკვრის ვრცლად გაშლილ ტერიტორიას, მცხოვრებთა მიერ „მგვალმინდრად“ წოდებული. ქედის სიმაღლე შავი ზღვის დონიდან შეადგენდა 7.450 ფუტს. აქედან გზა თავქვე ეშვება აჭარის უახლოეს სოფელ ღორჯომისკენ. აქედან თვალწინ იშლება ღორჯომელთა ორი იალა, შორს კი ქვაბლიანი-ჩაის მარცხენა ნაპირზე მოჩანს კიდევ ორი იალა. ის ადგილი, სადაც ეს ორი იალა მდებარეობს ჩუდლაურად იწოდება. სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით მოჩანს ვრცელი ხედი ერთმანეთზე აჩონჩხილი ქედების, რომელთა უმრავლესობა თოვლითაა დაფარული. განსაკუთრებით გამოირჩევა რელიეფით კარჩხალის მთები. მათი შემდგომი გზა მიდიოდა არსიანის მთების ერთ-ერთი განშტოების თხემზე. ეს განშტოებაც თანდათან ქვევით ეშვება და აღმოსავლეთიდან გარს უვლის ღორჯომის ქვაბულს. 7 საათზე მივიდნენ ღორჯომელი მასპინძლის ოსმან-აღა მიქელაძის სახლში, სადაც 2 დღე გაჩერდნენ.

სოფელი ღორჯომი მდებარეობს მოედანზე, წერს ავტორი, რომელიც საყველაფერდისა და რგვალმინდვრის ქედების განშტოებათა შორის არის მოქცეული ქვაბულის მსგავსად. ორივე ეს ქედი არსიანის მთების სისტემას ეკუთვნის. სოფლის ტერიტორია ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ დაახლოებით 5 ვერსია,

აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ კი 3 ვერსია. ეს ვრცელი ტერიტორია უკავია ჯგუფ-ჯგუფად გაშენებულ სახლებს, მათ შორის მანძილი დაახლოებით ნახევარი ვერსი იქნება. აქ შეძლებულ ოჯახს 20-30 მეწველი ძროხა ჰყავს, რამდენიმე უღელი ხარი და შედარებით ნაკლები ცხვარი. სოფლის მეურნეობის მეორე დარგი მეცხენეობა აქ არ არსებობს, მიუხედავად ამისა, ყოველ კომლს ჰყავს ერთი საპალნე ცხენი მაინც.

ღორჯომის ღირსშესანიშნაობათაგან იხსენიებს გოგირდტუტოვანი წყაროს,რომელიც გამოდის ფიქლოვანი კლდიდან და ღრმა ხევში მიედინება. მეორე ღირშესანიშნაობაა ეკლესიის ნანგრევები, აქ მხოლოდ ქვების გროვა და ორი გვერდითი კედლის უბადრუკი ნიშნით შემორჩენილა. მაღლობს, რომელზედაც ეს ნანგრევია ნასაყდრალს ეძახიან. სოფელ ღორჯომიდან ხულოსაკენ მიმავალი გზა ძალზედ ცუდი იყო. ღორჯომის ქვაბულის ცალკეული წყაროები სოფლის ცენტრიდან დაახლოებით სამ ვერსზე ერთდებიან ერთ ახმაურებულ მდინარედ და გზას იკაფავენ ღორჯომის ქვაბულის ციცაბო კედლებს შორის, აქედან ეს მდინარე მახლობლად მდებარე 120-კომლიანი სოფლის დიდაჭარის სახელს ატარებს.

სოფელ დიდაჭარის შესახებ წერს: ,,სოფელი ბაღებშია ჩაფლული ძლივს თუ დაინახავთ აქა-იქ ამოშვერილ სახლებს“. სოფელ პაქსაძეების გასწვრივ მდინარე დიდაჭარას შეერთვის მოზრდილი ნაკადი, რომელსაც ბეღლეთის წყალს უწოდებენ, ეს მდინარე მიედინება არსიანის ქედის განშტოებას შორის მდებარე ვიწრო კალაპოტში , რომლიც სამხრეთ დასავლეთისაკენ მიემართება. ხულოდან ხუთიოდე ვერსზე დაბანაკდნენ ბობოქარ დიდაჭარის წყლის ნაპირზე, ამ ადგილას მდინარის მარჯვენა შენაკადია დიაკონაძის წყალი, რომელზედაც გადებულია ძველად ნაგები ქვის ხიდი. ხიდიდან, რომელმაც სახელწოდება სოფელთან ერთად მიიღო ქრისტიანობის დროს აქ მცხოვრებ ვინმე დიაკვნისაგან, იწყება აღმართი, ეს უკვე ხულოს, ზემო აჭარის დედაქალაქის ტერიტორიაა. ხიდის მახლობლად მდინარის მარცხენა ნაპირზე აღმართულია მაღალი კლდე, რომელსაც თავისი გრანიტული ჩონჩხი გამოუჩენია. ხულომდე მთელი საათი იყო სავალი, ბოლოს კი იქაური ბეგის სამყოფელს მიაღწიეს. ბეგის დიდი ხნის სახლი წააგავს იქაურ სხვა სახლებს, განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ მეტი ოთახები აქვს. ეს თავისებური სასახლე გარემოცულია მუსლიმანური სამყაროს

ბატონთათვის დამახასიათებელია ყველა ატრიბუტით; აქვს ახლო მეჩეთი, აშენებული ძველი ქრისტიანული ეკლესიის საძირკველზე. მეჩეთის მახლობლად არის მედრესე და დიდი გადახურული აუზი, სადაც მართლმორწმუნე ქართველები იკრიბებიან და დარბაისელურ მასლაათში ატარებენ დროს. ხულოში ორ დღეს გაჩერდნენ, მათ გაიცნეს შერიფ-ბეგ-აჭარლის ვაჟიშვილი და იქაური მუდირი და მათთან ერთად ცხოვრობდნენ სახლში.ამავე სახლში მოთავსებული იყო მეჯლისი.სასამართლოს ეზოში დილიდან საღამომდე ირეოდა მართლმსაჯულების მაძიებელთა და ცნობისმოყვარეთა ჭრელი ბრბო. მათი ტიპები ,ლაპარაკი, მსოფმხედველობა და ურთიერთდამოკიდებულება კარგ მასალას იძლეოდა დაკვირვებისათვის. პირველად გაეცნენ აჭარელის ხასიათს, მის შეხედულებას რუსეთსა და საქართველოზე. ამის შემდეგ წავიდნენ სხალთისაკენ, გზა მდინარისკენ ციცაბო დაღმართით დაიწყო. შუადღის 4 საათზე მიაღწიეს სოფელ ჩაოს, ეს სოფელი 50 კვამლისაგან შედგება, აქედან იშლება შესანიშნავი ხედი ერთი მხრივ ხულოსკენ, მეორე მხრივ ქვემო აჭარისკენ და მესამე მხრივ სხალთის ხეობისკენ.

ჩაოდან სხალთაში მიმავალი გზა შერიფ-ბეგის მზრუნველობით კარგად ყოფილა გაყვანილი. ადგილი, რომელიც ჩვენს რუკაზე სხალთის სახელით არის აღნიშნული, მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს, აქ იყო ძველი ეკლესია და რამდენადაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ ირგვლივ შემონახული ნარგავების მიხედვით, მდინარის ნაპირის გაყოლებით ყოფილა სოფელი, რომელსაც ახლა სხალთისწყალს ეძახიან. ძველი სოფლის ადგილას მხოლოდ ტაძრის ნანგრევებია, რომლის მახლობლად დგას შერიფ-ბეგის-ზემო აჭარის უფროსის ახალი სახლი.

სადღაა სოფელი? ამ კითხვაზე დადებითი პასუხი ვერავინ გასცა. ერთნი ამბობენ, რომ იქაური მცხოვრებლები უკანასკნელ ქრისტიან ეპისკოპოსთან ერთად იმერეთში გადასახლდენ და ეკლესიიდან თან წაიღეს წმინდანთა ხატები, მეორენი კი ამტკიცებენ მოსახლეობა ადგილობრივ ციებიან ჰავას გაექცაო, ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო დასაჯერებელია, მართლაც სხალთა ციებიანი ადგილია და მიუხედავად მისი ტოპოგრაფიული უპირატესობისა ამ არემარესთან შედარებით, სადაც აჭარლების სახლები ნაპრალებს შეჰკედლებიან აქ მაინც სამუდამოდ დასახლებას ვერავინ ბედავს.

სოფელი სხალთა გაშენებულია შავი ზღვის დონიდან 2.274 ფუთზე ანუ 1.117 ფუტით დაბლა ვიდრე ხულო. სხალთის ხეობა, რომელიც ხირხათის მთასთან იწყება (ეს უკანასკნელი არსიანის ქედს ეკუთვნის) მიემართება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და აღწევს მდინარეების სხალთის წყლისა და დიდაჭარის შეერთების ადგილამდე (სოფელ ფურტიოს მახლობლად) აქედან გაერთიანებული წყალი ვიდრე ჭოროხს შეერთვოდეს მდინარე აჭარად იწოდება.

ზემო აჭარის წარსული ცხოვრების საუკეთესო ძეგლია სხალთის ეკლესია, შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთადერთი ნანგრევია აჭარაში, რომელიც არქეოლოგიურ შესწავლად ღირს. ბატონ ნ. ბაქრაძის აზრით, რომელიც აჭარაში არქეოლოგიური მიზნით მოგზაურობდა სხალთის ეკლესიის ნაგებობა მიეკუთვნება საქართველოში საეკლესიო არქიტექტურის განვითარების საუკეთესო პერიოდს, ესეიგი X საუკუნეს. ეკლესია სიგრძით 25 ნაბიჯია, სიგანით 12 და სიმაღლით 4 საჟენი სახურავამდე, გარედან და შიგნიდან მოპირკეთებულია თიხოვანი კირქვის თლილი ქვით. ეკლესიის შიგა ნაწილი შელესილია და მთლიანად წმინდანთა ფრესკებითაა შემკული, საღებავები და წარწერები ბევრგანაა შემორჩენილი, მაგრამ ისტორიული წარწერა არსად არ ჩანს. შესასვლელთან (დასავლეთის მხრიდან) კარების ნიშში დახატულია მაცხოვარი, ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი-ესაა ეკლესიის საუკეთესო ფრესკები. კარებზე გამოხატულ ხატებს ბერძნული წარწერები აქვს, თაღის სიღრმეში, საკურთხევლის ზემოთ დახატულია იესო ქრისტეს უზარმაზარი ფიგურა, რომელსაც ხელში ხუცურად დაწერილი წიგნი უჭირავს გარშემო წმინდანთა სახეებია ასეთივე ხასიათის წარწერებით. ჭერი გამოყვანილია ლამაზი თაღებით, რომლებიც თლილი ქვის სვეტებს ეყრდნობიან. შესასვლელს სამხრეთის მხრიდან მოხდენილად გამოყვანილი თაღის ფორმა აქვს, აქეთ-იქით ძველ მინაშენთა ნანგრევები ჩანს. მთელს ეკლესიას ორმაგი გალავანი ჰქონია, გალავნის გარეთ ძველ შენობათა ნანგრევები ჩანს,ერთი ასეთი ნანგრევი ორსართულიანია: დაბლა, მიწისქვეშა სართულში შემონახულია მიწაში ჩაფლული ოთხი დიდი ქვევრი ადვილი მისახვედრია, რომ აქ მარანი ყოფილა, ზემო სართულში კი ალბათ, ღვინოს წურავდნენ. ეკლესია ამჟამად ისე დაძველებულია, რომ საკმარისია რამდენიმე ქვა გამოვაცალოთ კედელს და მთელი შენობა დაინგრეს.

სხალთაში თითქმის მთელი კვირა დარჩნენ იქაური ბეგის სახლში, მასპინძელმა აღმოსავლური სტუმართმოყვარეობისთვის დამახასიათებელი საუცხოო პატივი სცა. შერიფ-ბეგი 45 წლის იყო საშვალოზე მაღალი, წარმოსადეგი, მას ტიპიური ქართული სახე ჰქონდა, ძალზე ჭკვიანი, კარგი მოსაუბრე, თავისებურად განათლებული და რაც მთავარია ხელიდან ყველაფერი გამოსდიოდა.შერიფ-ბეგს 13 შვილი და 3 ცოლი ჰყავდა, იგი დაინტერესებული იყო შვილებზე მიეცა განათლება, მაგრამ ვაი, რომ მასწავლებლები არსად არ იყვნენ. ბეგის ბიბლიოთეკა შედგება რამდენიმე თურქული და ერთი რუსული წიგნისაგან.რუსული წიგნი იყო უშინსკის „მშობლიური ენა "ქართული წიგნები არ ჰქონდათ და ბავშვებიც ცოტას ლაპარაკობდნენ ქართულად. „ძალზე საოცარია,გვითხრა ბეგმა,რომ ბავშვებმა არ იციან თავის წინაპართა ენა.ეს იმიტომ მოხდა,რომ ბალღები აქამდე არდაგანში ცხოვრობდნენ,თავისი დედის ოჯახში".

სხალთაში 3 ივნისამდენ დარჩნენ, ბათუმში გაგზავნილი კაცის მოლოდინში. იმ ხნის განმავლობაში კი გარს ეხვეოდნენ ბეგთან სხვადასხვა საქმეებზე მისული აჭარელთა დიდი ჯგუფი. მცხოვრებთა გადმოცემით გაიგეს, რომ სხალთის წყლის პარალელურად, მისგან სამხრეთით მდებარეობს მირეთისხევი, სადაც სახლობს ზემო აჭარის სამი დიდი თემი, ეს მთელი აღმოჩენა იყო მათთვის, რადგანაც მათ ხუთვერსიან რუკაზე ეს ხეობა სრულიად გამოტოვებულია, იმ ქედს კი, რომელიც სხალთის წყლის მარცხენა ნაპირს მისდევს, შეცდომით ქვია იმერხევი. მდინარე მერეთისხევის წყალი გამოდის ჩირუხის მთიდან (არსიანის ქედზე), მის ორივე ნაპირზე გაშენებულია 11 სოფელი, იგი ერთვის მდინარე აჭარას სოფელ ფურტიოს ქვემოთ. სხალთიდან გამოსლისთანავე გზა მაღლა მიიწევს, სხალთიდან სამი ვერსის დაშორებით ნახეს აგურისფერი თიხის საკმაოდ სქელი შრე,იგი რბილია და გზის პირს უცნაურ ნახატად გასდევს. 9 საათსა და 45 წუთზე მიაღწიეს სოფელ კვატიის გიგანტურ წყაროს, ის ადგილი სხალთაზე 970 ფუტით მაღლა მდებარეობდა. სოფელ კვატიიდან გზა ისევ ზემოთ მიემართება, ხეობა თანდათან ვიწროვდება, გარშემო ტყითაა დაფარული. სხალთის წყლის მარცხენა ნაპირზე მოსჩანს სოფელი, რომელიც აქა-იქ გაბნეული 20 სახლისგან შედგება-ის იყო მერლე, იგი სოფელ სხალთაზე 1.100 ფუტით მაღლა მდებარეობს, შემდეგ გზა სოფელ ხიხაძირამდე ერთფეროვანია, მხოლოდ აღმართ-დაღმართებია.

სოფლიდან ნახევარი ვერსიით მაღლა უკვე კარგად ჩანს ბრტყელი ფსკერი იმ ქვაბულისა, რომელიც საფეხურებად ეშვება არსიანის მთავარი ქედიდან. იმ ტერასებზე განლაგებულია სახნავ-სათესი მიწები. იქვეა სოფლები: სუკუანა (უნდა იყოს მუმსუი, ამჟამად მთისუბანი, ხულოს რაიონი ) ქვემო თხილვანა,ზემო თხილვანა, მანსუი და ბაკო. სხვებზე მაღლა მდებარეობს სოფელი ბაკო, რომელშიც დაახლოებით 12 კომლია. ბაკო სოფელი ხიხაძირზე 1.330 ფუტით მაღლა მდებარეობს, ან თითქმის 300 ფუტით მაღლაა ვიდრე სოფელი სხალთა.

3 ივნის, ნაშუადღევის 3 საათზე, მივიდნენ სოფელ ბაკოში, რომელიც სხალთის წყლის ზემო-წელზეა გაშვებული და შერიფ-ბეგის სააგარაკო სახლში დადგნენ. სოფელ ბაკოს მიდამოები სოფელ ღორჯომს წააგავს: ისეთივე ტერასისებური ადგილები, დახრამული ღარტაფები, საიდანაც ყოველი მხრიდან მიედინება წყლები, რომლებიც მდინარე სხალთის წყალს წარმოშობენ. აქ გადის ახალციხიდან და არდაგანიდან ბათუმში მიმავალი საქარავნო გზები. ორივე ეს გზა გარს უვლის ხირხატის მთას, პირველი ჩრდილოეთით,მეორე სამხრეთით. მთის შუა ნაწილიდან სამხრეთით მოდის მყარი კონტრფოსი ეს განშტოება მთავარ ქედს ვიწრო ყელით უერთდება და ქმნის დიდ ბუნებრივ სიმაგრეს, რომელზეც ადამიანს გალავნისა და კოშკების აშენება მოუხერხებია. ეს ნაგებობა ხირხათის ციხის სახელით არის ცნობილი. ციხე- სიმაგრე ტყის ზოლის სიმაღლეზეა აშენებული, რომელიც აქ ზღვის დონიდან 6-500 ფუტს აღწევს. იგი შედგება 4-კოშკისაგან,რომლებიც გადმოკიდებულნი არიან ფლატეებზე, სოფელი ბაკოზე 2.300 ფუტით მაღლაა. 2- კოშკი განცალკევებით დგას ამაღლებულ კონცხებზე, დანარჩენი ორი ერთმანეთთან დაკავშირებულია ორმაგი კედელით, რომელიც სიმაღლით 2-არშინია, სისქით კი 2-ფუტი. კედლებს შორის შემორჩენილია 5-სახლის ნანგრევი და ქვით მოპირკეთებული ღრმა წყალსაცავი. ერთ-ერთ ნანგრევში ნახეს ოთხი უზარმაზარი, სრულიად მთელი ქვევრი, სხალთაში ნახული ქვევრების ზომისა. ცხადია ეს ქვევრები და წყალსაცავი წვიმის წყლის შესაგროვებლად ჰქონიათ, როდესაც ამ მიუდგომელ ციხეს აფარებდნენ თავს, თქმულების მიხედვით ხირხათის ციხე თამარ მეფეს აუშენებია თემურ-ლენგის შემოსევის წინ. აჭარელმა, რომელმაც ეს თქმულება გადასცეს, ისიც უთხრათ, რომ თამარ მეფისათვის ამ ციხე-კოშკში ალყა შემოურტყამთ, მაგრამ იგი დიდხანს

გამაგრებულა: მთა ქვეშ ზარზმამდე გზა გაუთრევინებია და იქ დადიოდა სალოცავადო, ამის შესახებ თემურ-ლენგს გაუგია ვიღაც ბერისაგან და დადარაჯებია მეფეს ზარზმაში, როცა ერთ შაბათ დღეს სახელოვანი ქალი მწუხრის ლოცვაზე მისულა, მას თავს დასხმია მტრის ჯარი. სხვა გამოსავალი რომ ვერ უნახავს, თამარ მეფეს საწამლავი დაულევია. ამ უხეში ანაქრონიზმის მიუხედავად ეს თქმულება მაინც ყურადღების ღირსია, რადგან იგი მოწმობს ხალხის ხსოვნას აჭარის წარსულზე. ხარხათის სახელი სხვა ამბავთანაც არის დაკავშირებული. შერიფ-ბეგის პაპა სელიმ ფაშა თურმე აქ ემალებოდა სულთანს და როგორც ამბობდნენ,ციხეში თავისი საყვარელი ცხენიც კი შეუყვანია. უკან დაბრუნებისას ნახეს ხირხათის მთის ძირთან ახლო მდებარე ალპური ტბა. ეს ერთი იმ სამ ტბათაგანია, რომელიც კვებავს სხალთის წყლის მარჯვენა სათავეს. ბაკოს სხვა ღირშესანიშნაობათაგან უნდა მოვიხსენიოთ ყინულოვანი მღვიმეები. შერიფ-ბეგის სახლის ახლოს ქვიშიანი ფიქლებისაგან ნაგებ კლდეში,რომელიც ქვაღორღითაა დაფარული, არის მღვიმეები, სადაც მუდმივად ყინული დევს. ბაკოს მიდამოებში, სასაფლაოზე, ქვის გროვის გვერდით, ვნახეთ ქვის უზარმაზარი ჯვარი სიგრძით 3 112 სიგანით 3 114 და სისქით 112 ფუტი. ადგილმდებარეობის დათვალიერებამ დაარწმუნა, რომ ისინი იდგნენ რომელიღაც უძველეს ნანგრევებთან. ზემო აჭარა არათუ ისე მდიდარია ძველი ძეგლების ნაშთებით, ამიტომ უნდა მოიხსენიოთ ერთი პატარა ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევები, რომელიც სოფელ კალოთისა და ხიხაძირის შორისაა, ვარდის-ციხისკოშკის მახლობლად, პატარა ხევში.

აჭარა იყოფა ზემო და ქვემო აჭარად, ზემო აჭარა ძირითადად ხუთი ხეობისგან შედგება: ხულოს, ღოტჯომის, ბეღლეთის, სხალთის, მერეთის ხევის და ჭვანის ხეობისაგან. მდინარეებს აჭარაში, ისევე როგორც მთელი თურქეთის საქართველოში, საკუთარი სახელები არააქვთ. ყოველი სოფელი, ყოველი შესანიშნავი საგანი აძლევს მათ სახელწოდებას, ამიტომაც ერთიდაიმავე მდინარეს აქვს რამდენიმე სახელი. იგივე შეიძლება ითქვას ხეობების შესახებაც. გამონაკლისია მდინარე ჭოროხი, ლაზისტანის მდინარეები და ხეობები. სხალთის გზის შემდეგ საუკეთესო გზები დიდაჭარის და ბეღლეთის ხეობაზე გადის. ამ უკანასკნელ გზაზე 1829 წელს გაიარა გენერალ საკენის რაზმმა.

ზემო აჭარის მიწის ნაყოფიერება შემდეგი მონაცემებით ხასიათდება: სიმინდი საშვალოდ ერთი ოცად, ერთი ოცდაათად, ხშირად ერთი ორმოცდაათად და კიდევ მეტად მოდის. ხორბალი კი ერთი ათად. ამ მიზეზებისა და იმის გამოც, რომ სახნავ-სათესი მიწები ცოტა აქვთ, ადგილობრივი მოსახლეობა თითქმის მარტო სიმინდს თესავს, ხორბალი მცირე რაოდენობით ითესება. ხილი უხვადაა განსაკუთრებით მსხალი და ვაშლი, ნაკლებად ყურძენი და ქლიავი. მესაქონლეობა ზემო აჭარაში ძლიერაა განვითარებული სოფელ ბაკოში, ხიხაძირსა და თხილვანაში, განსაკუთრებით კი ღორჯომსა და ნაღვარევში. მეფუტკრეობა ძველთაგანვე შეადგენდა აჭარის სიმდიდრეს, ახლა კი უმნიშვნელოდაა განვითარებული, რაც მეტისმეტად დიდი გადასახადის შემოღებით აიხსნება. საფუტკრე არსად უნახავთ მაგრამ, ის კი ამბობენ, რომ სკები მიმალული აქვთ ხშირ ტყეში რათ თავი აარიდონ მეათედ გადასახადს. ასეთია ის ქვეყანა, რომლის  შესახებ არა თუ ევროპამ, არამედ მისმა მეზობელმა რუსეთმაც თითქმის არაფერი იცის. არანაკლებ საინტერესოა აჭარის მოსახლეობაც. უკანასკნელი ტერასიდან სოფელ ღორჯომში ჩასვლისას მსხვილი რქოსანი საქონლის დიდი ჯგუფი დაუნახიათ, მწყემსად პატარა ბიჭები ედგათ პირველად დაინახეს აჭარლები და მათ თავს ეკითხებოდნენ, ნუთუ ერთმანეთს თურქულად ელაპარაკებიანმეთქი! ნუთუ აჭარაში საქართველო გაქრა? ბოლოს ახლოს მივიდნენ... და აღტაცებულები დარჩნენ. ბიჭები ქართულად ილანძღებოდნენ! ხულოში ნახეს ჩამოსული სომხები და თურქები,მაგრამ მკვეთრად გამოირჩეოდნენ აჭარლებისგან. მაღალი ტანი, სახის სწორი ნაკვთები, არწივისებური ცხვირი, ამაყი გამოხედვა, გძელი სქელი თმა, რომელიც თავზე ოსტატურად მოხვეული ყაბალახიდან ჩანდა. აი ასეთი იყო აჭარული მამაკაცის ტიპი, ქალები ახლოს არ უნახავთ.

აჭარა მთლიანად დასახლებულია ქართველური ტომის ხალხით, სომხებსა და ბერძნებს თითო-ოროლას თუ შეხვდებით ხულოში, ისიც ვაჭრებს. რელიგიის მხრივ, აჭარლები საკმაოდ მკაცრი მუსლიმანები არიან. შინ ყველა ქართულად ლაპარაკობდა, მაგრამ მოზრდილებმა თურქული ენაც იციან. ამბობენ, ამ თხუთმეტიოდე წლის წინ მოხუცებმა,ქალებმა და ბავშვებმა ყველა დროის და ხალხის ამ კონსერვატორებმა სულ არ იცოდნენ თურქული ენა; ახლა კი იციან ქალებმა,მაგრამ სანახევროდ. აჭარაში

ქართული წერა-კითხვის მცოდნენი თითზე ჩამოსათვლელია, მაგრამ არც თურქული წერა-კითხვის მცოდნეა ბევრი. სკოლები ცოდნის წყარო, თურქეთის საქართველოში არ არის, მედრესეში მხოლოდ ყურანსა და მაჰმადიანურ საეკლესიო დისციპლინას ასწავლიან მექანიკურად.

აჭარული საშინაო ყოფა ისეთვეა, როგორიც კავკასიის მთელი ხალხებისა. პატრიარქალურობა, მოხუცთა პატივისცემა, მდოგვად ქცეული სტუმარ-მასპინძელობა, თავშეკავებულობა, დიდი ცნობისმოყვარეობა და რაც ამიერკავკასიაში იშვიათად გვხვდება შრომისმოყვარეობა სახლის გარეთ ყველაფერს მამაკაცი აკეთებს, სამაგიეროდ სახლში დიასახლისი უძღვება ყველა საქმეს. ჯამთელობის მდგომარეობა ზემო აჭრაში, შეიძლება ითქვა, საუკეთესოა, ავადმყოფობა თითქმის არ არის, სიკვდილი უმნიშვნელოა. დამახასიათებელ ნავადმყოფობათაგან შეიძლება დავასახელოდ მხოლოდ ჩიყვი.

კონსტანტინეპოლის მთავრობისათვის თურქეთის საქართველო უმთავრესად შემოსავლის გადასახადების წყაროა და მთელი აქაური ადამიანის ტრადიციული პერსონალი თავის უმთავრეს მოვალეობად თვლის გადასახადების დროულად აკრეფას.ადმინასტრაციის და ხალხის ამ სავსებით შეთანხმებული შეხედულებიდან გამომდინარეობს, რომ არავინ ზრუნავს და არავინ მოითხოვს არც მართმსაჯულებას, არც გზების გაყვანას, არც სკოლას და არც საზოგადოებრივ უშიშროებას.

თურქეთის იმპერიაში (თანიზმათის) გატარების პერიოდში (1839-44წწ.) აჭარა ფაქტიურად თუქეთის ვასალური სამფლობელო იყო და მას ხიმშიაშვილების ბეგური გვარი მართავდა. ამ ბეგური გვარის ყველაზე გავლენიანი წევრი ახმედ ფაშა იყო აჭარაში თურქეთის სახელმწიფოს უფლებათა პირველი გამტარებელი. სულთნის წყალობით გულმოგებულმა ბეგმა, რომელიც თურქეთის საქართველოს ნამდვილი ბატონ-პატრონი იყო, პირველმა შემოიღო აქ გადასახადები. მისივე მფარველობით მოვიდნენ აჭარაში თურქი მოხელეები, მაშინ კი თურქულმა წესებმა თურქეთის საქართველოში ღრმა ფესვები გაიდგეს, თურქეთის მთავრობამ, რომელსაც აქამდე ვითომ დავიწყებული ჰქონდა თანზიმათის სიტყვები, ახლა გაიხსენა რომ „თურქეთის ყველა ქვეშევდომი ვალდებულია იხადოს გადასახადი ერთნაირი წესით“და , რომ

სახელმწიფოში მიწა ეკუთნის სახელმწიფოს, როცა აჭარელი ბეგები ამ მახეში გაებნენ, ოპოზიციაში ჩადგნენ, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

აჭარელთა თქმულებანი წარსულ საუკუნეს არ სცილდება, ისე კი ყველგან და ყველასგან  გაიგონებთ თამარ მეფის სახელს, ან მისმენთ იმ ამბავს, რომ ოდესღაც მთელი აჭარა ქრისტიანული ქვეყანა იყო, რომ მთის იქით ცხოვრობენ მათი ძმები და ნათესავები-ქართველები. ამ ამბებში მოჩანს აჭარელთა გულისტკივილი წარსული ძლიერების დაკარგვის გამო და რაღაც ბუნდოვანი მომავლისა. XVII საუკუნის მიწურულიდან ვრცელდება თურქეთის  მთავრობის ფაქტიური გავლენა კი მხოლოდ XIX საუკუნის დამდეგიდან იწყება, იმ დროიდან, როდესაც ერთის მხრივ ცეცხლითა და მახვილით, მეორე მხრივ კი აჭარელი ბეგების, განსაკუთრებით ხიმშიაშვილების ოჯახის წყალობით აჭარაში შემოიღეს თურქული წესები.

## თავი III. თედო სახოკია „ მოგზაურობანი“. აჭარა

თედო სახოკია ქართველ ეთნოგრაფთა იმ წრის თვალსაჩინო წარმომადგენელია , რომელმაც მოღვაწეობა ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაიწყო ჯერ კიდევ წარსული საუკუნის 80-90 იან წლებში და რომელმაც თავისი უანგარო და თავდადებული შრომით ქართულ ეთნოგრაფიას დიდი სამსახური გაუწია.

საქართველოს ისტორიის ამ პერიოდში ქართულ ეთნოგრაფიასაც შეჰქონდა თავისი წვლილი და შეძლებისდაგვარად ემსახურებოდა თავისი დროის საჭიროებებს. თედო სახოკია თავისი დროისათვის კარგად მომზადებული, გამჭრიახი და გონებამახვილი მკლევარი-ეთნოგრაფია. მას დაწერილი და დაბეჭდილი აქვს არა ერთი და ორი ეთნოგრაფიული ნარკვევი ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე. ამასთან ერთად თედო სახოკია ეთნოგრაფიული კოლექციების შესანიშნავი შემგროვებელია. მის მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული საკოლექციო კომპლექსები სხვადასხვა მუზეუმებშია დაცული. თავის ეთნოგრაფიულ ნაწერებში თ. სახოკია მოვლენებს და ფაქტებს აღწერს საკმარისი სისრულით, თითქმის ყოველმხრივ და შედარებით ზუსტად. ამის გამო და იმიტომაც, რომ ეთნოგრაფიული სინამდვილე ავტორის მიერ ფიქსირებულია დროის გარკვეულ მონაკვეთზე, აღწერილ მასალას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მკვლევარს აქვს შესაძლებლობა გარკვეული დროისათვის ფიქსირებული მასალა შეადაროს შემდეგ ხანებში მოცემულ ფაქტებს, ისევე როგორც წინა პერიოდის მოვლენებს და ამ გზით მოვლენის არსი, მისი წარმოშობის პირობები, მისი განვითარება, მისი „მოძრაობა“ გაარკვიოს. არსებითად ამავე ხასიათისაა ამ წიგნში მოთავსებული ნაწერებიც. მიუხედავად იმისა, რომ ფორმით ჩვენ საქმე გვაქვს მგზავრის წერილებთან, ავტორი მგზავრის შთაბეჭდილებათა გადმოცემის გზით ცოცხალ ეთნოგრაფიულ სინამდვილეს ასახავს.

თ.სახოკია ვრცლად გადმოგვცემს გურიის, აჭარი, სამურზაყანოსა და აფხაზეთის მოსახლეობის საწარმოო გამოცდილებას, შრომით ჩვევებს და კულტურულ ვითარებას. კერძოდ, მას აღწერილი აქვს ამ ტომების მიწისმოქმედება, მესაქონლეობა, ხელოსნობა, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, ჩაცმულობა, გადასაზიდი და გადასაყვანი საშუალებები, ყოფაქცევა, ზნეჩვეულება, ხალხური სიტყვიერება და სხვა, რომლებშიც

მოცემულია ბევრი ახალი, მანამდე ლიტერატურაში უცნობი ეთნოგრაფიული ფაქტი და თავისებურება. თ.სახოკიას მიერ აღწერილი ეთნოგრაფიული ფაქტები და მოვლენები მკლევარს აძლევს საშუალებას ახლებურად გაარკვიოს დღემდე უმართებულოდ გადაწყვეტილი რიგი საკითხი. თ. სახოკიას წილად ხვდა აჭარის ეთნოგრაფიული სინამდვილე შეესწავლა იმ დროს, როდესაც ამ მხარეში ახლად გადავარდნილი იყო თურქეთის ბარბაროსული ბატონობა და ამით მიყენებული ჭრილობა აჭარას ჯერ კიდევ მოშუშებული არ ჰქონდა. თურქეთის მხეცური თარეშის ნაკვალევზე ავტორი გულდასმით იკვლევს აჭარლების ეკონომიკურ მდგომარეობას, მათ კულტურულ ვითარებას და ახალი ცხოვრების ზეაღმავლობისა და წინსვლის ფაქტებს აფიქსირებს. ამჟამად ჩვენთვის ცნობილია თუ როგორი თანგანწირვით იბრძოდა და რამდენი სისხლი დაღვარა ქართველმა ახალგაზრდობამ რუსეთის ჯართან ერთად აჭარისა და შავშეთ-კლარჯეთის თურქეთის კლანჭებისგან განსათავისუფლებლად. ამას, სხვათაშორის კარგად მოწმობენ ომის დროს (1877-78 წწ ) დახოცილ ქართველ მეომართა დღემდე აქა-იქ დაცული საფლავები და საფლავის ქვების წარწერები.

აწინდელი ახალციხის მაზრის დასავლეთით და გურისს, ანუ ოზურგეთის მაზრის, სამხრეთით, აჭარისწყლის ხეობაში მდებარეობს ღრანტოვანი და ხევიან-კლდიანი კუთხე საქართველოსი-აჭარა. მუნ სახლობს ბუნების ყოველგვარ სისასტიკესთან მებრძოლი, მრავალჭილნახური, სიამეს დანატრებული ხალხი ქართველთა ტომისა. იმის წყალობით, რომ ეს ხალხი თურქეთის საზღვარზე ცხოვრობდა, ხან გულიდან მოწყდებოდა და, თურქთა ხელში ჩავარდნილი, მათი მტარვალობის მსხვერპლი ხვდებოდა საქართველო ღონეს მოიკრეფდა, წელში გასწორდებოდა, მტერთა მიერ მოსვრულ ოჯახს აღადგენდა, მტერს ლომივით შეებმოდა, წარსულის ჯავრს იყრიდა-და ეს მხარეც , სხვასთან ერთად, საქართველოს უბრუნდებოდა.

უკანასკნელად ორ საუკუნეზწე მეტი იყო ეს მხარე თურქთა ბატონობისა და ბრძანებლობის ქვეშ; აჭარა ორი საუკუნე მეტი კვნესობდა მათი მონობის, უღლით დატანჯული. ხოლო რაც თუ უკანასკნელად დაიპყრეს როგორც აჭარა, ისე სხვა მისი მოსაზღვრე ადგილნი (ართვინი, შავშეთი, იმერხევი და სხვა), თვითონ აჭარა უძლური იყო მტრისათვის წინააღმდეგობა გაეწია და ძალით ეხსნა თავი; თვით ცენტრი

საქართველოსი უკეთეს მდგომარეობაში არ ყოფილა, წარსული ძლევა-მოსილება არ დაჰბრუნებია, რომ მოწყვეტილ თანამოძმეთ მიშველებოდა. აჭარლების ასეთმა მდგომარეობამ მიაღწია რუსეთ-თურქეთის 1877 წლის ომამდე, როცა თურქეთი დამარცხდა და ამ ოცი წლის წინათ რუსეთმა, ბერლინის ტრაქტატის ძალით, ბათუმისა და ართვინის ოლქები ოსმალეთს ჩამოაცალა, და, მათ შორის, ეს მხარეც, რომელზედაც არის ლაპარაკი საქართველოს შემოუერთდა.

ძველად ზემო-ქართლად იწოდებოდა ნაწილი საქართველოსი, მტკვრის სათავისაკენ მდებარე, ანუ ძველივე სამცხე-საათაბაგო (აწინდელი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები და თვით აჭარა), განთქმული დიდებულებითა, ქადაგებლებითა, მწიგნობრებითა. ამ სამცხე-საათაბაგოს ნაწილს შეადგენდა აწინდელი აჭარაცა, რომელიც სამცხე-საათაბაგოსთან იყოფდა ჭირსა და ლხინსა, ებრძოდა საზოგადო მტერსა, მასთან ერთად იცავდა სარწმუნოებასა და თავის ეროვნულ დამოუკიდებლობასა. როდესაც საქართველოს პირველმა მეფემ ფარნავაზმა (301-237 წ. ქრისტეს წინათ) ალექსანდრე მაკედონელის მთავარსარდალს აზონს საქართველოს უკანასკნელი ნაწილი კლარჯეთიც წაართვა და საქართველოში სრულიად გამეფდა, ცხრა საერისთაოდ დაჰყო და ყველგან ერისთავები დასვა.

ბერძენთა მწერალნი აჭარას Abpapa-ს უხმობენ და მოხსენებულია X საუკუნეში, აჭარა, მათის მოწმობით,იყო ერთი იმ ოთხ საპრეფექტოთაგანი (ბერიაზახი, კარტანი, კუელი და თვით აჭარა), რომელნიც შეადგენდნენ იბერიის მეფის (კურაპალატი სუმბათი, 923-958) სამფლობელოსა. აჭარა მდებარეობდა, მათი თქმით,იმავე სახელწოდების მდინარესთან (აჭარის-წყალი), რომის იმპერიის საზღვრებზე. ბიზანტიელი მწერალნი იმის მეტს არას მოუთხრობდნენ იმ მხარის შესახებ. გასაკვირიც არ არის თვით მდებარეობა (მთა-გორიანი) ისეთი მიუვალი აქვს აჭარასა, რომ არც კარგ სავაჭრო გზად იყო გამოსადეგი და არც სხვა მხრივ წარმოადგენდა სახარბიელო რასმე. ასე რომ, მომეტებულ შემთხვევაში აჭარა უყურადღებოდ და განზე რჩებოდა.

არც ქართველი მემატიანენი აღნიშნავენ ამ მხარეს საკუთრივ. მოიხსენებენ მხოლოდ: ამათა და ამათ დაიპყრესო, და ეგ არის და ეგ! XIII საუკუნის მეორე

ნახევრიდან, ზემო-ქართლში ჯაყელთა გვარის გაძლიერების შემდეგ, აჭარა, ზემო-ქართლი და ლაზისტანი ჯაყელების (შემდეგში „ათაბაგებად“წოდებულების) ხელში იყო.

აჭარას შესასვლები გზები აქვს შემდეგი მხრიდან: ერთი-ბათუმის მხრიდან, ეგრეთ წოდებულ ბათუმ-ახალციხის შარა-გზით, მეორე-ამავე გზით ახალციხიდან (ყანლის მთაზეა გადმოსავალი); გურიიდან სამი გზა შედის: ბუუჯის-წყალის ხეობით თაგინურზე (2918მ.). აჭარის-წყლის ხეობით ბადიშზე. ამ სამში ბადიშის გზა ყველას სჯობია. შავშეთიდან სამი მხრივ შედის გზა: ერთია, მთა კორდა (2,640მ), მეორე-ხევა (3073მ) და მესამე- ყვირილა.

აჭარაში შესასვლელად მოგზაურმა აირჩია ბახმაროდან მიმავალი გზა ბადიშზედ ,საიდანაც დაღმართ-დაღმართ გზა ჩადის აჭარის პირველ სოფელ ღორჯომში. სანამ გზას შეუდგებოდა, წინასწარ ბახმაროში გაიცნო რამდენიმე დღით ასული ზემო-აჭარის უფროსი, კაპიტანი ალექს ბერიძე, რომელმაც დიდი სიხარულით მოისმინა მისი განზრახვა აჭარის დათვალიერებისა და ნამდვილი ქართულის თავაზიანობით აღუთქვა ყოველგვარი დახმარება იმ მისთვის უცხო მხარეში მოგზაურობის დროს.

პირველ-ეილას, აჭარის გზაზე მდებარე, ზოტი-ყელის ეილა ჰქვიან. ორი გზა მიდის იმ ეილაში: ერთი საცხენოა და შორს (7-8კილომეტრის მანძილზე) უხვევს, მეორე კი თვით ბახვის-წყალს აჰყვება, ხევ-ხევ, და ერთი-ორად ახლო სჭრის გზასა, თან უფრო ლამაზიცაა იქ ბახვის-წყალი ვიწრო კლდიან კალაპოტშია მოქცეული და იქით-აქეთ ნაძვნარი აკრავს.

საქართველოს სხვა კუთხის შვილებთან ერთად აჭარელნიც იყოფდნენ ჭირსა და ლხინსა, როცა მხარში ედგნენ ერთმანეთსა და ერთმანეთის სიერთგულეში სული ამოდიოდათ. როცა მათი ტკივილი მათ ესმოდათ და ათი ტანჯვა კიდევ-მათა, როცა თავსა სდებდნენ ერთმანეთისათვისა. იმ დროს ჰყვაოდა ქართველი ერი, გაბრწყინებული იყო მისი მამული. მათი სიმდიდრე კეთილ-დღეობა, ტაძარ-ეკლესიები მტერსა შურდა და ქვეყანას აკვირვებდა. თამარი მოკვდა განვლო ოთხასმა თუ ხუთასმა წელიწადმა. საქართველო დასუსტდა. აჭარა, რომელიც თავისი განაპირა ადგილას მდებარეობით, ჩვენი მამულის მცველად და დარაჯად ითვლებოდა, მტერმა დაიმონავა. ჩვენ, მათმა უძლურებამ გვაიძულა ღვთის ანაბარა დაგვეტოვებინა აჭარის მკვიდრნი.

სამასი წლის ბრძოლის შემდეგ, ხელი ააღებინეს სარწმუნოებაზე, შემუსრეს ეკლესიები და, ცოტა არ იყოს; შეულახეს ენაცა, ეს უკანასკნელი ძაფიცა, რომელმაც ისე უნდა შეაკავშიროს, შეაერთოს ძმურად და ურომლისოდ, რომელიც არუნდა იყოს ერი, თავის პიროვნებასა ჰკარგავს, არ ერობს.

პირველად მიდიოდა სამასი წლის განმავლობაში მათი გულიდან მოწყვეტილ ძმებთან. ეუბნებოდნენ, ქართული დაცულია მათ შორის და უფრო უკეთესიც,ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეშიო.მაგრამ მაინც ეკითხებოდა მის თავს:“ გავიგებ-ღა იმათსას და გავაგებინებ-ღა ჩემსას?“...

იმ ფიქრებში გართული კლდის ბილიკს აღმა შეუყვა რაღაც უცნაურ ხმაზე კივილი მოესმათ ქალისა ხმა თანდათან უახლოვდებოდათ და,ბოლოს,კლდის მოსახვევში, მოკივარსაც დაუპირისპირდნენ თურქულად მორთული დედაკაცი მირბოდა მათკენ. კივილის მიზეზი ისა ყოფილა, რომ მის ვაჟსდაუმსხვრდაო“ ბავშვი სადღაც გაიჭრა და ვაი თუ სადმე ღრანტელში გადიჩეხაო. მათ ჩაცილდა ქალი მაგრამ კივილის ხმა დიდხანს ესმოდათ.

გაათავეს ხევი. ტყე უკან დარჩათ და საბალახოზე გადავიდნენ, ტიალზე. ბახვის-წყალს ხმა უსუსტდება, ტანითაც პატარავდებოდა, მხარი ანუ მხარ-ნახევარი-ღა თუ აქვს განი. ძნელი დასაჯერებელია რომ ეს მოკძალებული მშვიდი და უწყინარი თითქმის მიკნავებული ბახვის-წყალი იგივე ბახვის-წყალია, რომელიც იმ ათის-თხუთმეტის კილომეტრის იქით მთას და ბარს ეომება დაჭრილ ლომივით, მთელის სახლის სიმსხო ქვებს კენჭებივით მიაგორებს, ჰგლეჯავს სოფლებს, ასწლოვან ხეებს... წინ შეეფეთათ ორი ცხრა-ათი წლის ბავშვი,-აჭარლების შვილები. მოკლე კვარტუა ეცვათ ადგილობრივად მოქსოვილი შალისა, ტანზე შემოჭერილი, ამავე შალის ძიგვა, საჯდომთან დანაოჭებული და ფეხებთან კი მჭიდროდ შემოკრული. თავზე წითელი ოსმალეული ფესები ეხურათ. თეთ გვრემანს, ცოტათი მზემოკიდებულ სახეს მეტად შვენოდა ყარყუმივით სავსე ტანი. მათ ნახვაზე დამფთხალ ჯეირანივით ყურები ცქვიტეს, ორი წყვილი გაოცებული ლამაზი თვალები მიაშტერეს. ხბორებს, ფერდზე შეფენილებს, თავი გაანებეს. “გამარჯობათ თქვენი! “შესძახა ბავშვებს შეკრთდნენ,ერთ ხანს ხმა ვერ

ამოიღეს,  თითქოს პასუხის მიცემას ვერ ახერხებდნენო. მერე გონი მოიკრიფეს და მოსხლეტით უთხრეს: “გაგიმარჯოსო!“.

ერთი საათის სიარულის შემდეგ მივიდნენ იმ ადგილა, სადაც ერთი სამხრეთიდან და მეორეც დასავლეთიდან გადმომდინარე მთის წყლები-ლაშისფერდის-წყალი და ჩდილოს-წყალი-ერთდება  და ორსავე ერთად ერთი სახელი ერქმის-ბახვის-წყალი. აქ არის ზოტის-ყელის ეილა, სადაც დგანან ზემო-აჭარის სოფლის ღორჯომის მცხოვრებნი თავიანთი საქონლითა.

მივიდნენ თუ არა, მის გზისმაჩვენებელ ჩაფარს აკითხინა სეფერ ხათიბ-ოღლი ირემაძე, როლმელთანაც ღამე უნდა დარჩენილიყო უთხრეს, სხვაგან წავიდა და,სადაცაა, დაბრუნდებაო. მანამდე, გნებავთ, აქ დაიცადეთ და გნებავთ იმის სახლში მიბრძანდით. ამასობაში, მასთან თავი მოიყარეს ირემაძის მეზობლებმა. ყველას ერთგვარად ეცვა ტანზე: შალის მოკლე ჩაქურა, დოშლუღი, ნაოჭწბიანი, ტოტებ ვიწრო ძიგვა, შალისავე სქელი ჭრელი წინდები და ქალავნები, წელზე ბრტყელი ქამარი აქვთ შემორტყმული, სრულებით სადა. თითოეული მათგანი, როგორც კი მიუახლოვდებოდა, ასე ორი-სამი მხარის სიშორიდან, ოსმალურად სალამს მიცემდა „სალამ ალეიქუმ’’ და მერე მარჯვენა ხელით პეშვს გააკეთებდა, დაბლა წაიღებდა, თან ცოტათი გადაიხრებოდა, მერე გასწორდებოდა, ხელს ტუჩთან მიიტანდა, ტუჩიდან შუბლზე მიიდებდა, შემდეგ ძირს დაუშვებდა და მანამ იდგა, სანამ ართხოვდა დაბრძანდითო. ნახევარ საათს არ გაუვლია, ერთმა გლეხმა ხონჩით მოიტანა ცხელი მჭადი, ბორა (დაჭრილი ყველი, ერბოთი მოხრაკულ ტაფაზე), ხავიწი (სიმინდის მოხარშული ღერღილი, ბლომათ ერბო ჩართული) და ყაიმაღი (ნაღები). სულ ყველაფერი ერთად ერთ ხონჩაზე ეწყო. პატარა მალხაზმა ბიჩმა გუგუმი (თუნგი  გაარბენინა და თვალის დახამხამებაში მშვენიერი, ცივი, ანკარა წყაროს წყალი მოიტანა. ჯერ ხელი დააბანინა და ერთმა მოხუცებულმა რომელმაც მასპინძლის როლი იკისრა, დიდი თავაზიანობით უთხრა: “ბრძანე, ბატონო!“ პირველად ვერ გაიგო მისი ქართული და მის თავს ჰკითხა რის თქმა უნდა! მაგრამ იმისმა საჭმლისაკენ გაშვერილმა ხელმა მიახვედრა, რომ საჭმლის ჭამასა სთხოვდა და მათებური „საჭმელი მიირთვით“-ის  მაგიერ „საჭმელი

ბრძანე“  ან მარტო“ ბრძანე“ სცოდნიათ. მანაც არ დააყოვნა  „მებრძანებინა“ ... საჭმლისათვის.

სანამ სადილს გაათავებდნენ, ოთხი გლეხიც მიემატათ. ერთი ხანში შესული გლეხი ახლოს მიუჯდა და ბოდიშის მოხდით წმინდა ქართულით უთხრა:  ’’კითხვა სირცხვილი არ არის,ბატონო!“ მართალია, ჩაფარსა ჰკითხა მისი ვინაობა, მაგრამ, ეტყობოდა, ვერ დააკმაყოფილა მისმა პასუხმა და ზემოხსენებული სიტყვებით მას მიუბრუნდა. იმის მაგიერ, რომ პირისპირ ეკითხა, რაც უნდოდა, იგავით დაიწყო, შორიდან. ეტყობა, ეს მანერა ლაპარაკისა, ძველთაგან დარჩენილი, დღესაც დიდ პატივშია.

იმ დროს ჩაფარმა ორ კაცს, სერ -სერ მიმავალს, თვალი მოჰკრა, იხმო ორივე. ხუთ წუთს უკან მგზავრნი მათთან იყვნენ. თვალწინ წარმოუდგათ ორი ჯვარელი მეგრელი,  ნაბდის წოწოლა-ქუდიანები, მოკლე, წყლის ფერ ჩოხებიანი.

-აქეთკენ რა გინდათ?-მოსვლის უმალვე გამარჯვების მაგიერ, ჰკითხა, ცოტა არ იყოს, გულმოსულად, ერთმა აჭარელმა მეგრელს.

-რადა, ცხენები დეიკარქა აქანეი და ინგენს ეძებდნენ.

-სტყუი, შე მეგრელო,-შეუტია აჭარელმა, აქ არაფერი დაიკარგოს, თორემ...- და თან დასძინა, რომ აქეთკენ საქურდლად დადიან მეგრელები, ცხენები არ შეარჩინეს .

....ერთ საათს უკან გაიგო იმავე აჭარელმა, რომ დედაც და მამაც მეგრელები ჰყავდა მათსტუმარს. თითზე იკბინა....

გაუკვირდა ასეთი უბოდიშობა და მუქარა. მაგრამ მათი საჩივარი არც თუ სულ უსაფუძლო ყოფილა: მერე გაიგო, საქმე ის გახლდათ, რომ მეზობლად, ბახმაროს მთებსა და იმის ახლო-მახლო ზაფხულობით საქონელი მუყენიათ მეგრელებსა, იმათთან ვითომ „სტუმრად’’ „ნათესავები’’ მიდიან ხოლმე სამეგრელოდან.“ აქეთ დაბლით ( ფეხით) მოდიან და უკან -კი ცხენებით ბრუნდებიანო’’.  ხოლო ეს ცხენები უეჭველად აჭარლებისა უნდა იყოს.

თურქთა ბატონობას, მართალია, ქრისტიანობა  განუდევნიან აჭარიდან და აჭარლები ძლიერ მმოსავნი გამხდარან მაჰმადისა, მაგრამ ქართული ენა მაინც შეურჩენიათ. ერთმანეთში სულ ქართულად ლაპარაკობდნენ. მაგრამ ყური უნდათ

შეაჩვიოთ. პირველ ხანში ძნელია მათი ნათქვამის გაგება. დიდი განსხვავებაა გურულ სხაპასხუპით ლაპარაკსა და აქაურების დინჯ ლაპარაკს შორის. ამ მხრივ აქაური ქართლელს უფრო მოგაგონებთ, ვიდრე დასავლეთ საქართველოს მკვირცხლ მკვიდრსა. ეგ სიძნელე იმისგან წარმოსდგება, მათი აზრით, რომ ზოგი სიტყვების ქართული სახელწოდება დაჰვიწყებიათ  და თურქულ სახელებს ეძახიან. ასეთი სიტყვა როცა ფრაზაში გაერევა, ხანდახან მთელი ფრაზის შინაარსი გაუგებარი რჩება მსმენელისათვის. აქვე შეხვდნენ ბევრ სიტყვებს, რომელნიც ან ძველ ქართულში ანდა კიდევ სამეგრელოში ხმარობენ. მაგალითად, შარვალს სამეგრელოში ძიქვა -ს (ქ-ს მაგივრად გ-ნია ხმარებული ). სხვათა შორის, აქვეა დარჩენილი ძველი,  საღმრთო წერილის სიტყვა, რომელიც რამდენადაც  ცნობილი საქართველოში სხვაგან არსად იხმარება, ანდა მათ მაინც არ გაუგონიათ. ეს გახლავთ საეკლესიო ნივთის, ფეშხუმის სახით გაკეთებული ხის ჭურჭელი, რომელიც სუფრის ალაგას იხმარება იქ და სახელადაც ფეშხუმი ჰქვია. მათი ყურადღება ძველი ქართულის ფორმამაც მიიქცია. არ იტყვიან: „მე არაფერი მეკარგება“,  არამედ ასე უნდა თქვან: “მე არაფერი მეკარგების“ ლაპარაკში იქაურები მეტად თავაზიანები არიან. არ შეიძლება რამე თქვან, რომ არ დაატანონ: “ბატონი,“ბრძანდები“, “თუ უკაცრავად არ გახლდეთ“ და ბევრი სხვა საბოდიშო სიტყვები, რომელნიც ქართული ენის ნიშანდობლივს  თვისებას შეადგენენ. ქალებმა ოსმალური არ იციან. მხოლოდ ქართულად ლაპარაკობენ და უამბეს, წმინდა ქართული ენა ქალებში უფრო დაცულიაო. იქვერ გაიგებთ იმ უწმაწურ სიტყვა-პასუხს, ურომლისოდაც ქართლერ დაბიოს ლაპარაკი ვერ მოუხერხებია. ლანძღვა დიდ სირცხვილად მიაჩნდათ.

ის ეილა, სადაც მათ იდგნენ, ზოტი-ყელის მთაზედ არის გაშენებული და სახელიც აქედან დაერქვა  (ზოტი-ყელის ეილა). სოფელი ხევშია და ყოველ მხრიდან დაფარულია ქარებისგან. ის მთა, რომელიც ადმინისტრაციულად ოზურგეთის მაზრაშია, ადრე, როგორც თვით ბახმაროს მთა, გურულ თავადებს, ერისთავებს, ეკუთვნოდა. ახლა კი, როგორც თვით ბახმარო, ისიც ხაზინის ხელშია გადასული, სამი წლის წინათ ატეხილ დავის შემდეგ აჭარელნი ( სოფ. ღორჯომიდან) იქ როგორც მაშინ, ისე გადმოდიოდნენ,

როცა აჭარა ოსმალების ხელში იყო და ზაფხულობით საქონელს აძოვებდნენ იქაურ მშვენიერ ალპიურ საბალახოებზე.

ზოტიყელის მთის საძოვრები ნარდად აქვთ აღებული იჯარით ზემო- აჭარის სოფლის ღორჯომის მცხოვრებს ზაფხულში 185 მ. ყოველი მათგანი იმის კვალობაზე იხდის ფულს, რამდენი სული საქონელიც ჰყავს.

ასეთი იელები ზოტი-ყელის ეილის მახლობლად ორი-სამი სხვაც არის აჭარლებისა. არის აგრეთვე ხუთი -ექვსი მდ . ბუუჯის სათავეში, თაგინულის მთაზე.

საქონელი იქ ყველას მომეტებულად თავთავისი აუდის. რიცხვი მათი ძალიან განსაზღრულია. ყველას იმდენი ჰყავს, რამდენიც თითოეული მეოჯახისათვის აუცილებლად საჭიროა, სახელდობრ: ერთი ან ორი ძროხა, რამდენიმე ხარი, 10-20 სულამდე ცხვარი და თხა.

საღამო ხანს მისი მასპინძელი ირემაძეც მივიდა. სეფერ ხათიბ-ოღლი ირემაძე, ასე, შუახნის კაცია, წარმოსადეგი ვაუკაცი. ღორჟომელების მოლაა. სხვა სოფლელებისაგან, ან როგორც იქ ეძახიან, სოფლიერებისაგან, ვერ გაარჩევთ: ტანისამოსი იგივე აცვიათ. მხოლოდ წითელი ფესი ეხურა და გარშემო დოლბანდი ჰქონდა შემობლანდული. ქართულს კარგად ლაპარაკობდა, იცოდა თურქული წერა-კითხვა. ქართული წიგნი რატომ არ იცი ჰკითხა? „გურჯული(ასე ეძახიან ქართულს) ქითაბი (წიგნი) კარგია, რომ ვიცოდე, მაგრამ მასწავლებელი არავინ მყავდა. მედრესეში (სკოლაში ) მარტო თათრულს ( აქ თურქულს თათრულს ეძახიან, თურქს კიდევ თათარს არქმევენ) გვასწავლიან. ჩვენს მემლექეთში (სამშობლოში, ესე იგი აჭარაში) გურჯული ქითაბი არავინ იცის“. უთხრა აზრი მისი იქ მისვლისა ძალიან გაიხარა მეტად სტუმართმოყვარეც გამოდგა.

მისი მასპინძლის სახლი, როგორც სხვებისა ორსართულიანია. ზედა სართულში ცხოვრობს ჯალაბი, ქვედაში-თავლა და ბოსელია ერთად. იმ განყოფილების გარდა, რომელიც სტუმართ დასაწოლიცაა, ორი სხვა განყოფილებაცა აქვს აქაურების კონაღი. მეორე განყოფილება საჯალაბოა და იმავე დროს სამზარეულოცაა.

საჯალაბოდან დაბალ კარში არის მესამე განყოფილება-სარძევეში. ეს ოთახი მარტო რძისთვის არის მიჩნეული და სარძევეც აქედან დაერქვა.

მერძეობაში მამაკაცს მცირედი წილი უდევს. აჭარელი მამაკაცი ეილაში ყოფნის დროს შეშას თუ მოიტანს ტყიდან, ან კარაქს თუ ჩაიტანს ბათუმსა და გურიაში გასაყიდად. დანარჩენი საქმე, როგორც მაგ: მოწველა საქონლისა ,ისე კარაქ-ერბო-ყველის კეთება სულ ქალებს აწევთ კისერზე. საქონელსაც კი ისინი გარეკავენ ხოლმე დილდილაობით საბალახოზე. ამ პირუტყვთან ერთად ნახევარ პირუტყვულ ცხოვრებას ეწევიან იქ საზაფხულოდ ასული აჭარელნი. მათი ზრუნვის საგანი ცალკე ზამთრისა და ცალკე უსაკვებობისაგან დავარდნილი საქონელი ზაფხულის თვეში მოაღონიერონ,სული მოათქმევინონ, რამდენიმე ბათმანი კარაქი გაყიდონ და ცოტაოდენი საზამთროდ შეინახონ.

როცა მისი მასპინძელი სახლს ათვალიერებინებდა წინდაწინ თვითონ შედიოდა ხოლმე და ქალებს გააფრთხილებდა, უცხო კაცი მოდისო და ისინიც იმალებოდნენ. ასე, რომ ოთახში შედიოდა პატარა ბალღები, 5-6 წლისანი,თუ დახვდებოდნენ შინაურების წარმომადგენლად და თვალებდაჭყლეტილი შესცქეროდენ. 13-14 წლის გოგოებიც-კი იმალებოდნენ, იმათაც ცოდვად მიაჩნდათ სხვა სარწმუნოების,არა-მუსლიმანს, სჩვენებოდნენ. იმ ხნის გოგონებსაც ჰქონდათ პატარა ჩადრები, რომლის ქვეშიდანაც ჩუმჩუმად ათვალიერებდნენ. უეჭველია, საცა პატარები ასეთები იყვნენ, მათი დედებიც იმათ უნდა ჩამოგავდნენ. მეტი გზა არ იყო,მისი ფანტაზიის სიცხოველეს უნდა დასჯერებოდა. ნაღლობდა, ნუთუ ისე უნდა წასულიყო აჭარიდან რომ იქაური ქალის სახე მხოლოდ წარმოდგენაში ჰქონოდა და ვერ ენახა? ბახმაროდან ხშირად გადმოდიოდნენ იქ ქალები და კაცები მათ სანახავად. როგორც უამბეს საშინლად უკვირს აჭარელ ქალებს, როცა ხედავენ, „გურჯის „ ხანუმები კაცებთან ერთად დადიან და ისიც უჩადროთ, მათთან ერთად თავისუფლად ლაპარაკობენ და ეს სირცხვილი არ არის მათში. ისიც უამბეს, რომ ზოგნი შენატრიან კიდეცა "გურჯის „ ქალების ასეთს ბედსაო.... და თავის მდგომარეობის შეცვლის სურვილს თამამადაც აცხადებენ .

ყველგან ქართულად ესალმებოდნენ. "გამარჯობას" რომ ეტყოდა, „გადღეგრძელოს" უპასუხებდნენ. მთელი სოფლის ცნობისმოყვარეობის საგანი იყო გამხდარი. დაბნელდა თუ არა, მათს სახლს დაუბრუნდნენ .იქ ადრე წვებიან, თითქმის მზის ჩასვლისთანავე. საქონელს დააბინავებენ თუ არა, იქაურნი მკვიდრნიც მოსვენებას

ეძლევიან. იქ ისე იციან: რაც საჭმელი გაუკეთებია დიასახლისა, ყველაფერი ერთად უნდა ელაგოს ფეშხუმზე. სანამ ერთს კერძსა სჭამთ, მეორეს ხუფი აქვს დაფარებული. წყლით სავსე თუნგი სახლის პატრონის ერთ -ერთ მოზრდილ ვაჟს უჭირავს, რომელიც თავს ედგათ, სანამ სუფრა არ ალაგდებოდა. ღვინოს ბახმაროშივე გამოეთხოვა მამაკაცთა სქესის გარდა ქალთაგანი, რათქმაუნდა მათთან არავინ გამოჩენილა. იმათი ხმა მათთან კაფიოდ შედიოდა. ქართულად მამაკაცებზე გაცილებით წმინდად ლაპარაკობდნენ.

ჯერ ისევ ცხრა საათი იყო, რომ მასპინძელმა „ძილი ნებისა“ უთხრა და საჯალაბოში გავიდა. ისიც მოსასვენებლად მოემზადა, ღამის სიჩუმეში ესმოდა, როგორ იჭუჭკებოდნენ საჯალაბოს მკვიდრნი მის ოთახში გამომავალ ჭუჭრუტანასთან და რამდენიმე წყვილი ცხნობისმოყვარე გულმოდგინედ ათვალიერებდნენ და ცდილობდნენ შეეტყოთ, „გურჯი“ (ე.ი. ქართველი ) როგორა წვებაო. დილის შვიდ საათზე, მზე რომ საკმაოდ ამოიწვერა და დანამული მიდამონი ათასფრად რომ ააბრჭყვიალა, საუზმის შემდეგ მადლობა გადაუხადეს მათ სტუმართმოყვარე მასპინძლურ გულუხვობისათვის და მათი ჩიჩერონე და ის ბადიშის მთის გადასვლას შეუდგა.

**ზოტი-ყელიდან ღორჯომამდე**

ათი წუთის სიარულის შემდეგ ზოტი-ყელიდან მომავალი გზის მსუბუქი აღმართი მთავდება და ვაკეზე ცხენი ადვილად მიდის. მისი ჩიჩერონე ღორჯომელი გლეხი სულეიმან ბერიძე, ღარიბულად ჩაცმული, ფეხით მიუძღვის წინ და აცნობს ადგილ მდებარეობას: მარცხნივ წამოზიდულია“ კვარჩხალის კალო“, თავისი მრგვალის მოყვანილობით, მართლა კალოს ჰგავს, მარჯვნივ აყუდებულია ქედები: “საყორნია“, “ფაფარა“, “ჯვარი-უღვთო“. ამათს შუა კიდე ვაკეა, მწვანე ხავერდის ფერი, ჩუმი. ერთი შეხედვით, თითქოს უშფოთველად დგას ეს მთები აჭარისა. თითქო ნაღველი და ხინჯი არ აქვთ-რა გულშიო. მაგრამ არა, ნაღველი იმ მთებსაც აქვთ, ადამიანებს არა ერთხელ აუმღრევიათ მათთვის სისხლი, არა ერთხელ შეუკრევინებიათ შუბლი. არ დაიწყებენ ეს მთები გურულ ლამაზ ქალებისა და ბავშვების სასოწარკვეთილ ტირილს, რომელსაც

არაერთხელ აუხმიანებია იქაურობა. ვინ იცის, რამდენჯერ შეუსვამს მთას მათი მდუღარე და უმანკოების ცრემლები.... ნახევარი საათის სიარულის შემდეგ ერთ ტრიალ მინდორზე გავიდნენ სახელად „ჩრდილა“ ერქვა იმ ვაკეს, ალბათ იმიტომ, რომ იქით-აქეთ მთის სერები ეკრა და უმეტესად დაჩრდილური იყო. შუა ალაგს იდგა ქვების ყორე, საზღვრის მაჩვენებელი, ის ყოფილა 1878 წ-მდე საზღვარი ოსმალეთის სახელმწიფოსი.იქ მდგარა რუსეთისა და ოსმალეთის მხრივ დაყენებული დარაჯები ორივე სახელმწიფო საზღვრების დასაცავად. თვალწინ გადაიშალა საუცხოო სურათი,ჯერ გამოჩნდა ქედები: “ბადიში“, “გორა“, “საქუდაფერი“ .იმათ იქით ცოტა მკრთალ ლაჟვარდ სივრცეში გამოხატულია რელიეფი აჭარისა, გარდი-გარდმო დასერილი მთებით, რომელთაც თხემნი შიშველნი ჰქონდათ და კალთანი მუქად დაფარული კლდით.

სანამ აჭარაში გადმოვიდოდა,ვინ იცის, რას არ ეუბნებოდნენ: მთელი აჭარა ფირალებით სავსეა, კაცს გავლა არ შეუძლია მათში, უეჭველად უნდა გაძარცონ, ან მოჰკლანო. მაგრამ, როგორც დარწმუნდა ეს ხმები მეტად გაზვიადებული იყო. სხვაგან ათასჯერ უარესი ამბები ხდება, მაგრამ ის არაფერია სწორედ ამაზეა ნათქვამი: სხვის თვალში ბეწვსა ხედავენ და თავის თვალში ძელსაც არაო. საწყალი აჭარლები! რაკი ერთი სახელი გაუტყდათ და ყბად აიღეს,მერე არაფერი ეშველათ.ფირალობა რა არის,ისე გაკადნიერდნენ აჭარლების ცუდად-მახსენებელნი,რომ საჯაროდ ამტკიცებდნენ,აჭარელნი გაუტანელნია. ამის მთქმელს დარწმუნებული იყო რომ აჭარელი თვალითაც არ ენახა. აჭარელი კაცმა ახლოს უნდა გაიცნო, რომ მართლა დააფასო მისი რაინდული ხასიათი.თუ კარგი გული უჩვენეთ თქვენთვის თავის დადებას ნეტარებად ჩათვლის ეს მთის შვილი მაგრამ თუ,ერთი ბეწოც არის, მუხანათობა შეგატყოთ, დაუნდობელია. შეურაცხოფა, მათი აზრით, მარტო სისხლით მოიბანება. მის დროს, განსაკუთრებით, იდიალური მშვიდობიანობა იყო აჭარაში. მთელი აჭარა ისე შემოიარა, რომ სიყვარულისა და თავაზიანობის მეტი არაფერი შეუმჩნევია იქაურ ხალხზე.

მარიამობისთვის ორში ღორჯომში შევიდნენ. თიბვის დრო იყო და მამათა სქესისათვის, 15 წლიდან მოყოლებული სულ მთებისაკენ იყვნენ გაკრეფილნი,

სოფელში ქალებს-ღა ხედავდნენ. თუ აივანზე გადმომდგარს დაინახავდნენ, მაშინვე ჩადრს აიფარავდნენ, "გურჯი" მოდისო, ეტყოდნენ ერთმანეთს, ოთახში შევარდებოდნენ და სარკმელიდან ათვალიერებდნენ, სანამ თვალს არ მიეფარებოდნენ. იქაური ნიადაგი მეტად უსწორ-მასწოროა, ალბათ, იმიტომ ვერ მოეხერხებინათ სოფლელებს სახლების ერთად დადგმა. ღორჯომი მეტის-მეტად მიუდგომელ ადგილასაა. ყოველ მოსახლეს თავისი საკუთარი ეზო ჰქონდათ სადაც ხეხილი იდგა და სიმინდი ეთესა. როცა იქაურ ჯუჯა სიმინდს უყურებს გაკვირვებისგან კითხულობს, ნეტავ ვისთვის ან რისთვის დათესა ამის პატრონმა ეს სიმინდი? ტანი იქაუე სიმინდს ერთი ალაბი არც კი ჰქონდა, ტარო - თითო გოჯი, ან სულ არ ჰქონდა. ეტყობა, ნიადაგი მეტად გამოფიტულია. გზად გაიარენ იქაურ ჯამეში, შენობა ხის იყო, გარშემო ოთხიოდე დუქანია, ხისავე მეტად დაბლები და პატარები.

გაიარენ რამდენიმე შუკა. წყაროები ყოველ ნაბიჯზე იყო, მთის წყალიც უხვად ჩუხჩუხებდა და მარდად აბრუნებდა ერთთვალა წისქვილს რომელიც იქ უხვად ნახევარმა საათმა გაიარა, სანამ მის სულეიმანას სახლს მიატანდნენ. ჭიშკარს მიადგნენ თუ არა, სულეიმანმა დიდი ბოდიში მოიხადა და უთხრა: "აწი კია ბატონო, სადილობა. ფუხარა (ღარიბი) სოფლიერი (სოფლელი) გახლავარ, თქვენი საკადრისი პატივისცემა არ შემიძლია, მარა თქვენ იცით, თუ არ დამემდურვით. "მან ბევრი არ აპატიჟებინა თავი და სულეიმანიც შეუძღვა სახლში. ერთი ფრიად მოსაწონი და მისაბაძი უნდა აღინიშნოს იქაურობის. ძალიან უყვართ გაჭირვებული მეზობლის გაკითხვა, რაც უნდა უჭირდეს იქაურ გლეხს, სხვა ერის კაცივით, შარაგზაზე არ გადადგება და გამლელ და გამომლელ ხელს არ გაუშლის.იქაურებისთვის დიდ სირცხვილად ითვლება, რომ ვინმემ თქვას, ღორჯომელი ფუხარა (ღარიბი) მათხოვრობდა. რა ღორჯომი, მთელი აჭარა მოიარა და ერთი მათხოვარი არ უნახავს. მარტო ერთხელ შეხვდა ერთი მეტის-მეტი ღატაკი გლეხი, ტანის სიშიშვლე ნახევრადაც არ ჰქონდა დაფარული. გაიცნო ცოლშვილიანი გამოდგა. მიცა, რაც რომ შეეძლო, მადლობა გადაუხადა, მაგრამ ამ მადლობის თქმაშიც მისი ღირსებაც იხატებოდა, სხვა ერის მათხოვარივით თავმოყვარეობა არ დაიმცირა და თავი არ შეაზიზღა გამკითხველს.

ზამთარი იქ ხანგრძლივი იცის. თოვს ხანდახან ენკენის თვეში დასდებს და მაისამდე არ აიღებს მერე, დიდი თოვლის მოსვლაც იცის. მაგალითად, 1896 წელს იქ ოცი მტკაველის სიმაღლე თოვლი დებულა. რათქმაუნდა, ადამიანს ბუნების ასეთ ძლიერებასთან საბრძოლველად ღონე არ ერჩის და იქაური გლეხიც წელიწადში 8 თვის განმავლობაში სახლში ზის გამომწყვდეული. აჭარაში თოვლის ზვავებიც ხშირია ამიტომ ისეთ სოფლებში ან სოფლების ისეთ უბნებთან, რომელნიც საზვაო ადგილას იყო გაშენებული, სახლებს ცოტა მოშირებით ტყე აკრავს ნაძვისა, რომელსაც"საფარი ჰქვია". იმ ტყის დანიშნულება ის იყო, რომ მთიდან წამოსული თოვლის ზვავი შეაჩეროს და სოფლელთა სახლები დაღუპვას გადაარჩინოს. მისი სულეიმანი გულუხვად უმასპინძლებოდა. საჭმელები იმნაირივე იყო და იმნაირისავე წესით გაუშალეს სუფრა როგორც ზოტიყელში. ასე რომ მეტია იმათ შესახებ კიდევ ლაპარაკი. იქ მხოლოდ იმას შენიშნავთ, რომ აჭარელს, თუკი რამ აბადია, სტუმრის პატივისცემა დიდ ნეტარებად მიაჩნია, სტუმარს ღვთის კაცადა სთვლის. თუ თვითონ არა აქვს რა მეზობელთან გადავა და იმას გამოართმევს -ეს სირცხვილად არ მიაჩნიათ.

ქრისტიანობის ნაშთი ღორჯომში არა არის-რა, მხოლოდ სოფელ აგარას ზემოთ, მთაზე ძველი „ქილისა" (ეკლესიაა). იქაურ მკვიდრთ არ ახსოვთ ეკლესიის შესახებ: წირვა როდის იყო შიგ ან როდის დაინგრა და სხვა. იქ ასვლისა და ეკლესიასთან მიახლოვებისა ეშინოდათ,მით უფრო ეშინოდათ ეკლესიის ქვებისათვის ხელი ეხლო ვისმე. ადრე ეკლესიის გარშემო წარწერიანი ქვებიცა ყოფილა, ალბათ საფლავებისა, მაგრამ იქ ხნულებია და ქვები არსად ჩანს. ეკლესია ოთხკუთხია, აღმოსავლეთისაკენ დამრგვალებულია. კედლები ერთი მხარის სიმაღლეზე შენახულა სიგრძეზე. საკურთხევლის ერთი ნაწილიც დაცულია. ეკლესიაში შიგნიდან ამოუთხრევინებიათ და უპოვნიათ: მინის ჭურჭლის ნამტვრევები, ღვთის-მშობლის ხატი თხელი ბრინჯაოსი,რკინის რგოლები, სულ პატარა და ტლანქად ნაჭედი ჯვარირკინისა, ორი ეჟვანი თითბრისა, რკინის გასაღები, რკინის დანა, რკინის და ბრინჯაოს ჩხირები, ვერცხლის ღილები, ნნატეხი მინის ფიალასი, ნახატიანი და ნატეხი ქვის ხატისა, ხელოვნურად ნაჩუქურთმევი, ქართულ-მხედრულ წარწერიანი, ამ ქვის ხატზე გამოსახულია მაცხოვარი, ღვთისმშობელი და სხვა წმინდანები.

უვაროვის ექსპედიციამ, როგორც აჭარიდან ისე ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებიდანაც, არქეოლოგიური მხრით რაც რამ ღირსეშესანიშნავი ნახა, ყველაფერი გაუზიდია, ასევე გაუზიდია ძველი ხატები და ხელნაწერებიც. დიდძალი საეკლესიო ნივთებიაწაღებული აფხაზეთიდან, გურიიდან, სამეგრელოდან, იმერეთიდან, რაჭიდან, სვანეთიდან და სხვა. სხვათაშორის, ამ ექსპედიციას ნაღმით დამტვრევა უნდოდათ, მაგრამ ვერაფერი დააკლო მარმარილოს ქვას, რომელიც ედო შავშეთში კურაპალატ აშოტის საფლავს, ამ მეფის მიერ აშენებულ ცნობილ ტბეთის ეკლესიაში. ტბეთში ტაძრის გარშემო ადგილები, თვით ეკლესიის საძირკვლებიც კი, სულ გადათხრილი იყო. დიდძალი ნივთები უპოვნიათ. ჩვენი არქეოლოგიისათვის ძვირფასნი, და წააღებინეს. აშოტ კურაპალატის საფლავის ჯერ გათხრა უნდოდათ, მაგრამ საფლავის ქვა ისეთი მძიმე გამოდგა, რომ 40 მუშამ ძვრა ვერ უყო. მაშინ, როგორც ითქვა, ბერძენ ოსტატებს უბრძანეს ნაღმით დამტვრევა და ნივთების ამოღება. ოსტატები გაკვირვებულები იყვნენ, რომ მარმარილოს ქვა ისეთი მაგარი გამოდგა, რომ ნაღმითაც ვერა დააკლეს რა.

მზე კარგად გადაიხარა, როცა ღორჯომიდან გავიდნენ. საღამომდე სოფელ ხულოში უნდა ჩასულიყვნენ. გზის იქეთ-აქეთ ფერდობნი სიმინდის ყანებს ეჭირათ, სადც სახლები იყო. გზად ბავშვები მრავლად ხვდებოდნენ, „გურჯი“ მოდისო შესძახოდნენ. დედაკაცებს ხელში ნამგალი ეჭირათ, ჩადრი ზურგზე ჰქონდათ გადაგდებული და მკიდნენ. საშინელი იყო იმდროისათვის დედაკაცის მდგომარეობა... ტანჯვა და წვალებაა იმ დატანჯული არსებების ხვედრი. ბუნებასთან ბრძოლა ხომ არ აკლიათ... რელიგიისგან დაჩაგვრა კიდე სხვაა. სახლში არიან ჩაკეტილი, არ შეუძლიათ გარეთ მამაკაცების საზოგადოებაში გაერიონ.

თუ გათხოვილი ქალის მდგომარეობა საბრალოა, არც გასათხოვარი იყო სახარბიელო დღეში. განსაკუთრებით, გათხოვების დროს არის საცოდავი იქაური ქალი. ისე ათხოვებდნენ, ან ვაჟს ისე შერთავდნენ ცოლსა, რომ არცერთი და არც მეორე იმდრომდე ერთმანეთს ვერ ნახავდნენ. რათქმაუნდა ზნეობრივ მხარეზე ლაპარაკიც კი მეტია ამ შენთხვევაში, ხშირად ხდებოდა ისიცა, რომ ვაჟი ქალმა ცოლობაზე უარი უთხრა, ძალას მიმართავდა, როგორც დასავლეთ საქართველოში იცოდნენ.

სულ დაღმართ-დაღმართ ეშვებოდნენ. გზა ხან ნახევარ ალაბის სიგანე ხდებოდა, ხან ხრამს გადასცქეროდა, სადაც ღორჯომის წყალი საშინელი ხმაურობით მიჰხუვის. აქა-იქ ხვდებოდათ თივით დატვირთული სელი. გაიარეს ძველებური ხიდი,სწორედ იქ სადაც ღორჯომის გზა იმ შარა-გზას უერთდება. გადმოცემის თანახმად ხიდი თამარ მეფის გაკეთებულია. რამდენიმე კილომეტრის შემდეგ ისინი ხულოს მიუახლოვდნენ, სადაც უნდა დაესვენათ.

**„ სოფ. ხულო და აჭარის წარსული“**

თამარის ხიდიდან სოფელ ხულომდე ერთ საათის სავალი გზაა. ორ კლდეს შუა საშინელი გრგვინვით მიმავალი აჭარისწყალი, დედა მდინარე აჭარისა, ერთბაშად განზე რჩება და ჩნდება ასე 8 დღიურის სიფართე ვაკეზე ზღვის პირიდან 1,131 მეტრის სიმაღლეზე. სადაც ჩრდილოეთით გაშენებულია სოფ. ხულო უწინდელი რეზიდენცია ახალციხის ფაშებისა: სელიმის და ახმეტისა, აგრეთვე ზემო აჭარის უკანასკნელი მმართველისა და პატრონისა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილისა. ხულოში, რომელიც ყველაზე დიდ სოფლად ითვლება ზემოაჭარაში, იქ მცხოვრებნი ორმოც კომლამდე არიან. სახლები ყველას, როგორც საზოგადოდ აჭარაში, ორსართულიანები აქვთ, ხისა; ზოგან ქვითკირის სახლიცაა. შუაგულ სოფელში აშენებულია ხის ჯამე, საძირკველად დატანებული აქვს ის ქვის მასალა, რომელიც დარჩენილა ოსმალთა მიერ ეკლესიის დანგრევის შემდეგ. ეკლესია სამოცი წლის წინათ მდგარა და მაჰმადიანთ პირველად პირდაპირ ჯამედ უქცევიათ. ლოცვად რომ მდგარან, ხოჯასი და მლოცველ ხალხის ხმა, გუმბათის რეზონანსის მიზეზით, ერთმანეთში არეულა. ამ უხერხულობის ასაცილებლად ქვის გუმბათი ჩამოუშლიათ და ხისა გაუკეთებიათ. მერე სულაც დაუქცევიათ ქვითკირის ეკლესია და იმის ალაგას აუგიათ ხის ჯამე, რომელიც დღესაც დგას. საძირკველს ერთგან ჩატანებული აქვს ძველი ეკლესიის ჩუქურთმიანი ქვა. ჯამეს წინ აუზია, მშვენიერი წყაროსწყლისა, სადაც გამაჰმადიანებული ქართველები ნამაზსა შვრებიან. აუზს იქით, ჩრდილოეთით, ნასახლარია შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილისა. ხოლო ჯამეს დასავლით ქვის გალავანშემოვლებული სასაფლაო შერიფ-ბეგის ნათესავთა. ყველა საფლავს ძეგლი ადგას მარმარილოსი. უმეტესობა საფლავებისა შამბით არის

დაფარული. ჯამის ცოტა მოშორებით ათიოდე დუქანია ხისა, პატარები, საწვრილმანოები, საყასბო, სამჭედური. ვაჭრები: ბერძნები და სომხებია.

ეს ზოგადი სურათია ხულოსი. ახლა მივმართოთ ხულოს და საზოგადოდ, აჭარის წარსულ ცხოვრებას. მე-17 საუკუნის ნახევრამდე აჭარა ხან გურულების ხელში იყო,ხან ოსმალეთში შედიოდა. ამხნიდან კი ეს უკანასკნელი საბოლოოდ დაეპატრონა და თან ქრისტიანობაც მე-17 საუკუნის ბოლოდან ისპობა თანდათან. მაგრამ ოსმალეთის გავლენა ფაქტიურად უფრო მე-19 საუკუნეში დაეტყო საქართველოს ამ ნაწილს. აქ თურქეთის ბატონობის მკვიდრად ფეხის მოკიდებას ხელს უწყობდნენ მაღალი წოდების პირნი. ბეგები, რომლებიც სხვადასხვა ჯილდოებითა და დაპირებებით პირადი სარგებლობით გატაცებულნი, ადვილად ელეოდნენ თავისი ხალხის თავისუფლებას, დამოუკიდებლობას და მამაპაპათა სარწმუნოებასაც.

აჭარაში,და განსაკუთრებით მის ზემო ნაწილში გავლენიანი იყო და მთელი მხარის ბატონად და პატრონად იმავთავითვე ითვლებოდა ხიმშიაშვილის გვარი. ეს გვარი, როგორც ზეპირგადმოცემა მოგვითხრობს, მონათესავეა არაგვის პირის ( დუშეთის მაზრა) ხიმშიაშვილებისა. მათ წინაპარს მე-17 საუკუნეში კაცი შემოკვდომიათ არგვის ხეობაში, მეფის რისხვას გაქცევია და აჭარაში შეხიზნულა. აქ, როგორც კარგ ვაჟკაცს თავი გამოუჩენია და მალე მთელი მხარის ბატონობა ხელთ ჩაუგდია. იგივე ზეპირიგადმოცემა მოგვითხრობს, რომ აწინდელი ხიმშიაშვილების წინაპარი აბდულა-ბეგი უბრალოა, მშვიდობის მოყვარე მწყემსი ყოფილა და ქვეყნის უფროსობა ფიქრადაც არ გაუვლია, როცა მწყემსის ჩომბახი ეჭირა ხელში და საქონელს უვლიდა. მაგრამ ბუნებრივმა ჭკუამ და სიმდიდრემ ხალხში გავლენა მოუპოვა. თავისთვის „ბეგი“ უწოდა და სხვამაც არ გაუტეხა ხათრიო. აბდულას ერთდროს მწყემსად ყოფილს, უკვე ვხედავთ აჭარელთაგან შედგენილ მეომართა რაზმის უფროსად, ძლევამოსილების მაძიებელს, გურიის სოფელ აკეთში თავად მამუკა თავდგირიძესთან მებრძოლს. მაგრამ ბრძოლის ველიდან ცოცხალი არ გასულა, ეს იყო 1782 წელს. აბდულა პირველიხიმშიაშვილი იყო, რომელსაც ისტორიაც იცნობს და რომელმაც საძირკველი ჩაუყარა ზემო-აჭარაში ხიმშიაშვილთა გვარეულობას.

წარსული საუკუნის უკანასკნელ წლებში აჭარა ახალციხის ფაშას, ათაბაგ შერიფ-ფაშას ექვემდებარებოდა. გარემოება მეტად აწეწილ-დაწეწილი იყო. ამით ისარგებლა სელიმ-ბეგმა ფეხი კარგად მოიმაგრა აჭარაში, ბატონი გახდა აქაურ მკვიდრთა და ახალციის ფაშას პირდაპირ,კადნიერება გამოუცხადა. სელიმ-ბეგმა შეკრიბა აჭარელნი და მათი შემწეობით 1803 წელს შერიფ-ფაშა ახალციხიდან განდევნა, ხოლო ფაშობა თვითონ ჩაიგდო ხელთ. სელიმ-ფაშას დრო როგორც აჭარა, ისე ახალციხის საფალშალი ლეკების ბუნაგად იყო ქცეული.ეს მტაცებელი ხალხი თავისუფლად დათარაშობდა ყველგან. სელიმ-ფაშას მთიელები ქართლის დასარბევად ჰყავდა დაქირავებული, ცოტ-ცოტათი ძლიერების ფრთები გაშალა, ქედმაღლურად დაიჭირა თავი და სულთანს თითქმის არცკი ემორჩილებოდა. სულთანს, რათქმაუნდა, არაფრად ეჭაშნიკებოდა თავისი ქვეშევრდომის ურჩობა და განურისხდა. სელიმი იძულებული იქნა ახალციხიდან ლტოლვილიყო, მას სიკვდილიც მიუსაჯეს. შერიფ-ფაშა ისევ დაბრუნდა ახალციხეში და თავის მეტოქეს ძებნა დაუწყო. სელიმ-ფაშა ამდროს აჭარაში იმალებოდა თავისი სახლობით, რადგან მასთან ერთად მის სახლობასაც ჰქონდა სიკვდილი მისჯილი.

1815 წელს სულთანის ბრძანებით არზრუმის სერასქირმა, ბაბა-ფაშა ( ფეხლევანმა ) აჭარაში ისევ გააგზავნა დიდი ჯარი, სელიმ-ფაშა ზემო აჭარის სოფელ ბაკოსთან ხირხათის ციხეში გამაგრდა და იქ იყო სანამ მოღალატემ ხელში არ ჩაიგდო. 1828 წელს რუს-ოსმალოს ომი ატყდა. სელიმის უფროსი შვილი აჰმედ-ბეგი უკვე დავაუკაცებული იყო, თანაც დიდი გავლენა ჰქონდა მოპოვებული ფოცხოვიდან მოკიდებული შავი ზღვის პირამდე. ხულოში სწორედ იმ ადგილას, სადაც ქრისტიანობის დროის ნანგრევებია სასახლე აუშენებია. რუსებისთვის ახმედ-ბეგისთანა გავლენიანი კაცის დაახლოება და მეგობრობა დიახ სასურველი და საჭიროც იყო. ამიტომ ახალციხეში დაბანაკებული რუსის ჯარის უფროსმა, თავადმა ბებუთოვმა 1828 წელს ახმედ-ბეგთან მოლაპარაკება გამართა. 1829 წელს ახალციხის გარშემორტყმისათვის ახმედ-ბეგს ფაშობა უბოძა და თანახმა გახდა რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღო. იმპერატორმა ნიკოლოზმა გენერალ-მაიორობა და სტანისლავის ლენტი უბოძა, რომლის მისაღებად ახალციხეში იქნა მიწვეული. მაგრამ მალე გარემოება შეიცვალა: თავადი ბებუთოვი გამოსცვალეს. ხოლო

ახმედ ფაშამ, რომელიც პირადათ იცნობდა ბუბუთოვს და ენდობოდა ვერ გაბედა ერთბაშად მინდობოდა, ახალციხის ჯარის ახალ უფროს გენერალ ბარონოსტენსაკენს. ამიტომ თუმცა პირობა მისცეს ახმედ-ფაშას არას დაგიშავებთო, მაგრამ მაინც არ წავიდა ახალციხეში. ბარონი ოსტენსაკენი მოლაპარაკებას აღარ შეუდგა და პირდაპირ აჭარაში წავიდა თავისი ჯარით, იმ გალაშქრების დროს ესეიგი 1829 წელს, მარიამობის თვეში ჟამი მძვინვარებდა აჭარაში და მცხოვრებნი ტყეებში იყვნენ გახიზნული. თვითონ ახმედ-ფაშა ქვემო აჭარაში იმყოფებოდა, რუსის ჯარი სოფელ რიყეთში, რომ მისულან ღორჯომში გაუგიათ, ხულოში მამასახლისები შეკრებილან და რუსეთის გენერლის მოციქულს დახვედრიან. მოციქულს უთქვამ: რუსები ბათუმში მიდიან, აჭარლებს არა ერჩიან, მაგრამ რა სოფელშიაც თოფი დაიცლება, იმ სოფელს ანაცარტუტებენო. გენერალს მოუთხოვია, რომ ახმედ ფაშა მიგებებოდა. მამასახლისებს სამი დღე ვადა უთხოვიათ, მაგრამ ამ დროს თვითონ ოსტენსაკენი მისულა ხულოში და რადგან ახმედ ფაშა ვადაზე არ გამოცხადებულა კამანდა გაუცია მისი სახლი გადაეწვათ. ამასობაში ახმედ ფაშას თავი მოუყრია 300-400 აჭარლისათვის და გადაუწყვეტია რუსები ბათუმისაკენ არ გაეშვა.

რუსის ჯარი ხულოში ორ ღამეს დარჩენილა და მერე ღორჯომისაკენ დაბრუნებულა მთელი დღე მოანდომა ხულოსა და ღორჯომის შუა გზის გავლას. იქ ჯამესთან მოედანზე კარავი დასცა და მეორე დღეს სოფლის მთის აღმართ შეუდგა, ახმედ ფაშა უკან ფეხდაფეხ მისდევდა და თავისი კაცები წინდაწინ გაგზავნა გზის შესაკვრელად. აჭარლები მთებზე გადმომდგარნი ზევიდან ქვებს აგორებდნენ და ჯარს საქმეს უბრკოლებდნენ. ეს უკანასკნელი ეპიზოდი იყო 1829 წლის ომისა, მალე ზავი ჩამოაგდეს. ახმედ ფაშას ყარსის გუბერნატორობა მისცეს და ერზერუმის ზერასქირად მოკვდა. 1829 წლის ომის შემდეგ, იმის წყალობით, რომ ახმედ ფაშას ოსმალეთის მთავრობის წინაშე დიდი სამსახური მიუძღოდა ხიმშიაშვილის გვარმა ხელში ჩაიგდო თითქმის მთელი ოსმალეთის საქართველო.

ახმედ ფაშას სიკვდილის შემდეგ მათ ძმებში ყველაზე გავლენიანი ქერ-ხუსეინ-ბეგი იყო. ახმედ ფაშის შვილის შერიფ ბეგის მცირეწლოვანების გამო მთელ აჭარას ქერ-ხუსეინ ბეგი მართავდა და ოსმალეთის მთავრობას ხელს უშლიდა იქ ოსმალური

წყობილების შემოღების საქმეში. ქერ-ხუსეინ ბეგის მოსახეშავად ოსმალეთიდან ჭყონია ფაშა კაცი მეტად სასტიკი გაუგზავნიათ, ის ქვედა აჭარაში, სოფელ ქედას დაბინავდა და იქიდან შიშის ზარსა სცემდა გარემო მცხოვრებთ. მაგრამ ქერ-ხუსეინ ბეგი მიუხვდა და გააძევა ქედიდან. მაშინ ჭყონია ფაშას მაგივრად სხვა იმაზე  უღონიერესი და უსასტიკესი კაცი ქეი-ოღლი გამოგზავნეს ტრაპიზონიდან. 4000 კაცი მივიდა აჭარაში და მთელ ქვეყანას წვა და სრვა დაუწყო, იმავე დროს ქერ-ხუსეინ ბეგის წინააღმდეგ ყარსის ფაშის ჯარმაც ილაშქრა. ხუსეინ ბეგი შეიპყრეს და ყარსში გაგზავნეს, მაგრამ მტერს ხელიდან დაუსხლტდა, მეორეჯერ ისევ დაიჭირეს და სტამბოლში გააგზავნეს. სადაც მოკვდა კიდეც. როცა ახმედ ფაშასა და ქეი ოღლის წყალობით თურქეთის მთავრობამ ხალხს თავისუფლება ნელ-ნელა გამოაცალა ხელიდან, მერე განიზრახა ბეგებისათვის წაერთმია იგივე დამოუკიდებლობა. მთავრობამ რაკი ყველა საბუთი ხელში ჩაიგდო სახელმწიფოს ყველა ქვეშევრდომი განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა ვალდებული იყვნენ ხარკი ეხადათ საერთო წესით.  სანუგეშო არც ბეგების მდგომარეობა იყო, ჩამოერთვათ  ძველებური  უპირატესობანი, ნებიერად ცხოვრებას ჩვეულნი ახალ რეჟიმს ვერ ეგუებოდნენ, ამიტომ ბეგებმა რუსებისკენ დაიწყეს ცქერა, ამბობდნენ  რუსების ხელში თავადაზნაურობა დიდპატივშია და თუ რუსეთმა ეს მხარე დაიპყრო ჩვენი უფლებანი ისევ დაგვიბრუნდებაო.

უკანასკნელი ბატონი ზემო აჭარისა ახმედ ფაშას შვილი შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი განსაკუთრებით ხელს უწყობდა რუსეთს აჭარის დაჭერის საკითხში. აი ამ მდგომარეობაში მოასწრო უკანასკნელმა რუს-ოსმალოს ომმა, როცა ოსმალეთი ძლეული 1878 წელს ბერლინის ხელშეკრულების ძალით იძულებული იყო  აწინდელი ბათუმისა და ართვინის ოლქები რუსეთისათვის დაეთმო. იმავდროს რუსეთის მთავრობამ შემოერთებული მხარის მკვიდრთ გამოუცხადა: „ ვისაც არ გსურთ აქ დარჩენა და ოსმალეთში გირჩევნიათ გადასახლება სამი წელიწადი ვადა გეძლევათ, ვინც ამ ხნის ვადაში გადასულხართ,  გადასულხართ მერე კი ნება არა გაქვთო“.  მთელი იმ სამი წლის განმავლობაში აჭარა შფოთავდა. ოსმალეთიდან დას-დასად მოსული აგენტები უჩურჩულებდენ იქაურებს, აშინებდნენ რუსის ხელში ძალიან გაგიჭირდებათო,

მაჰმადის რჯულზე ხელს აგაღებინებთო, ოსმალეთში წამოდით მიწა ბევრია და სულთანის მფარველობის ქვეშ თავისუფლად და ბედნიერად იცხოვრებთო.

ომის გათავების შემდეგ მთელს მხარეში საშინელი შიმშილი ჩამოვარდა. ხალხი ომში იყო გართული, ხელში იარაღი ეჭირა, ხვნა-თესვისათვის აღარავის ეცალა. ეს გარემოება და ფანატიკოს მოლების ქადაგება ერთმანეთს დაერთო, ააღელვა, გული აუცრუა იქაურობაზე და ისიც აიყარა. სამი წლის განმავლობაში ბათუმის ოლქიდან 38.000 სული გადასახლდა ორსავე სქესისა. შეეხიზნენ თურქეთს, მაგრამ თურქეთის მთავრობამ მეტად მცირე ზრუნვა გამოიჩინა მათს დასაბინავებლად: შიმშილმა, წყურვილმა, და ათასგვარმა გაჭირვებამ სასოწარუკვეთა გადმოხვეწილებს. ყოველივე ამას მოჰყვა აჭარელთა ამბოხება: მიზეზი ამ ამბოხებისა იყო ერთი მხრით, უტაქტო საქციელი ამ შემოერთებული მხარის ახალი უფროსებისა, რომელთა ხელშიაც მცხოვრებთა სვე-ბედი იყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ხულოში ზემო აჭარის ნაწილის კანცელარიას ცეცხლი წაუკიდეს და გადაბუგეს. მეორე მხრით ფანატიკოსი მოლები არ ისვენებდნენ და ხალხს უქადაგებდნენ: რუსები რჯულს გამოგიცლიან, ცოლებს გაგიუპატიურებენ, მიწა-წყალს წაგართმევენო.

**„ აწინდელი აჭარა „**

**ადმინისტრაცია** - ბათუმის ოლქის შემოერთების შემდეგ აწინდელი აჭარა ადმინისტრაციული მხრით ორად გაიყო, აღმოსავლეთით ახალციხის მაზრაა საზღვარი, ჩრდილოეთით-გურია, სამხრეთით შავშეთ-იმერხევი, და დასავლეთით სოფელი კიბე. რომელიც ქვემო აჭარის ნაწილს გონიის ნაწილისგან ჰყოფს. ამ საზღვრებში მოთავსებულია ზემო აჭარის და ქვემო აჭარის ნაწილები, ანუ საბოქაულონი. ზემო აჭარაში ნაწილის უფროსის სამყოფელია სოფელი ხულო, ხოლო ქვემოშასი სოფელი ქედა.

**სამართალი** - ამა თუ იმ დანაშაულისათვის სასჯელის გადაწყვეტა და მოდავეთათვის სამართლის გაჩენა აჭარაში ორი ადგილობრივი დაწესებულების ხელშია. ერთი სასოფლო სასამართლო, რომელსაც შეადგენს სოფლის მამასახლისი, იმამი და სასოფლო მოსამართლენი, ანუ მეჯლისნი. ეს დაწესებულება არჩევს პატარა, მცირე

მნიშვნელოვან საქმეთა. თუ მომჩივან-მოპასუხეთა სოფლის სასამართლოს განაჩენმა არ დააკმაყოფილა, საქმე გასარჩევად გადადის ნაწილი საერთო სასამართლოში. აჭარელი მეტად თავაზიანია, ზრდილი და პირადმთქმელი. აჭარელი ერიდება კაცის შეურაწყოფას, მაგრამ ერიდება იმასაც, რომ სხვებმაც არ შეურაწყონ იგი. შურისძიება „სისხლის აღება“ ძველთაგან დარჩენილია. თუ კაცი შემოაკვდა, მოელის, რომ მოკლულის ნათესავისგან ადრე თუ გვიან იმავე საწყაოთი მიეწყვის. აქედან წარმოსდგება ყაჩაღად გავარდნა, რომლის შესახებ ჰყვირიან ბუკითა და ნაღარითა.

**მცხოვრებთა რიცხვი** - სამწუხაროდ, უნდა ავღნიშნოთ, რომ მცხოვრებთა რიცხვი მეტად მცირეა აჭარაში და რაც არის ისიც დღითიდღე მცირდება, ან თუ მატულობს მეტად სუსტად. ამის მთავარი მიზეზი ჩვენი აზრით ქონებრივი უძლურება და აქაურ მწირ ბუნებასთან ზომაზე მეტი ბრძოლაა. ჯერიყო და იმ მხარის რუსეთთან შეერთებისთანავე თითქმის ნახევარი რიცხვი მკვიდრთა თურქეთში გადასახლდა მუჰაჯირად. იმ შემთხვევაში ეკონომიური მიზეზი იმდენად არიყო, როგორც ქადაგება მოლებისა და მათ მიერ ძაგება რუსეთის წყობილებისა. აჭარელნი,გულაცრუებულნი, თავის ერთ მორწმუნე ხალხთან ეძებდნენ ხსნას და სამშობლო მხარეს თავს ანებებდნენ.

## „ ეკონომიური მდგომარეობა“

**ხვნა-თესვა** - სული კბილით უჭირავსო, რომ იტყვიანო, სწორედ აჭარელზე ითქმის! იმ მხარეში ადამიანი იმიტომ ჩამოთესლებულა, რომ მთელი თავისი დღენი ძუნწ ბუნებას კრიჭაში უდგეს, შეუსვენებლივ ოფლის წურვით უნდა ებრძოლოს, რომ შიმშილით სული არ ამოხდეს. მთელი აჭარა, ორიოდე სოფლის გარდა, თავისი მთაგორიან მდებარეობის წყალობით ხვნა თესვისათვის უხმარია. ორიოდე სოფელი გამოერევა მაგალითად, ზემო აჭარის სოფლები: შუახევი, ხიჭაური, სადაც ჭირნახული შრომის ფას ააღებინებს გლეხს, სამაგიეროდ ჰაერის მხრით ისეთ პირობებშია, რომ ვაი ყოფნა და ვაი არ ყოფნა.

**საქონლის მოვლა-მოშენება.** ჭირნახულის ნაკლებობას აჭარაში ვერც საქონლის მოშენება ჰფარავს. რაკი ზამთრისათვის, რომელიც აქ, როგორც ვიცით, სულ

უკანასკნელი, რვა თვეს გასტანს ხოლმე, საკვები არ აბადია გლეხს, საქონლის გამრავლებაზედაც ძალა უნებურად ხელი უნდა აიღოს.

**მებაღეობა და მევენახეობა** - ხვნა-თესვისა და საქონლის მოშენების შემდეგ იქაურ გლეხს ასე თუ ისე შეღავათს აძლევს მებაღეობა და მევენახეობა. აჭარის შესახებ სამართლიანად ითქმის მთლიანი ბაღიაო. ხილი და განსკუთრებით მსხალი ყველგანა. მევენახეობის შესახებ სამწუხაროდ უნდა ავღნიშნოთ მხოლოდ ის, რომ მაჰმადის სჯულს ქრისტიანობასთან ერთად მეურნეობის ამ საპატიო დარგისთვისაც ამოუკვეთინებია ფეხი აჭარიდან. თითქმის ყველა სოფელში დარჩენილა უზარმაზარი ქვევრები ( შიგ 100 წლის ჩარჩენილი ღვინოცკი უნახავთ) იმასღა მოწმობს, რომ მეღვინეობას იქ ოდესღაც საპატიო ადგილი სჭერია.

**მეფუტკრეობა** - როგორც სხვა დარგი მეურნეობისა,მეფუტკრეობაც მეტად ჩამორჩენილია, ანუპირველ ყოფილ მდგომარეობაშია აჭარაში, თუმცა კი საზოგადო მდებარეობა აჭარისა და სიასხლოვე თაფლიან მცენარეებით დაფარული მთებისა მეტად ხელს უწყობს ფუტკრის გამრავლებას.

**შინა-ხელსაქმობა და სამუშაოდ გასვლა.**შინა ხელსაქმობაც მეტად დავარდნილია აჭარაში. მეაბრეშუმეობას აქა იქ კანტი კუნტად მისდევენ. ამ ოცდაათი წლის წინათ ბამბა ნარევ კანაფისაგან ტილოს საცვლებსა ქსოვდნენ. მაგრამ ესეც გადავარდნილია. ზემო აჭარის ზოგიერთ სოფელში, მაგალითად ბაკოში, ხის ჯამ ჭურჭელს აკეთებდნენ და არტაანში გაჰქონდათ, მაგრამ ისე იაფად იყიდებოდა ბაზარზე რომ შრომის ფასაც ძლივს ინაზღაურებდნენ. ოჯახის გარეთ, შიგვე აჭარაში სამუშაოს აჭარელი ძალიან ნაკლებად ჰპოულობს, ერთადერთი ალაგი, სადაც ორიოდე გროშ იღებდნენ შარაგზაა გაყვანილი ბათუმსა და ახალციხეს შუა 140 კილომეტრის მანძილზე. იქ ზაფხულობით სოფლელი ზოგი ქვას ამტრევს , ზოგი კლდეს არღვევს, ზოგიც გზას ასწორებს და ისე შოულობდნენ პურის ფულს

**გადასახადი.**იმ ეკონომიური მდგომარეობის საზოგადო მიმოხილვის დასასრულ, საჭიროა ორიოდე სიტყვა ბეგარა გადასახადის და იმ წესის შესახებ, რა წესითაც აჭარა უძღვებოდა უწინ ბეგარა გადასახადებს ოსმალების ხელში და უძღვება დღეს, როცა ის მხარე რუსეთის ხელში გადავიდა. ტრაპიზონის კალენდარი 1876 წლისა ასე აგვიწერს

ოსმალეთის მიერ შემოღებულ გადასახადებს. გაწერილი გადასახადი იყო: **,,სალიანი"**- ანუ ,,ვერგი". ყოველ წელიწადს სტაბოლში წყდებოდა, თუ რამდენი უნდა შეეტანა იმ გადასახადისა საფაშალიყოს. 1876 წლიდან გადასახადი მეორე გადასახადად შესცვალეს და ემლიაქი ერქვა, ესეიგი ქონებაზე იყო გაწერილი. ქონება რამდენი 1000 ყურუში ღირდა, იმდენი ოთხი ყურუში უნდა ეხადნა პატრონს.

**ბადალი ასქერია** -ამას იხდიდნენ უფრო ქრისტიანენი სამხედრო სამსახურისაგან გასათავისუფლებლად. ყველა ვაჟკაცი 20-40 წლისა იხდიდა 27 ყურუშს.

**აშარა**- მცხოვრებნი იხდიდნენ ყოველ მოსავლის ათისთავს. პური, ქერი, სიმინდი, ქერდიყა, თუთუნი, თაფლი, ბოსტნეულობა და ხილი. თუ ბოსტან ბაღი ეზოს გარეთ იყო, აგრეთვე ცხვრის ნამრავლი ყველა წყარო იყო გადასახადისა. თუ აშარას ფულით გადაიხდიდნენ მაშინ თახშირი ერვა. ეს გაწერილი გადასახადია მაგრამ თურქეთის მთავრობა გაუწერავ გადასახადსაც ართმევდა ხალხს. გაუწერავს ხარჯს ეკუთვნოდა.

**იხთიზაბ** - ადგილობრივი უფროსნი მცხოვრებთ მსხვილ და წვრილ საქონლისა და ცხენების გაყიდვის დროს ყველა 40 სულზე თითო ყურუშს ახდევინებდნენ.

**საპასპორტო** - გადასახადი ვინც სავაჭროდ უცხოეთში წავიდოდა ადგილობრივი ყაიმაკამი 40 ყურუს ართმევდა, ხოლო ვისაც თავის მხარეს სხვადასხვა ადგილას სურდა სიარული 6- ი ყურუში ხვდებოდა.

**ზებიე** - (სისხლისათვის)ყოველ დაკლულ საქონელზე 40 ფარას იხდიდა დამკვლელი.

**თემეთიუ** - ვაჭრობის გადასახდი იყო, ამ გადასახადს დუქნებზე ახდევინებდნენ.

**რემში** -გადასახადი რომელიც მოდავეთა შექონდათ.

**აბანოების ბაჟი** - როცა იჯარით გასცემდნენ ყოველ 1000 ყურუშზე 40 ყურუში.

**რემსი ქედა ეილაღია** - საქონლის ძოვების ბაჟი.

**ტყის ბაჟი** -ზოგიეთ ადგილას ახდევინებდნენ შენობის ალაგობრივ ღირებულების 1/5ს, შეშა კი უბაჟო იყო.

**თუთუნი** - როცა მეორე ოლქში შეჰქონდათ, თითოეულ ოყაზე 3 ყურუში უნდა მიეცათ.

**მარილს** - ბაჟი არედო მაგრამ ესეც იყო, რომ იქედან სხვაგან გაქონდათ ბათმანზე (18 გირვანქა) 4 ½ ყურუშს ახდევინებდნენ.

ყველა იმ გადასახადს ადგილობრივ ყაიმაკამები თავის სასარგებლოდ ჰკერფდნენ, ხოლო ზოგიერთ გადასახადის აკრეფას იჯარითა სცემდნენ ხოლმე.

**სწავლა განათლება.** აჭარა, როგორც ვიცით ზემო ქართლის ანუ სამცხე-საათაბაგოს ნაწილს შეადგენდა. ჩვენს ისტორიაში ეს მხარე ცნობილია ჩვენი საუკეთესო მწიგნობართა აკვნად და სამშობლოდ. ეს მხარე მართლაც სწავლა განათლებით, თუ წინ არა, უკან მაინც არა მდგარა საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით. დარჩენილი ნანგრევნი დიდებულთა ტაძარ ეკლესიათა უტყვნი მოწმენი არიან ძველი, ბრწყინვალე დიდებისა, მაგრამ მხოლოდ მოწმენი... რაკი ოსმალეთმა ხელში ჩაიგდო ეს მხარე, ხმლითა და ცეცხლით ბრძოლა გაუმართა აჭარლებს, დევნა დაუწყო მათს ენასა და მწერლობას. ორასი წლის განმავლობაში თურქთა კირთების ქვეშ ყოფნამ იმ ზომამდე მიიყვანა საქმე, რომ დიდებული ტაძრები და ციხე-კოშკები შეიმუსრნენ და მათ ნანგრევებზე ჯამეები აღიმართა. დიდებული მწერლობის ნიშანწყალი გაჰქრა და ქართული ენა შეიბღალა. ხალხის სწავლა-განათლების საქმე მოლებმა იკისრეს. ცალკე ამდენი ხნის ბრძოლამ, ცალკე ეკონომიურმა გაჭირვებამ იქამდე დააჯანდაკა აჭარის მკვიდრნი, რომ ქვეყნიერებას ჩამოაცილა. თურქეთმა საქართველოს ამ ნაწილს წაართვა, შეუბღალა და შეუგინა ყოველივე: თავისუფლება, მამა-პაპური ადათ-წესები, მათი სწავლა მოძღვრება, მათი წმინდა ენა. მათი ზრუნვისა და ფიქრის საგანი იყო, რომ მთის ხალხისაგან სისხლი ეწოვა, ათასი წვითა და ცრემლით მონაგარი წაერთმია და მათი ცოლ-შვილი კი ცრემლ შეუშრობელნი დაეყარნა. ასე ექცეოდა სხვებს და ეს პოლიტიკა ძარცვა-გლეჯისა, დაწიოკებისა და მტარვალობისა არც აჭარლების მიმართ შეუცვლია.

პირველი ჯამეები აშენდა აჭარაში თუ არა, მათთან ერთად დაარსდა თურქული მედრესე ( სასწავლებელი ), სადაც თვით უსწავლელი მოლები აჭარლების ბავშვებს ჯოხის ცემითა და ყვირილით არაბულს ასწავლიდნენ. წერა-კითხვის სწავლებასთან ერთად მოლა-პედაგოგი თავის შეგირდს გულში უნერგავს სიძულვილს ყველა იმ ერთა, ვინც მაჰმადის მმოსავნი არ არიან. მათთან კავშირის დაჭერა ცოდვა და მაჰმადის საწყენი საქმე იქნებაო. რაც შეეხება მთავრობას აჭარაში სკოლის გახსნის შესახებ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით სრულებით არაფერი გაუკეთებია. 1890 წელს ბათუმის სამისიონერო

განყოფილების მინდობილობით და გურია-სამეგრელოს მაშინდელი ეპისკოპოსის გრიგოლის დავალებით აჭარა მოიარა ბატონმა იონა მეუნარგიამ, გაიცნო მცხოვრებთა სარწმუნოებრივი მდგომარეობა, მათი ყოფა-ცხოვრება, წარსული, და თავისი მოსაზრება წარადგინა იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია „კავკასიაში ქრიასტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას“ აქეთკენ სწავლა-განათლების გავრცელება და საზოგადოდ აღდგენა ან დავიწყებული ქრისტიანობისაო. ეს მოხსენება მოხსენებად დარჩა, დაბეჭვდაც კი არ ღირსებია, და აჭარა - უსკოლოდ დარჩა.

1896 წელს „ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების“ სკოლების ინსპექტორი ბატონი ევტ. მამინაიშვილი იყო. მცხოვრებთ თხოვეს „საზოგადოების“ ხარჯით სკოლის გახსნა, მაგრამ როგორც გავიგეთ „საზოგადოებას“ უსახსრობისა გამო შესაძლებლად ვერ დაუნახავს აჭარლების თხოვნა დაეკმაყოფილებინა. ქართული ენა მიუხედავად საშინელი ბრძოლისა, რომელიც სარწმუნოების გავლენით მაჰმადიანობამ გამართა მასთან, თითქმის ხელშეუხებლად და პირვანდელი სიწმინდით დაცულა შიდა აჭარაში და განსაკუთრებით იმ ადგილებში, რომელიც ზედ აკრავს გურიას. მაგალითად სოფელი ჭვანის ქართული განთქმულია და შიგ მრავალ საუნჯეს ვპოულობთ ჩვენი ძველი ენისას. ოჯახში ყველა ქართულად ლაპარაკობს. მეტადრე ქალები არიან წმინდად დამცველნი ჩვენი ენისა.

ახალგაზრდობაში ქართული წიგნის მცოდნეს თითო-ოროლას თუ შეხვდებოდა კაცი ხულოსა და ქედაში, სადაც სამმართველოებში ქრისტიანი ქართველები ცხოვრობენ. არიან აჭარელი ჩაფრები, რომელთაც ამ მოსამსახურე ქართველთაგან ქართული წიგნი უსწავლიათ. ქედაში ერთი მიქელაძე ყოფილა, რომელსაც ჩვენს მწერლობაში მონაწილეობაც კი მიუღია და „ივერიის“ საშუალებით ქართველ საზოგადოებას აჭარის ამბებს აწვდიდა ხოლმე. ბეგებს შორის ზემო-აჭარაში აჭარის უკანასკნელი მთავრის შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის შვილმა ზექერია ბეგმა თითქმის თავისუფლად იცოდა ქართული წერა-კითხვა. რაც შეეხება ძველ ხელნაწერებს ერთნაირად გამქრალია. სახალხო სიტყვიერების ნიმუში კი ცოტა ჩაწერეს. ისიც შეუმჩნევიათ, რომ აჭარელი ლექსს ვერ იტყვის, თუ სიმღერაც არ ააყოლა. სიმღერა ხომ არ არის, მაგრამ ვეღარც საკრავებს იპოვით იქ, ერთადერთ საკრავი და იქაური

ცხოვრების სულიერი მდგომარეობის გამომხატველია - ჭიბონი ( რაჭული საზანდრის მსგავსი ). ძველებური ქართულის ნიშანი განსაკუთრებით შენახულია იქაურ სიტყვა-პასუხში. მათი ზრდილობიანი ლაპარაკი, თავაზიანობა, სურვილი სტუმრის ამებისა უმაღლეს განვითარებამდეა მიღწეული.

**ჩვენი ზრუნვა.** აღსანიშნავია ქართველების ღვაწლი ახლადშეერთებული ძმების განათლებისათვის. ვისაც თვალყური უდევნებია მაშინდელი გაზეთ „დროებისა“ და ჟურნალ „ივერიისათვის“, ეხსომება, რომ ნომერი ისე არ გამოვიდოდა, განსაკუთრებით „დროებისა“, რომ შიგ არაფერი ყოფილიყო ამ მხარის შესახებ. ბათუმის ოლქის შემოერთების შემდეგ შვიდ წელსაც არ გაუვლია, რომ „ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ განიზრახა ბათუმში სკოლა დაეარსებინა და ამ სკოლას სულიერად უნდა შეერთებინა მაჰმადიანი ქართველები დანარჩენ ქართველობასთან. ამაზე უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებდა საზოგადოება. 1895 წლის ზაფხულში აჭარის გაცნობა და მცხოვრებთა შორის ქართული წიგნების გავრცელება განიზრახა ბატონმა ზაქარია ჭიჭინაძემ. თან წაიღო იაფფასიანი სახალხო წიგნები, განგებ საამისოდ აღბეჭდილი: „არსენას ლექსი“, „ქალ-ვაჟიანი“ და სახალხო ლექსები. ყოველ წიგნს შიგ ჩაურთო ქართული ანბანი და გაუდგა გზას. როგორც იმ ზაფხულს, ისე 1896 წლის ზაფხულს ბატონმა ჭიჭინაძემ მოიარა ზემო და ქვემო აჭარის სოფლები, ხალხს უსასყიდლოდ დაურიგა წიგნები, შეკრიბა მრავალი ამბები, ამ მხარის გამაჰმადიანების შესახებ და ხალხში დარჩენილი და „ივერიის“ საშუალებით მკითხველ საზოგადოებას გაუზიარა.

**ოჯახი და ცოლ-ქმრობა.** ოჯახი აჭარელისა პატრიარქალურია, უფროსი და მბრძანებელი ოჯახის წევრებისა, სახლის უფროსია. მას ემორჩილებიან ყურმოჭრილად, სიტყვაშეუბრუნებლად. ქალს ხმა არაფერში აქვს, მას წილად ხვდა გარდა პირდაპირი სადიაცო საქმისა: ქსოვისა, კერვისა, საქონლის მოვლისა და წვრილფეხობის ყურისგდებისა, გარეთ ყანაშიაც მუშაობა ქმართან ერთად. მრავალცოლიანობა მაჰმადის კანონით ნებადართულია, მაგრამ ერთ ცოლზე მეტი იშვიათად თუ ვისმე ყავს. ერთ ცოლს მარტო შეძლებულები არ სჯერდებიან, ბეგებს თუ ჰყავთ ერთ ცოლზე მეტი.

მიზეზი ერთცოლიანობისა წმინდა ეკონომიურია, ქონებრივად დავრდომილ მკვიდრს სად ჰქონდა იმის თავი, რომ რამდენიმე ქალს მოუყაროს თავი და ასვას, აჭამოს!

წესი ცოლის შერთვისა აჭარაში თითქმის ისეთივეა, როგორც სხვაგან საქართველოში. შერთვამდე ვაჟს თავისი საბედო ხანდახან ნახულიც არ ჰყავდა ხოლმე, რადგან აღარც ქორწილში, აღარც ტირილში ქალი მამაკაცს არ ეჩვენება. მესამე პირის საშუალებით წყდებოდა ჯვრისწერის საქმე, რომელსაც „ელჩი“ ერქვა. ნიშნობის შემდეგ, ვაჟი თავისუფლად მიდიოდა სიმამრის სახლში. ქალთანაც ცოლქმრულ საქმეს იჭერს. ქორწილი შემოდგომაზე იცოდნენ. ცოლ-ქმრის განქორწინების წესიც თავის მხრივ სამგვარი ანუ სამტალახიანი (სამ მუხლოავანი ) იცოდნენ. ცოლის გაშვება ერთი ტალახით იმას ნიშნავს, რომ ქმარი დროებით აძლევს ნებას ქალს განშორების, ერთი ტალახით გაშვებული ქალი სხვაზე ვერ გათხოვდებოდა თუ ქმარი ნებას და ნიქაჰს არ მისცემდა. ორი ტალახით გაშვების დროს ხელახლა შერიგებისათვის კი, რა თქმა უნდა, სამი თვის განმავლობაში ქალის თანხმობაა საჭირო. სამი ტალახით გაშვების შემდეგ, ქალმა და კაცმა ძალიან გულითად რომ მოინდომონ სამ თვეზე ადრე ვერ შეუღლდებიან. ძველთაგან და იმ დროსაც დარჩენილი იყო ჩვეულება აკვანში მყოფ ბავშვების დანიშვნისა. ორ აკვანს, რომლებშიაც დედათასქესის და მამათასქესის ბავშვებია, მშობლები ერთმანეთს მიუდგამდნენ და იმ დღიდან ქალ-ვაჟი ერთმანეთის ცოლ-ქმრად ითვლებოდნენ.

**სამოსელი.** რამდენადაც თავისებურია ბუნება აჭარისა, იმდენადვე თავისებური იყო სამოსელი მისი მკვიდრისა. რაკი ცხენით სიარული აჭარაში მეტად სამძიმო იყო და რაკი მკვიდრიც იძულებული იყო აღმართებზე თავის ფეხებზე დაეტანა ძალა, სამოსელიც აღმართ-დაღმართის შეფარდებით გამოუგონიათ. მეტი აჭარელის სამოსში არაფერია. სამოსი მოკლე და ტანზე მჭიდროდ ჰქონდათ დამდგარი. აჭარელი ქალის ტანისამოსი კი თავისებურია. ზევიდან იცვამდნენ ქათიბის მსგავს ხირხას ჩითისა, დაბამბულს ან უბამბოს.

**ხალხის ჯანმრთელობა და მკურნალობა.** ჰაერი აჭარისა საზოგადოდ მეტად მრთელია. არის რამდენიმე სოფელი, სადაც ციება ზაფხულობით საკმაოდ სტანჯავთ სოფლელთ. ასეთი სოფლები ( შუახევი, ხიჭაური ) მეტად ჩავარდნილ ადგილებშია

გაშენებული, წყლის პირას, თითქმის ყოველი მხრით კლდეებით არიან შემოზღუდულნი და ჰაერის მოძრაობა მეტად შეჩერებულია. ციების გარდა ზოგიერთ სოფელში ( მურისი და ცხმორისი ქვემო აჭარაში, ღორჯომი ზემო აჭარაში ) ჩიყვიც იყო სოფლელთა შორის. მკურნალობა სოფლებში მოლების ხელში იყო. პედაგოგობის გარდა ისინი ხალხსაც მკურნალობდნენ. რაცუნდა სენი ჰქონოდა ავადმყოფს, მოლა უკან არიხევდა, ყველაფერში მეცნიერობას იჩენდა. მათი წამალი შელოცვა და თილისმები იყო, თუ ავადმყოფი მორჩებოდა დიდება და სახელი მოლას. გასამრჯელოს მოლას თილისმებისა და ლოცვებისათვის ზოგჯერ 5-3 მანეთამდე აძლევდნენ.

**თამარ მეფის ხსოვნა**

მეფე თამარის ხსოვნა საზოგადოდ ჩვენი ქვეყნის განაპირა ადგილებშია ხშირად დარჩენილი. განსაკუთრებით ბევრი ამბავი ყოფილა დაცული მეფის ცხოვრების შესახებ აჭარაში. თამარი იქაური ქართველების მეხსიერებაში აღბეჭდილი იყო როგორც ღვთის მოშიში, გულმოდგინე მზრუნავი ეკლესიათა გამრავლებისათვის, განაპირა ადგილების მფარველი და გამმაგრებელი, მტრისთვის რისხვის დამცემი.

რაც საზოგადოდ აჭარის შესახებ ითქმის, განსაკუთრებით ფურტიოს შესახებ ( ფურტიოზე დევს სხალთის ტაძარში მიმავალი გზა, სადაც იქაურები მოუთხრობდნენ, თამარ მეფის სალოცავად სიარული უყვარდაო). დაწვრილებით აგვიწერენ: გზას რომლითაც სულმნათი ჯორით დადიოდა, უჩვენებენ ადგილს, სადაც ღამე უთევია, წყაროს სადაც წყურვილი მოუკლავს, ქვას, რომელზედაც ფეხი შეუდგამს, ვის რა სიტყვებით მიმართა და სხვა. ერთი სიტყვით, ყოველივე წვლილი თამარის ცხოვრებისა წარუშლელად აღბეჭდილა იქაურთა ხსოვნაში.

ფურტიოს გზა ხულოდან სამი ვერსის მანძილზე ჯერ ბათუმ-ახალციხის გზატკეცილით მიდის. გზის იქით-აქეთ ფიჭნარევი ტყეა. გზატკეცილიდან მარჯვნივ ერთი სერია, რომელსაც „ვარცხლა“ ჰქვია. ეს სახელი იმიტომ დარქმევია,რომ ძველად თამარ მეფეს იქ ვერცხლის მადანი ჰქონია, რაც ვერცხლი სჭირდებოდა სულ იქედან გაჰქონდა თურმე. მესამე კილომეტრზე არის უკვე აჭარის წყალზე გადებული ძველი ქვითკირის ხიდი, ასევე საყურადღებოა ქვის ყორე, რომლის ქვეშაც ასაფლავია ვინმე

მაჰმედ აღა და მის საფლავსაც „შეიდის ( წმინდანის) საფლავი“ ჰქვიან, რადგან მაჰმედ აღა თურქების მიერ წმინდანებშია ჩარიცხული. ამ ადგილს „წმინდანსაც“ ეძახდნენ. ერთმანეთში არეულ მუხნარს და ფიჭვნარზე მიმავალი ძალზე დაქანებული ბილიკი ქვეშ უფსკრულში თავდება, ზედ აჭარის წყლის პირას, სწორედ იმ ადგილს, სადაც ამ რისხვიან მდინარეს რისხვიანივე ტოტი სხალთის წყალი უერთდება.

აჭარლები, როგორც ყოველ ძველ ნაშთს ამ მხარისას, ხიდებსაც თამარის დროში აშენებულად სთვლიდნენ, თუმცა მათ ნათქვამში ანაქრონიზმები ხშირია, მაგრამ ლეგენდას ხომ ასეთი შეცდომა უფრო ადვილად ეპატიება ხოლმე! თამარ მეფე, როგორც გადმოცემდნენ იგივე აჭარელნი, ხშირად დადიოდა სხალთის ტაძარში სალოცავად. მთაგორიან ბილიკებზე სავლელად მუდამ ჯორი ჰყოლია, ჯორით თურმე ფურტიოს ანუ „დედოფლის ხიდზე“ გადიოდა თურმე. ფურტიოში ადამიანს აოცებს მთლიანი ტყე ხეხილისა, რომელშიც ჩაფლული ყოფილა ხის სახლები, მასპინძელი ჰყავდათ ყადი ეფენდი ბერიძე, წევრი ხულოს მეჯლისისა, მთელს სოფელში ცნობილი ყოფილა თავის შეძლებითა, რასაც რა თქმა უნდა მისი თანამდებობაც უწყობდა ხელს. ის ნასწავლი კაცი იყო რის გამოც ეფენდის ტიტულიც უბოძეს, ქართულად წმინდად ლაპარაკობდა, თუმცა წერა-კითხვა არ იცოდა. ხოლო თურქულად თავისი შესაფერისი სწავლა-განათლება ჰქონია მიღებული.

**მარატის ხეობა**

ფურტიოდან პირველი სოფელი ოლადაურია, სადაც მასპინძლად დახვდათ ადგილობრივი შეძლებული მემამულე ემინეფენდი, ოსმალეთის მთავრობისაგან სხვადასხვა სამსახურისთვის უხვად დაჯილდოებული და წარჩინებული. გამასპინძლებამ მოლოდინს გადააჭარბა. მასპინძლის ეზოში ძველი ნასაყდრალიც ყოფილა, სადაც მხოლოდ ძველი ქვების გროვაღა იყო დარჩენილი, ხელუხლებლად დარჩენილა ძველადვე დარგული ბზის ხეები. ოლადაურიდან გასვლის შემდეგ გაიარეს რამდენიმე პატარა სოფელი. საცა ტყე თავდება, საძოვრები, ეგრეთ წოდებული მაწყვალთას

საძოვრები იწყებოდა, სადაც ხის რამდენიმე ჯარგვალები ანუ ყიშლები იდგა საქონლისა და ადამიანის სადგომად.

ყიშლებს გარშემო აკრავს ტყე, მაგრამ მისგან მოშორებით იწყებოდა ალპური საძოვრები, რომლებიც შეჰფენილია მთების კალთებსა და ქედებზე. ამ მთაზე აჭარლებთან ერთად ადიოდნენ შავშელებიც, საძოვრების სიმცირის გამო უსიამოვნება ხშირი იყო მათ შორის. გათენებისას დაადგნენ იმერხევის საძოვრების გზას, რომელსაც სამხრეთით შავშეთი აკრავს. გამოჩნდა არსიანის მთაც, რომელიც შესანიშნავია თავისი ტბით. რომელსაც „ბუღ-გიოლს“ ეძახდნენ. შემდეგ დაუპირისპირდნენ სოფელ კუტიჯვარსაც, დარჩიძეების ახლო მდებარეს. იქ მცხოვრებნი წინათ ქრისტიანობის დროს თავდგირიძენი ყოფილან. ვენახები სოფელ შუახევში ჰქონიათ. ერთხელ რთველის დროს ყურძნის საკრეფად წასულან, სოფლად მხოლოდ ერთი ავადმყოფი ქალი დარჩენილა, ამასობაში მტერი დასხმია სოფელსა და ცხენები სულ წაუყვანიათ. ავადმყოფი ქალი სერზე ასულა და გაჭირვებისაგან ისეთი ძალით დაუკივლია, რომ თავისიანებისათვის ხმა მიუწვდენია,მაგრამ თვითონ კი დაკუტებულა და მის მოსაგონლებლად ამ სოფელს სახელი „ კუტისჯვარი“ შერჩენია.

სანამ სარიჩაირში ჩავიდოდნენ, მათი ყურადღება მიიქცია ყარგიოლის იელებთან საუცხოო ტბამ. ამ ტბას ორი სახელი ჰქონია: ქართულად შავი ტბა, ხოლო ოსმალურად ყარა-გიოლ ( ყარა-შავი და გიოლ-ტბა). ტბისა და სარიჩაირის მთის შუა შავშელების ეილებია, სადაც ზაფხულობით აჰყავდათ საქონელი, როგორც აჭარლებს.მთებზე ასევე რამდენიმე იეილად გაფანტულიყვნენ ორას კომლამდე ქურთი. მგზავრობის უკანასკნელი პუნქტი იყო სარიჩაირი (თურქულად სარი-ყვითელი, ჩაირ-ბალახი). ეს მთა აღმოსავლეთი საზღვარია ზემო აჭარისა, საიდანაც გზა გადადის ახალციხის მაზრაში, ბოცოს ხევში, იმის იქით აჭარული სოფელი აღარ არის. სარიჩაირის მახლობელი სოფლებია სამხრეთით ქოჩახი, ბაკო და განთქმული ხიხათა ციხე. სარიჩაირზე დაბანაკებული ყოფილა ოცდაათ კომლამდე ქურთი თავიანთი საქონლით, მათთან ერთად მთაზე ზაფხულის გასატარებლად ასულან ზემო აჭარის ბეგები, უკანასკნელი მთავრის, შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის შვილები. ტანით ყველას ჩოხები ეცვათ ( ეს კი

აჭარაში იშვიათი იყო), ქართულს თითქმის ყველა კარგად ლაპარაკობდნენ, ქურთებთან ძალიან კარგი განწყობილება ჰქონიათ, ზოგს მათი ქალები ცოლადაც კი შეურთავთ.

რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი ომის დროს ზემო აჭარის მთავარმა, შერიფ ბეგ ხიმშიაშვილმა, როგორც ვიცით, თურქეთს ზურგი შეაქცია, რუსეთს ერთგულება გამოუცხადა და როგორც გავლენიანმა პირმა, რუსეთის ჯარს გაუადვილა ამ ტერიტორიის შემოერთება. ასეთი სამსახურის გამწევ კაცს, სხვათა შორის, უფლება ჰქონდა უხვი მატერიალური ჯილდოს მიღებისა, მთავრობასაც აღუნიშვნელად არ დაუტოვებია ეს სამსახური შერიფ ბეგისა და როცა ეს უკანასკნელი ნაომევს, 1880 წელს პეტერბურგში წავიდა ხელმწიფე იმპერატორმა მიიღო და უთხრა: „ არ დავივიწყებ ომის დროს შენს მიერ გაწეულ სამსახურსა „-ო. იმ პერიოდში შერიფ ბეგი რუსის სახელმწიფო სამსახურში შტაბ-ოფიცრის ხარისხით იყო, დაუნიშნეს პენსია მისი ხარისხის შესაფერისი, თანაც გამოუცხადეს, რომ თუ ვინიცობაა აჭარა ისევ ოსმალთ დარჩა და თქვენ იძულებული იქმენით აქაურობა დატოვოთ, მაშინ რაც ამ მხარეში მამული გაქვთ, იმდენივე მამული მოგეცემათ რუსეთის იმპერიაშიო.

აჭარა რუსეთმა დაიპყრო თუ არა, რუსეთის მთავრობის წინაშე სარჩელი აღძრა შერიფ ბეგ ხიმშიაშვილმა, ჩემი მამულები რუსეთის კანონის თანახმად დამიმტკიცეთო. იმავე ხანებში კომოსია შედგა ახლად შემოერთებულ ტერიტორიის სამამულო კითხვათა გამოსაკვლევად. 1883 წელს ამ კომისიამ სხვათა შორის, განიხილა აჭარის სამამულო საქმენი, დაადგინა: ყველა მამულები აჭარისა ოსმალების ხელში სახელმწიფო ყოფილა და მაშასადამე, ახლაც სახელმწიფოსუნდა დარჩესო, ხოლო შერიფ ბეგ ხიმშიაშვილს საკუთრებად მარტო 16 დესეტინა მიწა იცნო! 1889 წელს მთავრობას ხელახლა მიართვა თხოვნა შერიფ ბეგმა თავისი მამულების შესახებ, მაგრამ 1893 წელს გენერალ-მაიორის ხარისხით გარდაიცვალა ისე, რომ თავის სიცოცხლეში არაფერს მოსწრებია.

სამი დღე დაჰყვეს სარიჩაირზე სტუმართ-მოყვარე მასპინძლებთან. აქედან სამი კილომეტრის შემდეგ დაწყებულა საუცხოვო ტყე ნაძვისა, რომელსაც მზე ვეღარც კი ატანდა, გზად ხეხილიანი ველები იყო სადაც ნასოფლარნი იყვნენ, აშკარად ეტყობოდა რომ წინათ იყო სოფელი, იმ მიდამოებში მარტო ორ სოფელში დარჩენილან მცხოვრებნი, ბაკოსა და თხილვანაში, სულ ორმოცდაათ კომლამდე. ეს ორი სოფელი

ხირხათის მთის ძირასაა და ჭალას წარმოადგენს, რომელსაც ბაკოს წყალი გარდმიგარდმო უვლის, გარშემო ხირხათის მთის დაყოლებაზე რამდენიმე მთაა ამართული. სოფ. თხილვანიდან ოთხი-ხუთი კილომეტრის მანძილი ხშირი ნაძვნარით არის დაფარული, ასე 2000 დესეტინა სულ უხსოვარი დროის ტყეს უჭირავს. ცხენებით თითქმის ხირხათის მთის ძირამდე მივიდნენ, სადაც გავიდნენ  მთის მდინარეზე ბაკოს წყლად წოდებული, უზარმაზარი ლოდებით სავსე. მდინარის მეორე ნაპირზე აღმართი იწყება მთისა, მოფენილი ჩამოქცეული მთის ლოდებითა. თვით ხირხათის ციხე  ზღვის პირიდან 2,600 მეტრის სიმაღლეზეა და წარმოადგენს განმარტოებულ და წოწოლა კლდეს. ზედაპირი მთისა სამი დღიური სივრცისა იქნება და გარშემოვლებული აქვს ქვითკირის გალავანი, რომელსაც ჩრდილოეთის მხრივ ნიადაგი გამოსცლია და ჩამოქცეულა. ალაგ-ალაგ გალავანს სარკმლები აქვს ჩატანებული. ერთმანეთზე მოშორებით ხუთი კოშკიცა დგას, ხუთივე სანახევროდ დანგრეული. ციხის შიგნით ნახევრად დანგრეული ეკლესიაცაა. არის აგრეთვე რამდენიმე დამტვრეული და ქვებით სავსე ქვევრები, ნაწვიმარი წყლის შესაკრებად, რადგან მახლობლად წყალი არიყო „ნაღვარევის„ წყლამდე. რომლის ხმაც ძლივს ადიოდა ციხემდე.

1874 წელს ეს ციხე უნახავს გენერალ გ, ყაზბეგს და მასთან ერთად ერთი ქართულ წარწერიანი ქვაც. ამ ციხეზე 1894 წელს ასულა ძველ ნაშთთა მკლევარი გრაფინია უვაროვისა. ქართველ ქალთაგან კი პირველობა მიეკუთვნა მე-ძისას. აჭარლებს რომ გაუგიათ ხირხათის ყალეზე ( ციხეზე ) გურჯის ქალები ასულანო, კარგა ხანს ჰქონდათ სალაპარაკოდ ეს ამბავი, რადგან თვით აჭარელთაგან ამ ციხეზე ზამთრობით თხილამურებით რჩეული მონადირენი თუ ადიოდნენ თხებზე სანადიროდ. ამ ციხის აშენების დრო სამწუხაროდ არ ვიცით, ლეგენდა კი მის ამშენებლად თვლის თამარ მეფეს.

ნახევარი ჟამის სიარულის შემდეგ სოფელ ქოჩახში მივიდნენ,  ხიმშიაშვილთა საზაფხულო სასახლეში.

**სხალთის ხეობა**

სხალთის ხეობის სოფელი ქოჩახი, სადაც ხიმშიაშვილების სასახლეა, ერთ მოზრდილ ველზეა გაშლილი. ჩრდილოეთით ჯერ ისევ პატარა და მოკრძალებული სხალთის წყლის სათავე ჩაუდის შხუილით, აღმოსავლეთით ხირხათის მთა და მისი ციხე ამაყად დასცქერის, ხოლო დასავლეთით და სამხრეთით ცისკიდური ფერდობზე შავად შეფენილ ნაძვნარს უკან მოსჩანს. ამ ველზე შემოკავებულია ორიოდე დღიურის სივრცე ადგილი და მის ერთ კუთხეში ორი ორ-სართულიანი სახლი დგას ხისა: ერთი დიდი მასპინძელთათვის, ხოლო მეორე მომცრო კონაღი, სტუმრებისათვის,ეს უკანასკნელი ახალ გემოვნებაზეა აშენებული და ახალი ავეჯით მორთული.ეზოს შუაგულ ადგილზე დასაფლავებული ყოფილა თვით შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი, როგორც ვიცით ბეგი გარდაიცვალა პეტერბურგში 1892 წელს და მისი სურვილის თანახმად, მისი გვამი შვილებმა აჭარაში დაასვენეს. ბეგების სასახლეს სამხრეთ აღმოსავლეთით მშვენიერი ნაშენი ტყე აკრავს ნაძვისა. ბეგების ტყეშივე ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდათ ძველი ნასოფლარების კვალი, სახლების ქვის საძირკვლები. სოფლარის გვერდით სასაფლაო იყო, მიწაში ფართო ქვის ფიცრებია, იქით-აქეთ გვერდებზე, ზემოდანაც ფართოვე მთლიანი ქვის ფიცარი ჰქონია გადახურული. სავარაუდოდ ერთი ქვის ჯვარიც ყოფილა იქ მაგრამ სამწუხაროდ არიცოდნენ სად იყო. სავარაუდოდ სასაფლაო ქრისტიანობის დროისა უნდა იყოს, იქ ამოსული სოჭის ხეებიც ორას წელზე მეტი ხნისა უნდა ყოფილიყო. ეტყობა იქ ერთ დროს დიდი სოფელი ყოფილა.

ნახევარი დღის შემდეგ დაემშვიდობენ სტუმართმოყვარე მასპინძელს ზექერია-ბეგს და წავიდნენ სხალთის წყლის დაყოლებაზე, სადაც პირველად უნდა გაჩერებულიყვნენ სოფელი ხიხაძირი იყო. სოფელ ხიხაძირში შესვლისთანავე არის მიწასთან გასწორებული საძირკველი ძველი დროის ეკლესიისა, რომლის ნანგრევებზე ჯამე გაუშენებიათ. ეკლესიის თლილი ქვები წყაროს წყლის ამოკირვისათვის მოუხმარებიათ. ქვათა შორის ერთი ქვაა დატანებული ( 1 მტკაველი და 3 გოჯი განი აქვს და 2 მტკაველი და 3 გოჯი სიმაღლე ), რომელზედაც ჯვარია გამოსახული. ონკანს ზევითაც თურქულად აწერია: „ ჩემი სულის საოხად გავაკეთე ეს წყარო სელიმ აღამ ( შემდგომში სელიმ ფაშად წოდებული, სელიმ ხიმშიაშვილი, 1202 წელს ჩვენებურად 1785 წელს)“.

მათ თანამოსაუბრეთა შორის ერია ხნიერი სოფლელი გვარად ბერიძე. აჭარაში უკანასკნელად (ოთხმოციან წლებში) მომხდარი ოლქების აჯანყების დროს მთავარ მოქმედ პირად ბერიძე ყოფილა. სხვათაშორის სოფელი ხიხაძირი გამხდარა ბრძოლის ასპარეზად და აჯანყებულნი რუსის ჯარი იქ უმკლავდებოდნენ. მეორე დილით, სანამ ხიხაძირიდან წავიდოდნენ მოინახულეს იქვე მახლობლად აგებული ციხე, „ ვარდ-ციხე „. ეს ადგილი ყელია მთელი ხეობისა და ზედ აშენებულ ციხესაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მტრისაგან ამ ხეობის დაფარვის დროს. ციხე ორია: ერთი იმ ადგილას, სადაც კალოთის წყალი სხალთის წყალს ერთვის, მეორე მის გვერდითაა. ორივე კარგად მოზრდილები და ნახევრად დანგრეულები არიან. ციხის კედლებს დატანებული აქვთ ჩუქურთმებიანი თლილი ქვები,ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ის ქვები ეკლესიისაა. აქედან გამომდინარე საფიქრებელია, რომ ციხე თურქების ბატონობის დროს არის აშენებული, თორემ ქრისტიანები მეტადრე იმ დროს, ეკლესიის ქვებს ციხეს არ მოახმარდნენ. შესაძლებელია ქვები ხიხაძირის ეკლესიისაც იყოს, ალბათ, თურქებს ტაძარი დაუნგრევიათ და მისი მასალა ციხისათვის მოუხმარნიათ. ხიხაძირიდან მეტად დახრამული გზა იყო, ამის მიზეზი კი პატარა ხევებია, რომელნიც თითქმის ყოველ ნაბიჯზე ჩამოდიოდნენ სხალთის წყლის მსაზრდოებლად და საშინლად ხრავდნენ ნიადაგს. დილას ხიხაძირიდან გასულები,სადილობისას უკვე სოფელ ვერნებში იყვნენ. სოფელში ექვსი-შვიდი მოსახელე თუ იქნებოდა. მთელი სოფელი ვიწროდ, ერთ დაქანებულ ფერდობზე იყო მიკრუნჩხული. სოფელში შესვლისთანავე ყურადღებას ერთბაშად იპყრობს მკვიდრდთა დაავადებული სახე, წამლადაც კი ერთ ადამიანსაც არ ჰქონდა სახეზე ფერი, ყველანი ჩაყვითლებული, უმეტესად ქოსანი იყვენ, თითქოს ესესაა სამარიდან ამოუღიათო. ამასთანავე აღსანიშნავია,რომ სოფელს გადაშენება და სრული ამოწყვეტა მოელოდათ, რათა ცხადია ჰავა ან წყალი ხელს არ უწყობდა მცხოვრებლთა გამრავლებას, რასაც თვით სახელი „ვერნებიც„ მოწმობს. ასევე ყურადღებას იპყრობს იქ ის ჩუქურთმებიანი ქვები, რომლებიც იქაურ საბძლებს, სახლებს, ყორეებს და კალოებსა აქვთ დატანებული. რაც იმის მანიშნებელია, რომ მახლობლად ქვის ეკლესია უნდა ყოფილიყო. მართლაც ყოფილა ეკლესია,რომლის საძირკვლებს, მიწასთან გასწორებულებს შორის კაკლის ხე იყო ამოსული.არავინ იყო იქ ისეთი, რომ ეკლესიის

შესახებ რაიმე მოეყოლათ, თუმცა ერთ კუთხეში იპოვეს ჩუქურთმიანი წარწერიანი თლილი ქვა, რომელმაც მათი ცნობისმოყვარეობა ასე თუ ისე დააკმაყოფილა.

ქვას განი ათი მტკაველი, სიმაღლე ოთხი და სისქეც ერთი მტკაველი ჰქონია.ზედ გამოყვანილ ჩუქურთმების თანახმად ქვა ეკლესიის შესავალ კარს ზემოთ უნდა ყოფილიყო ჩატანებული. მისი ხუცური წარწერა მეტად ძველებურია, უმეტესად წაშლილია და ძნელად იკითხება. რომელიც ამოიკითხა თ. ჟორდანიამ. რომელიც ასე აღმოიკითხა: „ ქე (ქრისტე) ადნ ( ადიდენ ) ეე ნი (ერისთავთ ერისთავნი) გრიგოლ (გრიგოლ) და აბს რი ( და აბუსერი ) და გი (გიორგი) და (ბე) შქენი (ბეშქენი)...( აქ ერთი სიტყვის გარჩევა ყოვლად შეუძლებელი შეიქნა) ზ ქრ (ზაქარია)“.

ნაეკლესიარის მახლობლად კი გზის პირას ერთი უზარმაზარი ურთხელი იდგა,ერთ საერთო ძირზე ორ ტანად ამოსული. სისხო ოთხი კაცის ხელის შემოწვდომა აქვს, ხე ძალიან ნელა იზრდებოდა, სულ უკანასკნელი ექვსი საუკუნისა მაინც უნდა ყოფილიყო. სავარაუდოდ ხე დარგულია ეკლესიის აშენების თანავე, რაც მოწმობს ვერნების ეკლესიის სიძველეს და მის წარწერას ეთანხმება.

სოფელი ვერნების ცოტა ქვემოთ, სხალთის წყალზე გასვლის შემდეგ დაადგნენ საკმაოდ კარგ გზას, რომელიც სოფელი სხალთიდან სხალთის წყლის მარჯვენა ნაპირით გაუყვანია შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს. გზა სხალთიდან მეცხრე თუ მეათე კილომეტრზე წყდება, შერიფ ბეგს კი ნდომებია თვით ქოჩხამდე გაეყვანა და ამ რიგად სოფლელთათვის მისვლა-მოსვლა გაეადვილებინა ამ ორ პუნქტს შუა. რადგან ეს ამბავი ჯერ ისევ თურქების დროს ყოფილა, ოსმალეთის მთავრობას პოლიტიკური მოსაზრებით გზის დანარჩენი ნაწილის გაყვანა აუკრძალავს, ქოჩხამდე რომ გზა გაკეთდეს, რუსს ახალციხიდან შემოსვლა გაუადვილდებაო.

სოფელ ფაჩხასაც დაუპირდაპირდნენ, განთქმულს თავისი რკინის წყლებით. სოფელი, მსგავსად იქაური სხვა სოფლებისა, გაშენებულია ფაჩხმატელის კლდეზე, რომელიც ერთ დროს, როგორც ხალხში დარჩენილი ამბავი მოგვითხრობს, მსხვერპლი გამხდარა ნიადაგის რღვევისა. კლდე შუაზე გაპობილა და დღე-დღეზე ძირს ჩამოსაქცევად ემზადებოდა თურმე.მაგრამ ხალხის ფანტაზიამ კლდე აამეტყველა. ხალხის გასაფრთხილებლად სულ იძახდა ხოლმე: „მოვდივარ, მოვდივარო“. ერთხელ

მის ძირას დედაკაცს სარეცხი სდგმია. მოესმა კლდის ძახილი: „მოვდივარ, მოვდივარო“, მთელი დღის განმავლობაში იმდენი იძახა თურმე, რომ დედაკაცს მოთმინების ფიალა აღევსო და შეუტია: „ რა თავს იგდებ! ყურთა სმენა კი წაიღე! სულ იძახი მოვდივარო და ამდენხანს რითი ვერ მოხვედი“? კლდემ იწყინა დედაკაცის შეუპოვრობა, ერთბაშად მოსკდა და დედაკაციც ქვეშ დაიტანა. ეს დედაკაცი დღესაც იმ კლდის ქვეშ არისო, დასძენს ხალხის თქმულება.

1.600 მეტრის სიმაღლიდან 693 მეტრზე უკვე სხალთის მიდამოა. სიცივის სამეფოდან სითბოში შევიდნენ, სადაც გამოჩნდა: ტყემალი, ვაზი, ატამი, შვინდი. გამოჩნდა მცხოვანი და უტყუარი მოწმე წარსულისა, სხალთის ტაძარი. ტაძრამდე ასიოდე ნაბიჯის მანძილზე, გზის პირას, ძველი შენობაა ქვითკირისა, ანუ სხალთის ტაძრის თაბუნის მარანი, მიწაში ჩამარხული უზარმაზარი ქვევრებით. საკვირველია ამდენ აოხრებას და მუსვრას როგორღა გადარჩა თითქმის ხელუხლებლად ეს ქვევრები, ნაშთი ძველი ქართული კულტურისა.

თვით სხალთის განთქმული ტაძარი ფერდზედაა აშენებული. უგუმბათოა და ორპირად ჩამომავალი სახურავი აქვს. სიგრძე მისი 25 ნაბიჯს უდრის, განი 12 და სიმაღლეც 12 ნაბიჯი ექნება. შიგნითა და გარეთა ეკლესიის ტანი თლილი ქვით არის ნაგები. სამწუხაროდ საცხა კი ხელი მიწვდომიათ, ეს ქვები ყველგან ჩამოუღლეტიათ. დახურული ლორფინითა ყოფილა, მაგრამ ისიც აუცლიათ, მრავალ ალაგს თაღი დამსკდარია, ისე რომ შიგნით მზის სხივიც კიშედის. რა თქმა უნდა ასე გაძარცვული სახურავი დიდხანს ვერ გაუძლებდა ბუნებას. აღმოსავლეთის მხრივ სამი მშვენიერი ხელოვნური ჩუქურთმით შემკული სარკმელი აქვს ჯვრის სახისა. შიგნით მთელი ეკლესია მხატვრობით ყოფილა დაფარული, მაგრამ მტარვალურ ხელს არაფერი დარჩენია შეუგინებელი და გაურყვნელი: საცა ხელი მისწვდომიათ, მხატვრობანი ჩამოუფხეკიათ, საცა მაღლა ყოფილა, ტყვიით დაუცხრილავთ, ბოლოს შიგ ცეცხლი დაუნთიათ და კვამლით სულ ერთიანად გაუმურავთ ეკლესიის ზემო ნაწილი. ჭერში ოთხივე კუთხივ ჩაკირულია ხმის გასადიდებელი ჭურები, რომელნიც მტრის ხელს ხელუხლებლად გადარჩენილან. იატაკი რა თქმა უნდა თლილი ქვებით იქნებოდა მოგებული., მაგრამ სულ აუცლიათ, იქაურობა ფეინითა და სკორეთი სავსეა. უპატრონო

ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო. გარშემო მაღალი გალავანი აქვს შემოვლებული. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ხუროთმოძღვრების მხრივ სხალთის ტაძრისთანა ძვირფასი ამ მხარეზე ერთიც არ ყოფილა, ჩვენი ცხოვრების აყვავებული ხანის დიდება ამ ტაძარში სრულად ისახება. მართალია სასწაულად უნდა ჩაითვალოს, რომ მტერს გადაურჩა და ჩვენამდე ამ ნახევრად შებღალული სახით მაინც მოაღწია. სხვა ეკლესიები კი, მაგალითად ხულოშიგამძვინვარებულ თურქებს სულ ნაღმებით დაუქცევიათ და მიწასთან გაუსწორებიათ

სხალთის ტაძრის  გადარჩენის მიზეზად, სხვათაშორის უნდა ჩაითვალოს, ის შიში რომელიც მის დაქცევა დანგრევის მოწადინებულთათვის ჩაუნერგავს ორ გარემოებას: ერთ იქაურ გლეხს სახლის ბუხრისათვის ერთი ციგა თლილი ქვები წაეღო, ხარებს ციგა დაუძრავთ თუ არა, გლეხს ბნედა დამართნია, ხარებს ციგა შინ უპატრონოდ მიუტანიათ, მოუკითხავთ პატრონი და ბევრი ძებნის შემდეგ ეკლესიის გალავნის გვერდით დახვედრიათ სიკვდილის პირას მისული, უთქვამთ, ალბათ გურჯების ( ქართველთა) ღმერთი გაგვირისხდა ქვის წაღებისთვისო და მასალა უკან დაუბრუნებიათ, მომაკვდავი გლეხი მაშინვე უკან მობრუნებულაო.

მეორე ამბავი. შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის მწყემსს ტაძარში ავდრის დროს ცხვრები შეურეკია, რაღაც მიზეზით ერთი დღის განმავლობაში მთელი ფარა გაწყვეტილა და თვით მწყემსი ლოგინად ჩავარდნილა. სხვა მწყემსებსაც იგივე დღე დასდგომიათ. უთქვამთ, ალბათ ამ ჯანაბეთში შაითანები (ეშმაკები) ბუდობენო. მთელი ეკლესია ბურდოთი და ნეშოთი აუვსიათ და ცეცხლი წაუკიდებიათ. თვით ხოჯებსაც მოუნდომებიათეს ტაძარი მეჩეთად გადაეკეთებიათ, მაგრამ მუშაობას შესდგომიან თუ არა ყველანი ჭკუაზე შემცდარან და ამ განზრახვაზე ხელი აუღიათ. ამათს გარდა შერიფ ბეგის მამასაც უცდია მოესპო ამ ტაძრის ხსენება. განუზრახავს ეკლესია დაენგრია და მის ნანგრევებზე სახლი აეშენებია. მაგრამ პირველ ღამეებში სიზმრებს საშინლად შეუჭამია და იძულებულიქმნილა სახლი სხვაგან აეშენებია. ამ ხმებს დიდი გავლენა ჰქონია მცხოვრებლებზედა ამ ტაძრისადმი შიში  და კრძალვა ჩაუნერგავს.

სხალთის ტაძრის, ქართული ხუროთმოძღვრების ამ საუკეთესო ნიმუშის აშენება, თანახმად ჩვენი ისტორიკოსის დ. ბაქრაძისა, უნდა ეკუთვნოდეს საქართველოს

ცხოვრების ოქროს ხანას X-XIII საუკუნეებს, ამასვე ეთანხმება იქაურებში დარჩენილი ხსოვნა თამარ მეფისა, რომელმაც მათი თქმით ეს ტაძარი აღაშენა და რომელსაც მეტად უყვარდა მის კედელთა შორის ლოცვა-ვედრებაო.

სხალთის ტაძრის დასავლეთ მხარეს მაჰმადიანური სასაფლაოა, სწორედ იმ ადგილას საცა წინათ ქრისტიანეთ უნდა ჰქონოდათ თავიანთ მიცვალებულთა სამარხი. იქ ასაფლავია უმეტესად ხიმშიაშვილთა ოჯახის წევრები. მაჰმადიანურ საფლავზე საზოგადოდ ბრტყელი ლოდები ზეზეა მიწაში ჩასმული. ამ ლოდებად უხმარნიათ სხალთის ტაძრის თლილი და ჩუქურთმიანი ქვები, რომელთა ერთი ნაწილი ბეგის სასახლის ბუხრებისათვის ამოუღიათ. სასაფლაოს გვერდით ჩამოუდის ღელე და ღელეს გაღმა თვით სასახლე ყოფილა ხიმშიაშვილებისა. სასახლე ხისა ყოფილა, შვიდ-რვა თვალიანი და ევროპულ გემოვნებაზე აშენებული თვით შერიფ ბეგის სიცოცხლეში. შიგ ერთ დროს მრავალი ხეხილი ყოფილა, მაგრამ ეხლა ყველაფერი თავმინებებულია. სასახლის მახლობლად ბაღში პატარა სასაფლაოა ეკლით დაფარული და გარშემო შემოკავებული. შიგ ასაფლავია შერიფ ბეგის გერმანელი ცოლი და მისი ქალიშვილი, რომლის მოსანათლად მამას 1890 წელს მღვდელი მოუწვევია და იმ დროს იქ დამსწრე ბ.იონა მეუნარგიასთვის მოუნათვლინებია. საფლავის მატურზე ჯვარია აღმართული.

ნასადილევს უკვე წავიდნენ სოფელ ჩაოში, რომლის გზა ხულოსკენ გადადის. სხალთიდან ჩაოში მიმავალი გზა მეტად მოსხლეტილი იყო. გზის სიძნელეს უქარწყლებდათ თვალწარმტაცი ბუნება: ცათამდე აზიდული ფიჭვებით და ნაძვით დაფარული ზურგი მთისა, შორს, ვიწრო ხეობაში ხუვილით მიმავალი აქაფებული სხალთის წყალი, მთას იქით მწვანე ხავერდის მსგავსი თხემნი მთისანი, რომელთაც თვალწარმტაცად ზედ დაჰყურებს ბუმბერაზი და ფირუზი თაღი მთისა. ორი საათის სიარულის შემდეგ, კარგა შებინდებულზე ერთ გლეხთან გაჩერდნენ ღამის გასათევად სოფელ თაგოში. მასპინძელმა გაუმასპინძლდა: ლობიოთი, მჭადით და ცივი წყლით, რომლითაც თვითონ თითქმის წლიდან-წლამდე იკვებებოდნენ.

მეორე დილას გაუყვნენ ბილიკს, რომელსაც ქოლგასებრ ზედ დაჰყურებს კაკლის ხეები თავიანთი განიერი ტოტებით. გაიარეს სოფელი გურძაული, ცნობილი თავისი რკინის წყლით. წყლის მთელს კალაპოტს ზანგის ფერი ჰქონდა, თან ისე უხვად

მოდიოდა, რომ ერთთვალიან წისქვილს აბრუნებდაო. სოფლელნი ამ წყალს არ სვამდნენ ფახიმიანიაო (ცუდიაო). ცოტახნის შემდეგ მოექცნენ ქედს, რომელიც აჭარის წყლისა და სხალთის წყლის ხეობებს ერთმანეთისგან ჰყოფს იმ ადგილამდე, საცა აჭარის წყალს სხალთის წყალი უერთდება. იწყება მეტად მყიფე დაღმართი, გრძელდება ხუთი-ექვსი კილომეტრის მანძილზე და ექანება პირდაპირ აჭარის-წყალში. ჯოჯოხეთური დაღმართის სიმწარეს უქარვებდათ ყოველ ნაბიჯზე სიგრილის მომფენი მთის წყაროების ჩხრიალი. თითქმის ცურვით ჩააღწიეს აჭარის წყლამდე, სადაც ძველებური ქვითკირის ხიდზე გავიდნენ. სოფელი ყადი-ოღლუს მარჯვნივა დატოვეს და გადავიდნენ სოფელ ხულოში.

**ხულოდან ბათუმამდე**

მათი მთაბარობა უნდა განესაზღვრათ და ხულოდან პირდაპირ ბათუმში წასულიყვნენ.გამოეთხოვენ სტუმართმოყვარე მასპინძლებს კაპიტან ალ. ბერიძეს და ხულოს ბოქაულს ვას. დეკანოზიშვილს. დაადგენ ახალციხე-ბათუმის გზატკეცილს, დაუსრულებელ თეთრ ზოლად მიმავალს მწვანედ მობიბინე ტყეს შორის. მარცხნივ მისდევს ხუილით ცისფერი აჭარისწყალი, რომელსაც ნაზად დაჰყურებს იდუმალებით სავსე მთის კალთები, ფიჭვითა და მუხით დაფარული. ერთი-მეორეზე უკეთესი სურათები ბუნებისა მგზავრს სევდას უკუ-უყრის. რამდენადაც მშვენიერია გზა, იმდენად საშიშია: მეტის-მეტი სიფრთხილე მართებს მგზავრს, რომ მიხვეულ-მოხვეული გზიდან ცხენიანად უფსკრულში არ გადაიჩეხოს, განსაკუთრებით ღამით. საჭიროა ნელა სიარული, განსაკუთრებით მოსახვევებთან. საათის სავალ მანძილს ისე გაივლით, რომ მგზავრს ვერ დაინახავთ, აქა-იქ ხვდებოდნენ კალატოზებს, ქვის ხიდების მკეთებელნს. მათთანვე ნახავთ აჭარლებსაც, მაგრამ ისინი უბრალო და იაფასიან სამუშაოს ასრულებდნენ. მათი გავლის დროს გზაზე, რომელსაც 140 კილომეტრი აქვს სიგრძე, გახურებული მუშაობა იყო, რაც წინა წლებში ხიდები გაეკეთებინათ, 1895 წლის წყალდიდობას ყველა გაეფუჭებინა. აგრეთვე ქვა უნდა მიეყარათ 40 კილომეტრის მანძილზე. იმ შემოდგომისათვის სრულებით უნდა დაემთავრებიათ და 1898 წლის გაზაფხულისათვის ბათუმსა და ახალციხეს შუა საფოსტო მიმოსვლა უნდა გაჩაღებულიყო.

გაიარეს ჭვანა, ახალდაბა საზღვარი ქვემო და ზემო აჭარისა. მივიდნენ სოფელ დანდალოში, აქ აჭარის წყალზე ხიდია, ახლად გაკეთებული და მისსავე გვერდით ურყევად დგას ძველებური ხიდი, ერთი იმათგანი, რომელნიც ზემოთ ავღნიშნეთ. ორივე საძირკველი მისი კლდოვან ნაპირებზე დგას, სიგრძე 12 მხარი აქვს, განი 4 ადლი, რადგან ზედ მაშინ არავინ დადიოდა. ახალდაბიდან მოკიდებული გზა ვაკდებოდა და ნიადაგიც ნაყოფიერი ხდება. მზე კარგა გადახრილი იყო, როცა სოფელ ცხმორისში ჩავიდნენ. გზას თანდათან ერთნაირი ფერი ეძლეოდა. მარჯვნივ და მარცხნივ სიმინდის ყანებია გაყოლებული. აჭარის წყლის კალაპოტი განიერდება და თვით მდინარეც მდოვრდება, დარბაისლდება, სიცხესაც ემატება, შეხვდნენ ჩადრში გახვეულ აჭარელ ქალებს, რომელთაც ზურგზე გორიცა ( ზურგსაკიდი კალათა ) აქვთ მოკიდებული და შინისაკენ სიმინდი და ხილი მიაქვთ, აქა-იქ გზის გაღმა მართლმორწმუნე აჭარელ მგზავრს თავისი მოკლე ტანისამოსი ძირს გაუშლია და დაჩოქილი, სამხრეთისაკენ პირშექცეული მაჰმადს ევედრება. საცა მოუსწრებს დრო ლოცვისა, იქვე შესდგება და რაც უნდა ეჩქარებოდეს საქმეზე, ჯერ სულიერ მოვალეობას აღასრულებს და მხოლოდ მერე გაუდგება გზას.

ხულოდან დილით გასულნი, ქედაში კარგა შეღამებულზე იყვენ. იქ თავი შეაფარეს ქედის სამმართველოს კანცელარიას, სადაც უფროსის საქმის მწარმოებელმა სვ. იოსელიანმა ყოველგვარად ხელი შეუწყო საჭირო ცნობების შეკრების საქმეში. ქედის ნაწილის სამმართველოს აჭარის წყლის მარცხენა მხარეს გორაკზე, ნაწილის უფროსის თუფალ-ბეგ შარვაშიძის ქვითკირის სახლშია მოთავსებული და ზედ ქედას დასცქერის. ამ მხარესვე არის ჯამე ქედისა, დუქნები და საზოგადოდ სავაჭრო ცენტრი.

საზოგადოდ, ქედა ქვედა აჭარის ადმინისტრაციული ცენტრია, ამასთანავე შუაგულია, ბაზარია ამ კუთხის ნაწარმოებისა.ყოველი აღებ-მიცემა ქვემოაჭარისა უმეტეს წილად ქედაში სრულდებოდა, რაც უნდა უბრალო რამ დაჭირდეს ქვემო აჭარელსა საყიდლად, უეჭველად იქ უნდა მიიტანოს, რადგან მთელ ქვედა აჭარაში, გარდა სოფელ აჭარის წყლისა, დუქანი სხვაგან არსად არ მოიძებნებოდა. ქედის ბაზრის გვერდით ხის ჯამე იდგა, რადგან პარასკევი მაჰმადიანთა უქმე დღე იყო და ჯამე მლოცველებით სავსეა იმ დროს.

როგორც ავღნიშნეთ აჭარის წყალი ქედას ორად ჰყოფს. ორივე ნაწილი ხის მსუბუქი ხიდითაა  შეერთებული, საკმარისია ცოტაოდენი ღონიერი წყალდიდობა, რომ ხიდმა წყალის ძალას ვეღარ გაუძლოს. ორიოდე ნაწილს დაბისას კავშირი მოუსპოს და ერთმანეთს მოსწყვიტოს. ქედის მეორე ნაწილი აჭარისწყლის მარჯვნივ მდებარე, წარმოადგენს ოთხიოდე ხის დუქანს, ორსართულიანი ქვითკირის შენობას სასოფლო ქსენონისას  და  ორიოდე სხვა კერძო სახლს.  ქედის ორივე ნაწილს გაღმა-გამოღმიდან თავს დასცქეროდენ ნორჩი ტყით დაფარული მთანი, სადაც აქა-იქ მიუვალ ადგილას მიკოსებულია სოფლელთა სახლები. მოსახლეთა შორის, გლეხების გარდა, იყვენ ბეგებიც.

24  მარიამობისთვის მშვენიერ დილას სოფელ ქედიდანაც გაეშურნენ. ქედის ბოლოში შეუერთდათ ბათუმელი ახალგაზრდა ბეგი აბაშიძე, მეტად კოხტა, აჭარულადვე სირმიან ტანისამოსით გამოწყობილი. ქართულს წმინდანად ლაპარაკობდა, თურქულ სიტყვებს არც კი ურევდა ლაპარაკში. აღმოჩნდა, რომ  „ წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლაში უსწავლია ბათუმში, განსვენებულ მოსე ნათაძის ხელში. ქედიდან მოკიდებული მდებარეობა უფრო და უფრო ვაკდებოდა, ბუნებას  კი  თავისი  სიმშვენიერე  ბოლომდე  რჩებოდა.  გზის  ორივე  მხარეს  ტყით შემოსილი კალთები მთებისა ისევ თვალს უხარებს მგზავრსა, მხოლოდ ფიჭვი ქრება.მის ადგილ იჭერს რცხილა, წიფელა, წაბლი და სხვა. მდებარეობის დავაკებასთან ერთად აჭარის წყალიც შესამჩნევად მშვიდდებოდა, სახლის სისხო ლოდები ჰქრება მის კალაპოტში.

მახუნცეთის ძველ ხიდთან აჭარისწყლის მარჯვნივ ოცი მხარის სიმაღლიდან შურდულივით ექანება ხავსით დაფარულ და ლიპ კლდეზე ორი ადლის სიგანე ჩაქუხა, ანუ  როგორც  იქ  ეძახდენ,  ჩხერი.  შედარებით  დამშვიდებული  აჭარის  წყალი თევზაობასაც, განსაკუთრებით სასროლო ბადით ხელს უწყობდა. მთელს აჭარაში, რომლის მდინარენი ასე სავსენი არიან მეტად გემრიელი თევზით, განსაკუთრებით კალმახით, მხოლოდ ქედის ქვემოთ ხვდებათ მებადურნი. აქვე გაგაცნობთ სხვადასხა იარაღს თევზის საჭერად ხმარებულს ქვედა აჭარაში.  ერთი ყველასგან ცნობილი ხერხი

თევზის ჭერისა ანკესია, მეორე სასროლი ბადე, მესამე ხოლიხი ანუ გიდელის მსგავსი მოქსოვილი ბადე, მეოთხე მაშხალაა, მეხუთე არის ოსარო.

თევზი, განსაკუთრებით კალმახი, როგორც ცივი წყლის მოყვარული ბევრია ზემო აჭარაში, ქვემო აჭარაში კი სადაც ზემო აჭარასთან შედარებით თბილია წყალი, კალმახი ნაკლებადაა და სხვა ჯიშის თევზებს უთმობს ადგილს. აჭარის წყალში სოფელ ქედის ქვემოთ სჭარბობს წვერა, ელვანა, ჭაფალა და სხვა. ოცდაათი კალმით დახატული ბუნების გზისა ისე გაიარეს, რომ არცკი უგვრძნიათ დაღლა. მივიდნენ აჭარისწყლისავე სახელის სოფელში. სოფელი აჭარის წყლიდან გზა ორად იყოფა: ერთი სამხრეთისაკენ ართვინში გადადიოდა, ხოლო მეორე პირდაპირ ბათუმში. იქვე აჭარის წყალი ბათუმის ოლქის და საზოგადოდ საქართველოს ერთ უდიდეს მდინარეს ჭოროხს ერთვის. რამდენადაც აჩქარებულია აჭარისწყალი, იმდენად დინჯია მისი შთანმთქმელი დედამდინარე ჭოროხი. პირველი ფირუზის ფერია, მეორე მღვრიეა, მუდამ ტალახიანი, ქვიშა შეყრილი.

აჭარის წყალსა და ბათუმს შუა მდებარე გზა ჯერჯერობით ბათუმ-აბასთუმნის გზატკეცილის საუკეთესო ნაწილად ითვლებოდა, არსად აღმართი და გადასაჩეხი კლდე არ იყო, ამიტომ აჭარისწყლამდე ბათუმიდან ეტლებითაც ადიოდენ. გაიარეს სოფელი კიბე საზღვარი ქვემო აჭარისა და გონიოს ნაწილებისა. გზის პირად ფარღალალა ფაცხაში ორი თავით ფეხებამდე შეიარაღებული ზაფთიები ანუ ჩაფრები იდგენ. სოფელ ერგესთან გზის ნახევარ მანძილზე, მედილიუნე ცხენებს ასვენებდა, იქვე შეხვდენ სოფლელ ბავშვებს, რომელთაც მგზავრებისათვის გამოჰქონდათ პატარა კალანჩხებით ლეღვი, ადესის ყურძნის აკიდოები და სხვა ხილი. მიუახლოვდნენ სოფელ კაპანდიდსაც, სადაც გზის პირას რამდენიმე ბერძენის დუქანი იყო და მათ შორის მეგრელს, გვარად ჭანტურიასაც გაუბედნია გაეხსნა სამიკიტნო და ბერძნებს შესჯიბრებოდა. კაპანდიდიდან ჰორიზონტი სულ ფართოვდებოდა. იქედან ჩნდებოდა ფირუზი შავი ზღვა. ბათუმამდე ორი კილომეტრო ჰქონდათ დარჩენილი, გზის მარცხნივ ვაკეზე გაშენებული იყო სოფელი აფხაზებისა, რომელნიც ბათუმის გენერალ-გუბერნატორის კომაროვის დროს გადასახლებულან აფხაზეთიდან. სულ სამოცდაათ კომლამდე თუ იქნებიან. სახლები რიგზე აქვთ ჩამწკირვებული, უმეტესობა ფაცხებია, მაგრამ შიგადაშიგ ქვითკირის

სახლებსაც ხვდებოდენ, ალბათ იმ მოსაზრებით, რომ ეს თავისუფალნი ბუნების შვილნი ხელის ახლოს ჰყოლოდათ და ადვილად ედევნებინათ თვალყური მათთვის, ბათუმს ახლოს, მართალია ნაყოფიერ, მაგრამ ციებიან ადგილზე დაუსახლებიათ. ეს სენი თურმე მუსრს ავლებდა აფხაზეთის მთის შვილებს. ციების გარდა მათი მტერი გამხდარა მდინარე ჭოროხი. ისე არ ადიდდებოდა ეს მდინარე, რომ გლეხების ჭირნახული არ აეწიოკებინა.

1895 წლის წყალდიდობას თითქმის მთლიანად წაულეკია იქაურობა. სწავლა განათლება მათთვის ჯერ კიდე მიუწვდენელი იყო. ზოგიერთს ქართული ენაც უსწავლია და „ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სკოლაში შვილებსაც აბარებდნენ. ბოლოს გამოჩნდა მთელი ტყე ნავთსადგურში მდგარ გემების დირეკებისა, ქარხნების კვამლი, მტვერი. ესმოდათ ქალაქის რახა-რუხი. შევიდნენ ბათუმში, რომელსაც ბატონი ნ. ნიკოლაძე ასე აღწერს: „ბათუმის ქალაქი ასიოდე სახლს და ქოხს ჰქვიან,ზოგი მათგანი დაბწნილი და შეტკეჩილი ფაცხაა, ზოგი ფიცრულია, ორიოდე შენობა ქვითკირისაც მოიძებნება და ქვითკირი, მგონი უფრო იმიტომაა აშენებული, რომ ქარი, სიცივე და სიცხე შეუშვან, ვინმე კაცს თავი შეაფარვინონ“.

ასეთი ყოფილა ბათუმი ამ 25 წლის წინათ, როცა ისევ თურქეთის ხელში იმყოფებოდა. დღეს კი იმავე ქალაქში, რომელსაც მივარდნილი სოფლის სახელი უფრო შეჰფეროდა და რომელშიაც 4,970 სული მცხოვრები ირიცხებოდა, ითვლება 30,000 სული. „შეტკეჩილი ფიჩხების“ ალაგას წამოზიდულია ორ-სამ სართულიანი სახლები, გაყვანილია მშვენიერი მოკირწყლული ქუჩები, ვაჭრობა გაჩაღებულია, მთელს მსოფლიოსთან მიმოსვლაა გამართული, გახსნილია საქალებო და სავაჟო გიმნაზიები და სხვა დაბალი სასწავლებლები, საკრედიტო დაწესებულებანი, ქარხნები, თვალს უტკბობთ ტროპიკულ მცენარეებით შემკული ბაღები.

## თავი IV. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში.

1873 წელს საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ დიმიტრი ბაქრაძეს დაავალა არქეოლოგიური ძიებანი გურიაში ანუ ოზურგეთის მაზრაში და ყოფილი ახალციხის საფაშოს ანუ ეგრეთწოდებული ოსმალოს საქართველოს სამხრეთ ნაწილში. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ მატიანეებში მოიპოვება ზოგიერთი ცნობა როგორც გურიის, ისევე ოსმალოს საქართველოს შესახებ, რომლის შემადგენლობაში შედის თურქეთის მმართველობის დროს საქართველოსაგან მიტაცებული: ჩურუქსუ, აჭარა, ლაზისტანი, ჭოროხის აუზი და მტკვრის ზემოწელი.

დიმიტრი ბაქრაძემ იმოგზაურა 1874 წელს, ჯერ კიდევ მაშინ როცა აჭარაში ბატონობდნენ დამპყრობლები. უშუალო, ცოცხალი შთაბეჭდილებები, მდიდარი ფაქტობრივი მასალა და დოკუმენტები წიგნში მაღალი მეცნიერული დონით არის გადმოცემული.

დიმიტრი ბაქრაძის „არქეოლოგიური მოგზაურობა“ შედეგია იმ ექსკურსიისა, რომელიც 1873 წელს მოეწყო. მის მიერ მოვლილი ადგილებიდან ჩურუქსუ და აჭარა არქეოლოგიურად ღარიბი გამოდგა. სამაგიეროდ მათ მისცეს მათი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის საინტერესო ფაქტები და ასევე იმის დამამტკიცებელი

საბუთები, რომ იმ კუთხის მოსახლეობა გურიის ქართველთა მონათესავეა და არა ლაზებისა, რომლებიც ახლო ნათესავები არიან მეგრელებისა.

**„ჩურუქსუ, აჭარა და გურია 1873 წელს“**

სამსახურში საქმეებმა იმდენად დააყოვნა ბაქრაძე თბილისში, რომ  იმედი აღარ ქონდა 1873 წელს მოივლიდა მთელ გათვალისწინებულ არქეოლოგიურ რაიონს და მისი მარშუტი შემოიფარგლა გურიის, ჩურუქსუსა და აჭარაში მოგზაურობით.  ბათუმიდან სანამ ხულას მიაღწევდნენ გაიარეს სოფლებზე  კახაბერსა და ერგეზე. ბათუმიდან 4-5 ვერსზე იყო მდინარე ჭოროხი, რომელიც იმდენად მნიშვნელოვანია, რომ როგორც ამბობენ მასში ართვინსა და შესართავს შორის 200-მდე ბრტყელძირა ნავი ანუ კაიუკი დაცურავს. ნავებით ეზიდებიან ყველა ადგილობრივ ნაწარმს: ერბოს, ხილს, ტყავს, დახერხილ ფიცრებს, თიხის ჭურჭელსა და კრამიტს, რომელთა საუკეთესო ქარხნებია ბორჩხაში.

მთელი ჭოროხის აუზი და მტკვრის ზემოწელი, მოკლე შუალედის გამოკლებით, ყოველთვის საქართველოს ხელში, რომ იყო, ამას ცხადყოფს შემდეგი ცნობები: სახელები მთების, მდინარეების, ციხეებისა და მთელი უბნებისა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე რომ წარმოიშვა. პირველი ქართველი მეფის ფარნაოზის (302-237 ქ. წ.) და შემდგომ მიუხედავად ბედის უკუღმართობისა დღემდე შემორჩა: ასეთებია, აღვნიშნავთ მხოლოდ მდ. ჭოროხის აუზის უბნების სახელებს, კლარჯეთი, ლივანის ხევი, ტაოსკარი, შავშეთი და აჭარა.  მდ. მტკვრის ზემოწელში: კოლა, არტაანი, ერუშეთი, სამცხე და ჯავახეთი.  ამ ადგილებში გაფანტულია უამრავი ქართული ტაძარი და მონასტერი, რომლებიც  V-XIV საუკუნეებში შენდებოდა. მათგან ყველაზე ცნობილია: კოლაში-დადეში, არტაანში-ნაქალაქევი, სამცხეში-აწყური, ზარზმა და საფარა, ჯავახეთში-წყაროსთავი და კუმურდო, შავშეთში-ტბეთი, შავშეთსა და ლივანის ხევს შუა ოპიზა და ანჩა,  კლარჯეთში-ბანა, იშხანი, ექექი, ოშკი და ხახული, აჭარაში-სხალთა. ზოგიერთი ეს ტაძარი მეტ-ნაკლებად უკვე აღწერილია: მათი წარწერები,  ისევე როგორც ზოგი მათი, ჩვენამდე მოღწეული ხატის წარწერები ძველი ხელნაწერები სხვადასხვა ხანისა, ქართულია.

გარდა ამისა, ეს ადგილები უხსოვარი დროიდან ქართველი ერისთავებისა ქართული ეპარქიების განმგებლობაში იყო. ყოველკივე ეს სრულიად უეჭველს ხდის, რომ ქართული ელემენტი უძველესი დროიდანვე იყო ჭოროხის აუზისა და მტკვრის ზემოთის თუ არა ერთადერთი, მნიშვნელოვნად უპირატესი ელემენტი მაინც. ამ მხარის მდგომარეობის შესახებ ზუსტი ცნობები არაა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ქართველი მემატიანის მიერ დახატულ შავბნელ სურათს, თუ რა სასტიკად სდევდნენ თურქები მე-17 საუკინის დამდეგიდან რელიგიასა და ყოველივე იმას, რაც ზემო ქართლის ქართველებს ეროვნულ სულს უნარჩუნებდა, ამ დევნას შედეგად ის მოჰყვა, რომ 100 წლის შემდეგ აქ „ქრისტიანები სულ უფრო ცოტანი იყვენ და ისიც ჯავახეთის უბრალო ხალხში, და კიდევ უფრო ნაკლები გვხვდებოდა შავშთში, აჭარასა და არტაანში“, შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ქართული ენა ამ მხარეში ყველგან მოდებული ისლამის გავლენით, საგრძნობლად უნდა შესუსტებულიყო, თუმცა აჭარაში სადაც როგორც ადგილობრივ დარწმუნდა, მოსახლეობა მხოლოდ და მხოლოდ ქართული იყო, ქართული ენა თითქმის დღემდე შეუბღალავად შემორჩა ალბათ იმიტომ, რომ აჭარლებს არასოდეს შეუწყვეტია ურთიერთობა გურულებთან. მაგრამო, ამბობენ რაც დრო გადის, მით უფრო საგრძნობლად სუსტდებაო.

ისინი სულ უფრო ღრმად მიიწევდნენ აჭარის ხეობაში. აჭარისწყლისა და ჭოროხის შესაყართან მათი გზა აღმოსავლეთისაკენ მიდიოდა, ოდნავ ჩრდილოეთისაკენ უხვევდა აჭარისწყლის მარჯვენა ნაპირზე, აღმართ-დაღმართი ხშირად ხვდებოდათ და იქ, სადაც განსაკუთრებით საშიში იყო, გზა ხელოვნურად ამოჭრილ ან უზარმაზარი ლოდებისგან გაკეთებულ საფეხურებზე გადიოდა, რომ ავდარში ცხენმა ფეხი მოიკიდოს. ასე მოკირწყლურ გზებს ყველგან შეხვდები ჩურუქ-სუსა და აჭარაში. ზოგი მათგანი ძალიან ძველი ეჩვენა, საერთოდ, მთელ ქვემო აჭარაში წამოუდგენლად ცუდი გზები იყო და ამიტომ საათში 3-4 ვერსზე მეტს ვერ გაივლი. აჭარული სოფლები ორივე ფერდობზეა შეფენილი და ხელის გულივით ჩანს თავისი სიმინდის და აქა-იქ ღომის ყანები. სახლები ან გაბნეულია ან შექუჩებული. მათ გაიარეს სოფლები: კაპლის თავი, ჭალახმელა, ბაბუჩოღლები, მახუნცეთი და ზურა და მიადგნენ გრძელ ბოჭო ხიდის აღმართს, რომელსაც ასე ეძახიან ძველი ხიდის - ბოჭოხიდის

სახელის მიხედვით. გზა სულ ერთი ან იკანკლურად მიდიოდა საშინელ ფრიალოზე, და ისინი ქვეითად საათნახევარს მოუნდნენ, მის მწვერვალზე ასვლას, საიდანაც გადაეშალათ-დაკლაკნილი აჭარის ხეობა, ხოლო წინ გრძელი ვიწრობი, რომელიც სოფელ საღორეთით ბოლოვდებოდა. მისი მცხოვრებნი, საერთო აზრით, დიდი თავზე ხელაღებული ხალხია; საღორეთელი არაფრად აგდებს უბრალო რამისათვის კაცის დაჭრას, სისხლის აღების ჩვეულება აქ ძალზე ფეხმოკიდებულია, მათ როგორც ბათუმში ურჩიეს, ვინმე მურთაოღლის სახლისაკე გასწიეს. მან აქაურობისათვის ჩვეული გულითადობით მიიღო. თვითონ ციებ ცხელებიანი იწვა რომელიც, ბათუმში შეყროდა.

მუთაოღლის სახლი აღმოსავლეთ ფერდობის ზედ თავზე იდგა. გზა ძნელ აღმართზე ადიოდა. ყორეშემოვლებულ ეზოში ხეხილი ხარობდა, ხეებზე გაშვებული იყო ვაზი, ეზოს გარე სიმინდი ეთესა. სახლი წაბლის ხისა იყო, ქვედა სართული ბოსელი იყო, ზედა საცხოვრებელი. იგი იყოფოდა საქალებოდ და სასტუმროდ რომელსაც წინ დერეფანი ეკრა, სადაც ჩვეულრბრივ სრულდება ნამაზი და სადაც არის განსაკუთრებული ხის დაზგა; მას ძირი გახვრეტილი აქვს საიდანაც გაედინება წყალი ყოველი განბანვის შემდეგ. ფანჯრებსა, კარებსა და თვით ბუხარზე საკმაოდ ღვლარტნილი ჩუქურთმები იყო ამოკვეთილი. საერთოდ, ასე აწყობენ საუკეთესო სახლებს მთელ აჭარასა და ჩურუქ-სუში. სტუმართმოყვარეობა აქ წმინდა საქმედ ითვლება, რა ეროვნებისა და რჯულისაც უნდა იყოს სტუმარი, საიდანაც უნდა მოდიოდეს და როდესაც უნდა მოვიდეს, დღისით თუ ღამით, უფლება აქ პირველსავე შემხვედრილ სახლში გაჩერდეს. ოჯახის უფროსიც რომ არ იყოს სახლში, თუნდაც სახლში მარტო ქალები იყვნენ, ვალდებული არიან მიიღონ, გაუმასპიძნლნენ და სუფთა ლოგინი გაუშალონ, რომელსაც საგანგებოდ ინახავენ ასეთი შემთხვევისათვის. დიასახლისი თავის ნახევარში ფუსფუსებს და ამზადებს საჭმელს, მათ ესმოდათ მისი ლაპარაკი მაგრამ სახით ვერ ხედავდნენ, თუმცა თვითონ ყურადღებით უთვალთვალებენ ჭუჭრუტანიდან. იმ საღამოს საუბრისას ბევრი საინტერესო რამ გაიგეს, სხვათა შორის სიტყვა ჩამოვარდა აჭარლების ეროვნებაზე, მათს ენასა და მათს ძველ ეკლესიებზე. ეკლესიას აჭარაში ყველგან ქილისეს ეძახდნენ, ეს დამახინჯებული ქართული ეკლესიაა. საღორეთში თანამოსაუბრეებმა ეკლესიის ვერცერთი ნანგრევი ვერ დაუსახელეს,

ალბათ იმიტომ, რომ იგი ხისა იყო, როგორც სოფლების უმეტესობა აჭარაში, ჩურუქსუსა და თვით იმერეთში, ამიტომ მისი კვალი დიდი ხანია გამქრალა. სიტყვა „ქართველი“ აჭარის მცხოვრებთათვის უცნობია და ისინი თავის თავს მხოლოდ აჭარლებს ეძახიან, ხოლო თავის ენას გურჯი ენას. როგორც მუთაოღლის ოჯახში, ისე ყველგან იმ მხარეში ქალები ქართულად წმინდანად ლაპარაკობდენ, ვიდრე მამაკაცები.

მეორე დღეს დილით გაემართენ მარცხნივ პატარა ცივასროლის ციხისაკენ ძნელადსავალი ბილიკით, რომელიც თოკივით მიიკლაკნებოდა ფერდობზე შქერის ხშირ ბუჩქებზე. ცივასროლა საღორეთისწყლისა და აჭარისწყლის შესართავთან განცალკევებით აღმართულ გრანიტის კლდეზე დგას. აშენებულია ნამტვრევი ქვითა და კირით. დანგრეულია, შემორჩენილია მხოლოდ ორი კედელი, რომლებსაც ჟამთავსვლისაგან ნაპრალები გასჩრენია და ძლივსა დგას. ციხეს მისადგომი არა აქვს. გზა სულ აჭარისწყლის მარჯვენა ნაპირს მიჰყვებოდა. ადგილმდებარეობის ხასიათი შეიცვალა; ხეობა დავიწროვდა, ფერდობები უფრო დამრეცი გახდა, აჭარის წყალი ნამდვილ ზათქიან მთის მდინარეს დაემსგავსა. აჭარისწყალში აქა-იქ ვიწრო ღაეტაფებიდან ჩამოქუხდა ანკარა ღელეები, რომელიც სავსე ყოფილა გემრიელი კალმახით.

საღორეთის ზემოთ მოსახლეობა მეტია და სოფლებიც უფრო ხშირია. ყოველ სოფელში სახლის წინ ბოსტანი აქვთ, სადაც უთესიათ მწვანილი, ხახვი, ლობიო, ბარდა, კიტრი და სხვა ბოსტნეული. სახლები ისეთივე უდგათ, როგორც საღორეთში, ხისა, მეტწილად წაბლისა, ხვდებოდათ ქვისაც, მკვრივი რუხი პორფირისა, რომელიც ყველაზე მეტად გავრცელებული საშენი მასალაა აჭარაში. ქვის სახლები შეძლებულ ხალხს ეკუთვნოდათ. სახლებს პატარა ფანჯრები ჰქონდათ-ან გისოსიანი ან ქაღალდგაკრული. ყოველ მოსახლეს თავისი საკუთარი ნადელი ჰქონდათ სოფლის აგარაში და სხვისი ნაკვეთის დაჭერას ხშირად მკვლელობა მოსდევდა.

სოფლებიდან განსაკუთრებით ქედა აინტერესებდა ერთადერთი დასახლებული ადგილი აჭარაში, რომელსაც ვახუშტი აღნიშნავს და რომელიც, მისი სიტყვით, „არს მცირე ქალაქის მსგავსი დაბა...მოსახლენი არიან ვაჭარნი“. ქედა სავაჭრო პუნქტია გარშემო მცხოვრებთათვის: იქ იყო 20-30 დუქნიანი ბაზარი, სადაც იშოვებოდა ყავა, ჩაი

და სხვა წვრილმანი. ქედა აჭარისწყლის ორივე ნაპირზე მდებარეობს და ოთხი უბნისაგან შედგებოდა: საკუთრივ ქედა, ასანური, ორცვა მარცხენა და გულები მარჯვენა ნაპირზე. იქ ვერაფერი საინტერესო ვერ მიასწავლეს . რაკი ფიქრობდა, რომ ქედაში, რომელსაც ვახუშტიმ ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დამდეგს განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო, რაიმე არქეოლოგიური ძეგლი უნდა ყოფილიყო, გადაწყვიტა გამოეკითხა კაიმაკა ხუსეინ-აღასათვის. ხუსეინ-აღამ მიასწავლა, და ისიც გაურკვევლად, ეკლესიების ნანგრევები ზენდიდსა და გულებში. ამის შემდეგ ასანურში წავიდნენ, სადაც ოცი კომლი იყო, სახლები ლამაზ ფერდობზე უდგათ, აქ კონუსისებრ ოდნავ დამფრეც ბორცვზე დაათვალიერეს პატარა ძველებური ნაგებობის როგორც ამბობდენ, ეკლესიის საძირკველი. ქვემოთ ზედ მდინარესთან იდგა პატარა კვადრატული ციხე თავდგირიძის გვარის ბეგებისა, რომელთაც მიტოვებული ჰქონდათ ქედა. მოპირდაპირე ფერდობზე, სოფელ ზენდიდში ლამაზად მოჩანდა მეორე ბეგის ბეჟანოღლის ანუ ბეჟანიშვილის დიდი ორსართულიანი სახლი. კიდევ უფრო ზევით გულებისწყლის სათავესთან, პირქუშად მდგარა დაკბილული კლდის მსგავსი ძველებური ციხის ნანგრევები, სადაც ავდარში მხოლოდ მწყემსები და მონადირეები აფარებდენ თავს. ისინი დაბ ინავდნენ ერთ მოხუცთან გვარად დიასამიძესთან. მოხუცმა აუხსნა და სხვებმაც დაუდასტურეს,რომ არც ზენდიდსა და არც გულებში არავითარი ძველი ეკლესიების ნანგრევები არ ეგულებათ. ასეთი ეკლესიები, თამარ მეფის აშენებული, იყო ზემო სოფლებში: დონდალოში, ჭვანასა და შუახევში. ისინი დაშლილია და თუ მათი ნაშთი დარჩენილა, ტყით იყო დაფარული. მხოლოდ ერთ სოფელში სხალთაში შემორჩა ეკლესია, ასეთივე ეკლესია ყოფილა ხულაში, მაგრამ მისი ქვები ხიმშიაშვილებს შენობებსა და თვით მეჩეთზე ანუ ჯამეზე გამოუყენებიათ.

იქაური საქორწინო წესჩვეულება ბევრ რამეში ჰგავდა ქართულს; მაგალითად, წინასწარი მოლაპარაკება მშობლებს შორის შუამავლის მეშვეობით, მზითვის პირობა და და თვით მზითევი. აჭარაში ისევე როგორც თითქმის ყველგან მუსლიმანურ ქვეყნებში, ქალების მდგომარეობა მშობლების ოჯახშიც და ქმრის ოჯახშიც ძალზედ სავალალო იყო. უუფლებო არსებანი არიან, მას წართმეული აქვს შესაძლებლობა იფიქროს და იმოქმედოს თავისი შეხედულებისამებრ. ვერ გამოჩნდებოდენ უცხო მამაკაცთან,

გოგონებიც კი ჩადრში გახვეულნი იყვენ. მამაკაცს უფლება ჰქონდა ოთხი ცოლი ჰყოლოდა, აჭარაში ამით უპირატესად ზოგი ბეგი სარგებლობს.

მეორე დღეს 12-ში, დილაადრიან ქვის ხიდით გადავიდენ მოპირდაპირე ნაპირზე და განაგრძეს გზა. თუ შეძლებდენ ასე 30 ვერსი უნდა გაევლოთ რომ ღამე შუახევში გაეთიათ. ქედის ზემოთ ხეობა კიდე უფრო ვიწროვდებოდა, სიცხემ იმატა, იქ იყო ფიჭვი, რომელიც ზემო ზოლში იშვიათად ტოვებდათ. გაიარეს სოფლები: ზვარე, ვარჯანისი, აბუქეთი, ცხმორისის პირდაპირ, სადაც დაათვალიერეს ძველი ხიდი და შემდეგ დაახლოებით ნაშუადღევს 6 საათზე მივიდნენ ჭვანაში, რომელიც ძველი ხიდითვე უკავშირდებოდა დონდალოს. დონდალო მდებარეობს ტაფობში, რომელიც საკმაოდ ვრცელ ველს წარმოადგენდა. სოფლის განაპირას აღმოსავლეთით, ტყიან მთის განშტოებაზე მოჩანდა ციხე კავიანის (კავი) ყომრალი ჩონჩხი ამბობდენ, ციხეს იმიტომ ჰქვია, რომ დიდი გაჭირვებით და მხოლოდ კავით შეიძლება ასვლაო. ციხეში გადარჩენილია საცხოვრებლები, რომლებიც წყალს მხოლოდ ღარტაფიდან იღებდნენ. დონდალო კიდევ საინტერესოა შემდეგით: მის ქვემოთ ყველა აჭარელი შეიარაღებული დადიოდა, ზემოთ კი არა. დონდალოს იქეთ გზა უფრო გამოკეთდა, მეორე დღეს დილაადრიან გასწიეს სხალთისაკენ. სოფელ ფურტიოს პირდაპირ სხალთისწყლის მარჯვენა ნაპირზე გადავიდნენ, იქ სადაც იგი აჭარისწყალს ერთვის და ფრიად შემოზღუდულ ვიწროებში შედგეს ფეხი. მათ პირველად იხილეს გიგანტური წიფლები. ისარარგებლეს ერთი აჭარლის სამსახურით და მათი მისვლის ამბავი აცნობეს ხულოს მუდირს მურთაზ-ბეგ ხიმშიაშვილს. ნაშუადღევს 2 საათზე სხალთაში მივიდნენ, სადაც ძველი თაღიანი ხიდით გადავიდნენ, რომელიც სხალთისწყლის ორივე ნაპირს აკავშირებდა.

აჭარის საუკეთესო ხიდებია: დონდალოსი და განსაკუთრებით სხალთისა. შეკითხვაზე თუ ვისი აშენებულია ხიდები ყველა თამარ მეფესიო პასუხობდნენ. ადგილობრივი მცხოვრებნი მასვე მიაწერდნენ ყველა იქაური ეკლესიისა და ციხის აშენებას, თამარის გარდა, აჭარლები არავის არ იცნობენ. სოფელი სხალთა უპირატესად სხალთისწყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. მდინარის სათავესთან არის ხირხათის ციხე, სადაც  იქაურთა ნაამბობით 1815 წელს სულთნის ბრძანებით თავი

მოჰკვეთეს ახალციხის ცნობილ ფაშას სელიმ ხიმშიაშვილს. სხალთისწყლის ხეობა უხვია მდინარეებით და შედარებით მჭიდროდაც ყოფილა დასახლებული. იქ კარგად ხარობდა საზამთრო და ნესვი. იქაური მსხალი ძალზედ გემრიელი ყოფილა და ამიტომაც დარქმევია სოფელს სხალთა, უფრო სწორედ მსხალთა.

ერთ ხანს ჩრდილში შეისვენეს და მოლა-ალის თანხლებით წავიდა ეკლესიის დასათვალიერებლად, რომელიც შემაღლებულ ბაქანზე დგას, რამდენიმე ასეულ ნაბიჯზე შერიფ-ბეგის სახლიდან. ეკლესიის გარედან დათვალიერებას რომ მორჩენ. შიგნით შევიდა და როცა მოლა-ალი დაჭირდა, რომელიც გალავნის გარეთ იდგა, დაუძახა, ის კი, იმის ნაცვლად, რომ შიგნით შესულიყო, კისრისტეხით გაიქცა. როცა ზოგი რამ ჩაინიშნა, ბარგთან დაბრუნდა. როცა მოლა-ალის კითხა ეკლესიაში რატომ არ შემოხვედიო? უპასუხა მე კი არა აჭარაში ვერცერთი მოლა ვერ გაბედავს საღვთო ეკლესიაში შესვლასო.მოუყვა, ათი წლის წინათ სხალთის ეკლესია მეჩეთად გადააკეთეს, ზევიდან ჩამოვარდნილმა ქვამ ჯერ ერთი მოლა მოკლა, შემდეგ რამდენიმე ხნის მერე, მეორე და, და ბოლოს მესამე. ამიტომ მიატოვეს ეკლესიაო. სხალთის ეკლესიას გარს ავლია ნამტვრევი ქვის ჩამოქცეული გალავანი, ამას დასავლეთით, როგორც ჩანს, დატანებული ჰქონია კვადრატულ საძირკველზე აგებული ქვის სამრეკველო. გალავნის გარეთ ჩანდა ძველი საეკლესიო ნაგებობათა და მიწაში ჩაფლული ქვევრების ნაწილით. ეკლესიის აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი ფასადის პერანგი სახურავ ფიქალთან ერთად მეტწილად მოურღვევიათ. იმ პერანგის ქვებს ნახულობდა როგორც მუსლიმანთა სასაფლაოზე, ასევე შერიფ-ბეგის შენობის გალავანში. ეკლესია აგებულია უგუმბათოდ საუცხოო რუხი პორფირით და პარალელოგრამის ფორმა აქვს.შენობის სიგრძე 9 საჟენს ცოტა უკლია, განი 6-მდე აღწევს, კედლების სიგრძე ორ არშინამდეა. ეკლესიას აქვს მაღალი სამკუთხა ფრონტონი, დასავლეთით სტოა და სამხრეთით ეკვდერი, აღმოსავლეთი ნაწილი მთავრდება რვაწახნაგიანი ნახევარწრით. ფრონტონისა და მთელი შენობის ლავგარდანი ღრმაღარიანია. ქვების თლა, მათი წყობა, კარ-ფანჯრის საპირეების ნაირნაირი ჩუქურთმები, ხვეული სვეტები, სტოისა და ეკვდერის არაბესკები საქმის განსაცვიფრებელი ცოდნითაა შესრულებული.

ეკლესიის შიგნით ნაოსის კედლები  შედგება სამი ცრუ ნიშისაგან, რომლებიც ერთმანეთისაგან განცალკევებულია ოდნავ გამოშვერილი პილასტრებით. კანკელი აღარ არის. საკურთხევლის ნაწილში ორივე მხარეზე კედლებში ღრმა ღრმულებია: ორი დიდი და ორიც პატარა, რომლებსაც სამკვეთლოდ (სამსხვერპლოდ პროსკომიდიის შესასრულებლად) და სალაროდ იყენებდნენ. იგი  სულ ერთიან მოხატულია, ფრესკებიდან საკმაოდ კარგად შენახულა იესო ქრისტე მთელი ტანით თხემის ადგილზე, გვერდით კი მარჯვნივ რომელიღაც წმინდანი, მარცხნივ მთავარანგელოზი ასომთავრული წარწერით..

სამწუხაროდ სხალთის ეკლესიას არ შემორჩერნია ისტორიული წარწერა ამიტომ შეუძლებელია გავარკვიოთ მისი აშენების დრო.

ხულოში ნაშუადღევს  2 საათზე მივიდნენ, სადაც მურთაზ-ბეგი არ დახვდათ, ამიტომ მიიღო ვინმე მემედ-აღამ, პატივცემულმა მოხუცმა, რომელიც მუდირობას ასრულებდა მურთაზ ბეგის მაგივრად. სურვილი გამოთქვა მეორე დღეს წასვლისა, მაგრამ მემედ აღამ გადაჭრით გამოუცხადა, პატრონის დაბრუნებამდე ვერ გაგიშვებო, იგი მუდამ მოხარულია სტუმრებისა, განსაკუთრებით საქართველოდან მოსული სტუმრებისაო და მიუტანა ქართულად დაწერილი ბარათი, სადაც იგი თხოვდა, თავი ისე იგულეთ, როგორც საკუთარ ოჯახში და ჩემს დაბრუნებამდე არ წახვიდეთო, ისიც დარჩა. ადგილი სადაც ხულა მდებარეობს, საკმაოდ ვრცელი უსწორმასწორო ვაკეა, დაქანებული დიდაჭარისწყლისაკენ, ხულოში 100 კომლზე მეტი არიქნებოდა. მისი სახლები უპირატესად ხისა ქვის საძირკვლებზე თავნოყრილია შერიფ ბეგის რეზიდენციასთან. ხულა მთავრდება დიდაჭარისწყლის ხრამთან ციხით ძველი ქვის სახლითა და საუცხოო აბანოთურთ, რომელსაც გუმბათი აგვირგვინებს. ხულოდან ახალციხეში მიდის შერიფ ბეგის მიერ დამუშავებული გზა, იგი ჯერ ზემო აჭარის სოფლებზე გავლით უღელტეხილისაკენ მიემართება, იქედან კი ქვაბლიანის ხეობით.

ხულას მისი დღიური იმ მხარის შესახებ ცნობებით უმთავრესად ორი პირის ზემოთ ხსენებული ქედელი ხასან ბეგისა და ჩაოელი მემედ აღას დახმარებით შეავსო. ორივენი აჭარელი ბეგების შერვაშიძეთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. ხულას ასვლის მეორე დღეს მურთაზ ბეგიც დაბრუნებულა. ის ახალგაზრდაა, 25 წლისა, მაღალი, ფრიად თავაზიანად

შეხვდა და მოუბოდიშა ქართულად ლაპარაკი მიჭირსო. მურთაზ ბეგი აჭარის ყველაზე საპატიო საგვარეულოს ეკუთვნოდა. აჭარელ ხიმშიაშვილთა პირველი ცნობილი წინაპარი, როგორც ამტკიცებენ, უბრალო მწყემსი აბდულა-ბეგი ყოფილა, რომელიც თავისი ენერგიულობით დაწინაურებულა. ხულას 6 დღე დარჩენ, თუმცა მურთაზ ბეგი შესაძლებლობას აძლევდა მოეხილა შავშეთი, ხოლო შემდეგ არდაგანიც, სადაც შერიფ ბეგსაც გაიცნობდა, თუმცა  რაკი ფაშისაგან მხოლოდ აჭარისა და ჩურუქსუს, ანუ მოვლის ოფიციალური ნებართვა ჰქონდა, ამ ექვსკურსიაზე უარი თქვა და გასწია ხინოსაკენ, რომელიც ჩურუქსუს, ანუ კინტრიშის ხეობაში აღმოსავლეთის მხრიდან უკიდურესი დასახლებული პუნქტია.

რაკი აჭარის მოსახლეობასთან, ალბათ აღარ ექნებოდა საქმე, ამიტომ მისი აჭარული ნარკვევების სისრულისთვის საჭიროდ მიიჩნია ზოგადად მიმოეხილა ამ მხარის ტოპოგრაფია და ისტორია. აჭარის ჩრდილოეთითა და დასავლეთით საზღვრავს ჯერ ახალციხე იმერეთის, სხვანაირად აჭარა ახალციხის ქედი, ანუ ვახუშტის გურიის მთის ზემო ნაწილი, ხოლო შემდეგ მთაგრეხილი, რომელიც ადგილობრივ პერანგას სახელით იყო ცნობილი და რომელიც ხინოს მთის მწვერვალთან გამოეყოფა აჭარა ახალციხის ქედს, იკლიკანტურად მიემართება სამხრეთ დასავლეთისაკენ და აჭარისწყლისა და ჭოროხის შესაყართან წყდება. აჭარის განფენილობა ასე გამოთვალა: სიგანე ზემო ნაწილში 60,  ქვემო ნაწილში 20-მდე, ხოლო სიგრძე 80 ვერსამდე. აჭარა ახალციხისა და არსიანის ქედები, რომლებიც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან გარს ეკვრიან ზემო აჭარას და დაფარულია ხშირი წვნიანი ალპური ბალახით.  მიუხედავად იმისა, რომ აჭარა ახლოს იყო ბათუმთან, არცერთ ევროპელ მეცნიერ მოგზაურს არ დაუდგამს ფეხი აჭარის მიწაზე და არ აუღწერია  იგი.  და მაინც მათ აჭარაზე თითქმის სანდო ტოპოგრაფიული ცნობები აქვთ კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო-ტოპოგრაფიული განყოფილების რუკებზე, რომლებიც კავკასიაში სამწუხაროდ, მეცნიერების ერთადერთი დარგია და  რომელიც სასურველი წარმატებით დაწინაურდა. თურქეთის ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, აჭარა შედგებოდა ქვემო ოლქისაგან სუფლია და ზემო ოლქისაგან ულია.  IX საუკუნის მიწურულს ქართული ქრონიკა აჭარას, ისე როგორც მის მოსაზღვრე შავშეთს, ადგილადგილ მჭიდროდ

დასახლებულად წარმოგვიდგენს. ბიზანტიელი მწერლები მას იცნობდნენ აგარის სახელით და X საუკუნეში კონსტანტინე პორფიროგენეტის მოწმობით, შეადგენდა მისთვის ცნობილი იბერიის ოთხი პრეფექტურიდან ანუ ოლქიდან ერთს.

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, სახელდობრ ჯაყელთა საგვარეულოს, შემდგომში ათაბაგების გაძლიერების დროიდან აჭარა მთელ ზემო ქართლთან ერთად, ჭანეთის ანუ ახლანდელი ლაზისტანის ჩათვლით, მის გამგებლობაში იყო. 1465 წელს ათაბეგი ყვარყვარე გიორგი მეფესთან ბრძოლაში კახაბერ გურიელს სთხოვს დახმარებას და მის გასამრჯელოს აჭარასა და ჭანეთს უთმობს. მაგრამ თურქები ორივე ამ კუთხეს ართმევენ. აქედან ჩანს, რომ მას შემდეგ, რაც აჭარა ოსმალომ დაიპყრო, სულ ორსაუკუნენახევარმა განვლო. ამ ბარბაროსთა მმართველობის სისტემას ყველგან მათ მიერ დამორჩილებულ ქვეყნებში ერთი და იგივე მიზანი ჰქონდათ: ისლამის გავრცელება და ეროვნული სულის ჩახშობა. მათ ულმობელი ომი გამოუცხადეს თავიდანვე, ზემო ქართლის ფარგლებში, ქრისტიანულ რელიგიას, ქართველთა ენას და ზნ-ეჩვეულებებს. რომელიც მეტნაკლებად თურქების სასარგებლოდ დამთავრდა. ზოგიერთი ცნობის თანახმად ისლამმა ჯერ ლაზისტანში მოიკიდა ფეხი, შემდეგ ჭოროხის ხეობაში, შემდეგ შეაღწია აჭარაში, სადაც ქრისტიანული ტაძრების დიდიხნის დანგრეულია, თუმცა მოსახლეობა განსაკუთრებით მოხუცები, თავის ძველ ხატებზე ლოცულობდნენ .

როგორი ბედიც ეწია ქრისტიანულ რელიგიას, ისეთივე ბედი ეწია, ან ეწევა ქართულ ენას ოსმალო საქართველოში, მოსახლეობის უმეტესობისათვის იგი ან უკვე გამქრალი იყო, ან ძალზე დაბეჩავებული. აჭარლები გამგები და საზრიანები არიან, ადვილად ემორჩილებიანკეთილ გავლენას. ამის მაგალითია შერიფ-ბეგის გავლენა რაც ფრიად შესამჩნევი იყო ზემო აჭარლების ყოფა-ცხოვრებაში. ყველაფერი ეს ამტკიცებდა, რომ აჭარლებს მთლად არ დაუკარგავთ ის თვისებები, რაც მათი ისტორიის უკეთეს ეპოქებში განუვითარდათ, მიუხედავად იმისა, რომ მათზე დამღუპველად იმოქმედა გვიანდელ საუკუნეთა ქართული მმართველობის აშლილობამ და ახლანდელი თურქული მმართველობის ყოვლისჩამხშობმა სისტემამ და ისეთი მანკი შესძინა მათ, როგორიცაა სისხლის აღება, ქურდობა და ტყვის გაყიდვა.

ხულოდან ჭვანაში მივიდნენ, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანი სოფელი ყოფილა, ნაწილობრივ გაშენებულია ღრმა ღარტაფში, ნაწილობრივ მთის კალთებზე, ღამე ჭვანაში გაათიეს, მეორე დღეს დილით შეჰყვენ ჭვანისწყალს, მდინარე რომელიც აჭარა-გურიის ქედის ხინოს მწვერვალთან გამოედინება. ჭვანიდან ზემო ხინომდე 40 ვერსის მეტი არ იქნებოდა. რაც უფრო წინ მიიწევდნენ, ჰაერი სულ უფრო ცივი ხდებოდა, მოსახლეობა უფრო მეჩხერი და ღარიბი იყო. ცოტა შეისვენეს აჭარისა და ჩურუქსუს სასაზღვრო ხაზზე, საუკეთესო წყაროსთან. პერანგას ქედი აჭარა-გურიის ქედის მწვერვალებს თაგანურსა და ხინოს შუა იწყება, შავი ზღვისაკენ მიემართება და აჭარას ჩურუქსუსაგან ყოფს. ისინი ფიქრობდნენ რომ უღელტეხილზე დამთავრდა მათი მგზავრობის ყველა ჭირსახდელი, მაგრამ წინ თურმე უარესი ელოდათ. ხინოს დაღმართი ისეთი დამრეცი ყოფილა, რომ ბუჩქებს ეჭიდებოდნენ, რადგან მუხლები ეკეცებოდათ.

**დასკვნები**

პირველი სპეციალისტი, ვინც აჭარისწყლის ხეობის მიწისზედა მატერიალური კულტურის ძეგლებს შეეხო, იყო ცნობილი ქართველი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე. შეიძლება ითქვას, რომ მისი მეცნიერული მემკვიდრეობიდან ყველაზე უფრო ძვირფასია სწორედ ის ნაწილი, რაც გურია-აჭარისა და მთლიანად სამხრეთ საქართველოს ეხება. წიგნში ყურადღება გამახვილებულია როგორც ქვემო, ისე ზემო აჭარისწყლისხეობის მატერიალური კულტურის ძეგლებზე. მათ მდგომარეობაზე, გზებსა და საგზაო ნაგებობებზე. როგორც ვნახეთ, დ. ბაქრაძე ზემო აჭარისწყლის ხეობის ძეგლების აღწერისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სოფ. სხალთის და იქ მყოფი განთქმული მონასტრის მეცნიერულ შესწავლას.

აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ მეტად საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ცნობილმა მეცნიერმა და მოგზაურმა გ. ყაზბეგმა იგი მოკლედ ეხება აგარისა და ხულოს ეკლესიებს. ისიც შედარებით ფართოდ აღწერს სხალთის ეკლესიას, ხიხანის ციხეს და ვარდციხეს. მიმოხილულია ხეობის გზები და საგზაო ნაგებობანი.

აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული XIX საუკუნის მიწურულის და XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი ქართველი ეთნოგრაფ-მოგზაურის თ. სახოკიას მემკვიდრეობაშიც. მოგზაური საკმაოდ ფართოდ განიხილავს მიწისზედა ძეგლებს, მათთან დაკავშირებულ ხალხურ გადმოცემებს. ეხება ფურტიოს, დანდალოს, ხულოს, უჩხოს და სხვა თაღიან ხიდებს ხიხაძირის ეკლესიას, ვარდციხეს, ციხისყელს, ვერნების ეკლესიას, სხალთის ტაძარს, მის მარანს და ხიხანის ციხის ნანგრევებს და ა.შ. მოაქვს ასევე სოფელთა ჩამონათვალი და იგი ასახელებს ჩვენთვის საინტერესო სოფლებს: აგარა, ალმათე, ახალდაბაბაკო, ბარათაული, ბეღლეთი, ბუთურაული; გოგაძე, გუდასხევი, გორხანაული; **დიდ-აჭარა,** დიაკონილი, დიაკონიძე, დარჩიძე, დოვანი; ვაკე, ვერნები, ვარდციხე, ვარჯანაული; ზემოხევი თხილვანა; იაკობაძე; კალოთა, კვატია, კარაპეტა, კვახიძე, კვიწინაძე: ლომანაური, ლაკლაკიძე; მანიაკეთი მახალაკიძე, მოპინეთი, მაწყვალთა; ნიგოზაული, ნადაბური, ნინოშვილები, ნამონასტრევი; ოქროპილაური, ოთანახევი, ოლადაური, ორთამელე; პაქსიძე, პაპოშვილები; რიყეთი; სხალთა; ტაბაძველი, ტაკიძე, ტბეთი; ფაჩხა,

**ფურტიო,** ღორჯომი, ღორჯომელაძე; ყადიოღლი; ჩავო ,ცინტარიძე, **წინარიძე**, წყლის-საყარი, წაბლანა, ჭედლური, ჭვანა, ხულო, **ხიხიაძირი,** ხაბელაშვილები; **ჯაბნიძე.**

ნაშრომში პირველადაა თავმოყრილი ზემო აჭარის შესახებ ქართველ მოგზაურთა ცნობები. მდიდარი ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, და სხვა მიმობნეული მარგალიტები. ისინი მრავალმხრივ საინტერესო ცნობებს შეიცავენ საკვლევი რეგიონის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. აბუსერისძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, გამოსცა მუსხელიშვილმ, თბ., 1941.

2. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987.

3. კახიძე ნ., სიხარულიძე ფრ., ქართული წერილობითი წყაროები, სდსინ, II, ბათ., 2009: 17-24.

4. მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, მეცნიერება, ბათ., 1993.

5. სახოკია ი., მოგზაურობანი, ბათ., 1985.

6. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1995.

7. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.

8. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თ.ბ., 1973.

9. ყაზბეგი გ. სამი თვე თურქეთის საქართველოში, ნაშრომი თარგმნეს, შესავალი წერილები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს და გამოსცეს რ. სურმანიძემ და მ. ხარაზმა, თბ., 1995.

10. შაშიკაძე ზ. აჭარის ლივის გრძელი და მოკლე დავთრები, ბათ., 2011.